პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58
ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

## დღიური

- არჩევნებთან დაკავშირებით საბერძნეთში შეტაკებები ხდება.
- იტალიაში ნახშირის დიდი კრიზისია.
- ვარშავაში ანტი-გერმანული დემონსტრაციები გაიმართა.
- კანადა ადგილს მოითხოვს ერთა ლიგაში.
- გუშინ დაიწყო ლატვია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ.
- განზრახულია საერთაშორისო საბანკო ტრესტის დაარსება.
- ჩეხო-სლოვაკიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციას არ მისცეს საბჭოთა კავშირში გამგზავრების უფლება.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 22 ოქტომბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 241 (1786)

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

# სასამართლოს ძირითადი აპარატი

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალები, რომლებიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში, ამჟღავნებენ მთელ რიგ ნაკლულევანებებს ჩვენი სასამართლოს ქვედა აპარატის მუშაობაში. სასამართლოს ქვედა აპარატის საკითხი იდგა აგრეთვე ამ.-კავკ. საკონტროლო კომისიის უკანასკნელ, მესამე პლენუმზე, რომელზედაც გადაშლილ იქნა ამ აპარატის სუსტი მხარეები.

პირველ ყოვლისა საჭიროა შევეხოთ სამოსამართლო აპარატის პირად შემადგენლობას. ამ მხრივ უეჭველად დიდი მიღწევები გვაქვს: სასამართლოდან გაძევებულია ძველი მოხელეები და ის შეცვლილია მუშური ელემენტებით. ამნაირად შექმნილია ძირითადი პირობა იმისთვის, რომ სასამართლო საბჭოთა წყობილების განმტკიცების, რევოლიუციონურ კანონიერების და მშრომელთა ინტერესების დაცვის ფაქტორს წარმოადგენდეს, მაგრამ ამავე დროს ფაქტია, რომ ჩვენს სახალხო მოსამართლეებს აკლიათ იურიდიული მომზადება, საბჭოთა კანონმდებლობის ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი ცოდნა. ეს გარემოება ჩვენი სასამართლოს სწორი და მიზანშეწონილი მუშაობის უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზია და მეტად უშლის ხელს მისი ავტორიტეტის ამაღლებას მოსახლეობაში.

მუშათა საკმაო კადრის სპეციალური მომზადება სასამართლო აპარატისათვის, ეხლანდელ მოსამართლეების გადამზადება—ეს გადაუდებელი ამოცანაა ჩვენთვის. ამისათვის საჭიროა გაიხსნას საგანგებო კურსები სასამართლოს მუშაკებისათვის, იუსტიციის კომისარიატმა ცოცხალი კავშირი გააბას სახალხო მოსამართლეებთან ინსტრუქტორების საშუალებით და სისტემატიური ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ არსებულ დებულების მიხედვით, სახალხო მოსამართლედ უნდა იყოს ამხანაგი, რომელსაც გაუვლია ორი წელი საზოგადოებრივ, პროფესიულ, თუ პოლიტიკურ საპასუხისმგებლო მუშაობაში, ან სამი წელი საბჭოთა იუსტიციის დარგში. ამით უზრუნველყოფილი იქნება სახალხო სასამართლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და იურიდიული მომზადება. მაგრამ ეს დებულება ნაკლებად ტარდება ცხოვრებაში. აქვე უნდა ითქვას, რომ ადგილი აქვს სახ. მოსამართლეთა შემადგენლობის ხშირ ცვალებადობას, რაც სასამართლოს მუშაობას ძალიან აფერხებს და მოსამართლეთა დახელოვნებასაც შეუძლებელს ხდის. ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლოს პირადი შემადგენლობის სტაბილიზაციის საკითხს.

სასამართლოს ერთ-ერთ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ის მეტად ნელი ტემპით მუშაობს, საქმეების გარჩევა მთელი თვეებით და ალაგ-ალაგ წლობითაც ჭიანურდება და მასში მრავალი გაურჩეველი საქმეებია თავმოყრილი. მაგ., თვითეულ სახალხო სასამართლოში 1-ლ ივლისისათვის საშუალოდ ირიცხებოდა 580 და თვითეულ საგამომძიებლო უბანში 60 საქმე; პირველ იანვრისათვის, მაგ., ახალციხის მაზრაში დარჩენილი იყო 416 გაურჩეველი საქმე, ამავე წლის 15 აგვისტოსათვის—1.085 საქმე, ხოლო ივლისში უკვე 1.118 საქმე. დაახლოებით ასეთი სურათია სხვაგანაც. საქმეთა გარჩევის ამგვარ გაჭიანურებას და ბიუროკრატიულ გადახრას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ამაში ისევ დიდი წილი უდევს სახ. მოსამართლეთა მოუმზადებლობას. ამასთან საქმის წარმოება სასამართლოებში არ არის რაციონალურად დაყენებული, არ არის ამ მხრივ გამომუშავებული ერთიანი სისტემა. მცირე მნიშვნელობა არა აქვს აგრეთვე მილიციის მიერ სასამართლოს დავალებათა სუსტად შესრულებას (უწყებების დროზე ჩაუბარებლობა, სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანის დაგვიანება და სხვ.). კერძოდ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ სასამართლოები ავსებულია წვრილმანი საჩივრებით (თითქმის 50 პროც.), რომელთა ღირებულება უდრის ორიდან 10 მანეთამდე. მიზანშეწონილი იქნება ასეთი საქმეებიდან სახალხო სასამართლოს განთავისუფლება და ამისათვის სასოფლო სასამართლოს ინსტიტუტის შემოღება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის აღძვრა დროულია. ასეა თუ ისე, საჭიროა კონკრეტული ღონისძიებანი იქნეს გამომუშავებული სასამართლოში ბიუროკრატიზმის მოსასპობად და საქმეების გარჩევის დასაჩქარებლად.

მწვავედ დგას აგრეთვე დარაიონების საკითხი. სახალხო სასამართლოები ტერიტორიალურად და მოსახლეობის რიცხვის მიხედვით სწორად არ არიან განაწილებული. მაგ., დუშეთის მაზრის სახალხო მოსამართლის ტერიტორია 100 ვერსს უდრის, რაც, რა თქმა უნდა, უაღრესად აძნელებს მის ნორმალურ მუშაობას; გლეხობა ასეთი შორი მანძილის გამო სასამართლოს დახმარებით რიგიანად ვერ ისარგებლებს. სასამართლოთა ქსელის საგრძნობი გადიდება, რაც აუცილებელია, ჯერ ჯერობით არ შეგვიძლია უსახსრობის გამო, მაგრამ არსებულ ქსელის რაციონალურ განაწილებას და საერთოდ ადმინისტრატიულ დარაიონების საკითხს უნდა მიექცეს ყურადღება და ის დროზე იქნეს გადაჭრილი.

სასამართლოს დაახლოვება ხალხთან, რამდენიმედ შეიძლება გამსვლელი სესიების ხშირი მოწყობით. სხვათა შორის, ამით გაადვილდება სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა სასამართლოში. დღესდღეობით კი ამ მხრივ არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. სახალხო მსაჯულნი უხალისოდ ესწრებიან სასამართლოს სხდომებს. აქ მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ისინი თავისი ბინადრობით მეტ წილად დაშორებული არიან სასამართლოსაგან და მათ იქ გამოცხადებასა და მუშაობაში რამოდენიმე დღის გაცდენა უხდებათ, ხოლო დაწესებულ გასამრჯელო ზოგ შემთხვევაში სულ არ ეძლევათ, ან ასეთს დიდი გაჭირვებით იღებენ. ასეთი მდგომარეობა უნდა მოისპოს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახალხო მსაჯულთა უმეტესად არ აქვთ შეგნებული თავისი მოვალეობა და უფლებები და ისინი აქტიურობას არ იჩენენ სასამართლოს სხდომებზე. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სახალხო მსაჯულთა შერჩევის საკითხს.

ბოლოს უნდა შევჩერდეთ სახალხო სასამართლოების ნივთიერ მდგომარეობაზე. სახ. მოსამართლენი კუთვნილ ჯამაგირს ალაგ-ალაგ მთელი თვეობით ვერ ღებულობენ. საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები სრულებით მცირე ეძლევათ. მაგ., ერთ-ერთ მაზრის საუბნო სახ. სასამართლოს საკანცელარიო ხარჯები ხარჯთაღრიცხვით უნდა მისცემოდა 611 მ., ნამდვილად კი მიეცა 93 მ. 87 კ., სამეურნეო ხარჯები მთელი წლისათვის გათვალისწინებული იყო 241 მან., მისცეს კი 2 მან. (!). გარდა ამისა, სასამართლოს შენობები ბევრ ადგილას სრულებით უვარგისია, სახურავიდან წყალი ჩადის, შუშები დალეწილია და სხვ. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ნორმალურ მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ამ ნაკლულევანებების გამოსწორებისაკენ უნდა იქნას მიქცეული ჩვენი ყურადღება. სასამართლოს ქვედა აპარატი რევოლიუციონურ კანონიერების და ახალ უფლებრივ შეგნების განმტკიცების მთავარი ორგანოა სოფლად, ამასთან ის ისეთი ორგანოა, რომლითაც გლეხობა უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა ხელისუფლებას. ამიტომ, ჩვენ ყოველი ზომა უნდა ვიხმაროთ, სასამართლოს აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მისი ნორმალურ მუშაობისათვის შესაფერ პირობების შექმნისათვის.

# ცენტრ. საკონტროლო კომისიის მეოთხე პლენუმი და მისი ამოცანები

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

დღეს გაიხსნება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეოთხე მორიგი პლენუმი. დღის წესრიგს წმინდა საქმიანი ხასიათი აქვს. პლენუმმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაამტკიცოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მუშაობის გეგმა.

ეს პირველი გეგმაა, რომელიც შემუშავდა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციისა და მუშაობის სამ ძირითად სექტორად დაყოფის შემდეგ (კონტროლის რაციონალიზაცია, შემოწმება და შესწავლა); ამ რეორგანიზაციას მიზნად ქონდა აპარატი უფრო მოქნილი გაეხადა, უფრო შესაფერი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი პოლიტიკური და სამეურნეო აღმშენებლობის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებათ.

1926-27 წლის გეგმა, რომელიც პლენუმის დასამტკიცებლად არის შეტანილი, აშენებულია ცეკას აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. გეგმა შეიცავს სოციალისტური აღმშენებლობის გენერალურ პრობლემებს, რომელთა შესწავლა ნავარაუდევია არა ერთი სამეურნეო წლის, არამედ უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის. შემდეგ, საკონიუნქტურო წლიურ ამოცანებს, რომელნიც მიმდინარე წელს ეკუთვნიან, და ბოლოს, საკონტროლო-შემამოწმებელი ხასიათის სასწრაფო, გადაუდებელ სამუშაოებს.

გენერალური პრობლემების რიცხვში შედიან: გეგმიანობის, ინდუსტრიალიზაციის საკითხები, სოციალისტური ელემენტების ზრდა სოფლად, სახელმწიფო აპარატის, საწარმოო და სავაჭრო პროცესების რაციონალიზაციის გატარება, ექსპორტისა და შრომის მოწესრიგების საკითხი.

საკონიუნქტურო-წლიური ამოცანები შეეხებიან უმთავრესად რაციონალიზაციური ხასიათის მუშაობას, წლიურ და საკვარტალო გეგმათა შემოწმებას, კულტურული აღმშენებლობის საკითხებს, საკონტროლო მუშაობას საბიუჯეტო და საკრედიტო დისციპლინის გატარებისათვის, საბინაო აღმშენებლობის შესწავლას, იჯარისა და დაქირავებული შრომის გამოყენების პირობებს და მთელ რიგ საფინანსო-საგადასახადო საკითხებისას.

სასწრაფო-გადაუდებელი ხასიათის ამოცანები უმთავრესად შეეხებიან მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისა და რეზერვების დაგროვების შემოწმებას, კონტროლს იმისა, თუ რამდენად შეასრულეს სახელმწიფო ორგანოებმა პარტიისა და მთავრობის გადაუდებელი დირექტივები.

ამგვარად, გეგმის შედგენა მომავალი წლისათვის შესაძლებლათ ხდის, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უფრო ფართოდ დაიხაზოს თავის მუშაობაში სახელმწიფო და სამეურნეო აღმშენებლობის ამოცანები; ამასთანავე იგი უადვილებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას იმ დირექტივების შესრულებას, რომელნიც მას დაეკისრა პარტიის მე-14 ყრილობამ.

პლენუმის დღის წესრიგის მეორე პუნქტია—მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის შედეგების გამორკვევა.

შეუდრეკელი სისტემატიური ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის პირველ ხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს.

პლენუმმა ჯამი უნდა გაუკეთოს კამპანიის I სტადიაში მიღწეულ შედეგებს, დასახოს ზომები უფრო არსებითი ხასიათის ნაკლთა თავიდან ასაცილებლად და გამოარკვიოს სოციალისტური დაგროვების ამოცანების გაფართოებისა და გაღრმავების პერსპექტივები, რომელნიც მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის გზაზე ხორციელდებიან.

ამ მიზნებისათვის პლენუმი მოისმენს ყველა საკავშირო ცენტრ. საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მოხსენებებს.

საკავშირო რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების მიერ პლენუმში წარდგენილი მასალები მოწმობენ, რომ განვლილი თვეების განმავლობაში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული. კავშირის ყველა ცენტრ. საკონტრ. კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მასალები ერთხმოვნად აღნიშნავენ აგრეთვე კამპანიის ძირითად ნაკლსა და გადახრებს, რომელნიც გამოიხატება იმაში, რომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას უდგებიან ფორმალურათ, აარსებენ აუარებელ ნახევრად ბიუროკრატიულ კომისიებს, საკმაოდ არ აბამენ მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლაში მასიურ ორგანიზაციებს, რომელნიც კამპანიის ბუნებრივი დასაყრდენი პუნქტები უნდა იყვნენ; შემჩნეულია აქა-იქ შემთხვევები, რომ მომჭირნეობას ატარებენ მუშათა მდგომარეობის გაუარესებისა და კაპიტალური აღმშენებლობისათვის გადადებული თანხების ხარჯზე.

პლენუმი მიიღებს ყოველგვარ ზომებს კამპანიის ამ სუსტი ადგილებისა და დამახინჯებათა წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლის საწარმოებლად. პლენუმმა უნდა გააერთიანოს ის პერსპექტივები, რომელნიც დასახული არიან მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის შემდეგ საფეხურზე ასაყვანად, შეიმუშაოს კონკრეტული დირექტივები იმისათვის, რომ მომჭირნეობა ჩატარდეს მუშაობის რაციონალიზაციის გაძლიერებით მმართველობისა, წარმოებისა და ვაჭრობის დარგში, რომ კამპანიაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ ისეთმა მასიურმა ორგანიზაციებმა, როგორც არიან საწარმოვო თათბირები და კომისიები, რომ განხორციელდეს დირექტივი მმართველობისა და მეურნეობის აპარატების შემდგომი გაიაფების, მრეწველობაში თვითღირებულების შემცირებისა და ვაჭრობაში საცალო ფასების დაკლების შესახებ.

მეოთხე პლენუმის განსახილველად შეტანილია აგრეთვე ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის საჭირო ზომების საკითხი.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხი მუდმივ ამოცანას წარმოადგენს ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციისათვის.

ეხლა ამ ამოცანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და განსაზღვრულ კონკრეტულ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს.

კვლავ მთელი თავისი სიმძიმით სდგება პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე ამოცანა მუშაობის გაგრძელების საბჭოების გამოსაცოცხლებლად, საბჭოთა აღმშენებლობაში და სახელმწიფო აპარატის მუშაობაში მუშურ-გლეხურ მასების ჩასაბმელად.

ეს ამოცანა, უეჭველია, უკავშირდება ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ბიუროკრატიზმთან და დამახინჯებასთან სისტემატიური ბრძოლის ამოცანებს.

ეხლა ოპოზიცია, სარგებლობს ამ ბიუროკრატიული დამახინჯებით და ხელს უწყობს რწმენის დაკარგვას ჩვენი სახელმწიფოს პროლეტარულ ხასიათში, და ემყარება რა ბიუროკრატიზმის ფაქტებს, ქმნის თეორიას საბჭოთა ხელისუფლების კლასიური გადაგვარებისა და პროლეტარიატის დიქტატურიდან უკან სვლის პერსპექტივების შესახებ.

მით უფრო მეტის სიმტკიცით სდგება ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე ამოცანა, რომ ფართოდ გაიშალოს ბრძოლა ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან ჩვენს პროლეტარულ სახელმწიფოში.

პარტია განსაკუთრებულის სიმტკიცით აყენებს ამოცანას მასების აქტივობის ზრდისა, მათი მონაწილეობისა სახელმწიფო აპარატის მართვა-გამგებლობის საქმეში, სახელმწიფოს აღმშენებელთა ახალი კადრების წამოყენებისა.

ამ ამოცანის განხორციელებაში—სახელმწიფო აპარატის პროლეტარული დემოკრატიის ძლიერ იარაღად გარდაქმნაში, ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ხელმძღვანელობითი როლი უნდა ითამაშონ.

პლენუმი გამოარკვევს აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლისა და მასში წარსულის ბიუროკრატიული მემკვიდრეობის მაქსიმალურად აღმოფხვრის პერსპექტივებს და შემდეგ ეტაპებს; იგი ამასთანავე ცენტ. საკონტრ. კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოებს მისცემს ხელმძღვანელო დირექტივებს ამ მუშაობის გზებისა და მეთოდების შესახებ.

ასეთია ის საკითხები, რომელნიც სდგანან ცენტრ. საკონტრ. კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მორიგი პლენუმის წინაშე. ეს საკითხები არიან წმინდა საქმიანი ხასიათის საკითხები და ამასთანავე ეხებიან ყველაზე უფრო კარდინალურ პირველხარისხოვან ამოცანებს, რომლებსაც პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აყენებს ცენტრ. საკონტრ. კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე პროლეტარული სახელმწიფოს აღმშენებლობის ეხლანდელ პირობებში.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 21 ოქტომბერი.

# საგანგებო წესები ინგლისში კიდევ ერთი თვითაა გაგრძელებული

## ბანკირების დეკლარაციამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საფრანგეთის მრეწველთა შორის

## ინგლისის ახალშენები მოითხოვენ სრულ დამოუკიდებლობას საშინაო და საგარეო საქმეებში

### ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვა

კიდევ ერთი თვით

**ლონდონი**, 20 ოქტ. რეიტერის სააგენტო იტყობინება:

„მეფემ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც ქვა-ნახშირის მრეწველობაში წარმოშობილ კონფლიქტის გამო გამოცხადებული **საგანგებო წესები** კიდევ ერთი თვით გრძელდება. ხელმოწერილია აგრეთვე ბრძანება 25 ოქტომბრისათვის პარლამენტის მოწვევის შესახებ; პარლამენტმა უნდა მოიწონოს საგანგებო წესების ნიადაგზე გამოცემული მთავრობის განკარგულებანი“.

### ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია

**ავსტრალიის პრემიერის განცხადება**

**ლონდონი**, 21 ოქტ. დღეს დილით საიმპერიო კონფერენცია განიხილავს ეკონომიურ პრობლემებს, რომელნიც მთელს იმპერიას შეეხებიან. მოხსენებით გამოვა ვაჭრობის მინისტრი ფილიპ კუნლაიფ-ლისტერ. ახალშენთა მინისტრი ემერი გააკეთებს ახალშენებთან და მანდატის ქვეშ მყოფ ტერიტორიებთან დამოკიდებულების მიმოხილვას.

ოფიციალურ ბანკეტზე ავსტრალიის პრემიერმა ბრიუსმა სიტყვა წარმოსთქვა; მან ილაპარაკა იმ დიად პრინციპის განხორციელებაზე, რომლის მიხედვით თვითმართველობის მქონე დომინიონები თავისუფალ და დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ და მათი ბედი სავსებით მათ ხელშია. **მათი თავისუფლების ოდნავ შეზღუდვას ან შეცვლას ისინი, რასაკვირველია, წინააღმდეგობას გაუწევენ.**

**ჩემბერლენის საიდუმლოება**

**პარიჟი**, 21 ოქტ. ჩემბერლენის მოხსენება საიმპერიო კონფერენციაზე შეეხებოდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და ინგლისის საგარეო პოლიტიკას ლოკარნოს ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

**ლონდონი**, 20 ოქტ. რეიტერის სააგენტო იტყობინება:

„საიმპერიო კონფერენციის სხდომაზე 20 ოქტომბერს ჩემბერლენი გამოვიდა მოხსენებით ინგლისის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ინგლისის უმაღლესმა კომისარმა ეგვიპტეში ლორდ ლოიდმა მოხსენება გააკეთა ეგვიპტეს მდგომარეობის შესახებ. ორივე მოხსენება საიდუმლოდ ითვლება და მათი შინაარსი არ იქნება გამოქვეყნებული“.

**კანადა ადგილს მოითხოვს ერთა ლიგაში**

**პარიჟი**, 21 ოქტ. „დეილი ნიუზ“-ის ცნობით, დომინიონები ერთა ლიგაში მოითხოვენ ადგილს კანადისათვის.

**ლონდონი**, 21 ოქტომბერი. კონფერენციის დღის სხდომაზე ემერიმ გააკეთა მოხსენება კოლონიებში და იმ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე, რომლებიც პროტექტორატისა და მანდატების ქვეშ იმყოფებიან. კამათში მონაწილეობა მიიღეს ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და სამხ. აფრიკის პრემიერებმა, რომელთაც მოხსენება გააკეთეს სამანდატო ტერიტორიებზე—ახალ გვინეაზე, დასავლეთ სამოაზე და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაზე, რომლების შესახებაც ისინი პასუხისმგებელნი არიან. დანიშნულია კომისია იმ საერთო ხასიათის საკითხების შესასწავლად, რომლებიც სამანდატო ტერიტორიებს ეხება.

### ფინანსიური კაპიტალის შემოტევა

**გრაბსკის განცხადება**

**ვარშავა**, 20 ოქტ. პოლონეთის მთავრობის ყოფილმა მეთაურმა 1923-25 წლებში ვლადისლავ გრაბსკიმ ჟურნალისტებთან საუბარში საერთაშორისო ფინანსისტებისა და მრეწველთა დეკლარაციის შესახებ განაცხადა:

„მე მიკვირს, რატომ მოაწერეს ხელი პოლონელმა მრეწველებმა ამ დეკლარაციას, მიტომ რომ **დეკლარაცია მიმართულია ახალი ადგილობრივი მრეწველობის შექმნის წინააღმდეგ და გამოხატავს იმ სახელმწიფოთა ინტერესებს, რომელნიც თავიანთ თავს ეკონომიურის მხრით სხვა სახელმწიფოებზე უფრო ძლიერად სთვლიან. ამ დეკლარაციაში აღნიშნულ გეგმათა განხორციელება მოსპობდა პოლონეთის მრეწველობას და პოლონეთს დამოკიდებულს გახდიდა სხვა სახელმწიფოთაგან**“.

პოლონეთის ბანკის თავმჯდომარემ კარპინსკიმ განაცხადა, რომ „მან დეკლარაციას ხელი მოაწერა მხოლოდ იმიტომ, რომ პატარა სახელმწიფოებს, რომელნიც საკმაო კრედიტებით არ სარგებლობენ, შეუძლიათ თავი იხსნან მხოლოდ საბაჟოების საშუალებით“.

დეკლარაციაში დასახული გეგმის განხორციელება, კარპინსკის აზრით, შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა ყველა ქვეყნები თანასწორად იქნებიან დაკმაყოფილებული კაპიტალით.

**საერთაშორისო საბანკო ტრესტი**

**ბერლინი**, 20 ოქტ. ვოლფის სააგენტოს ცნობით, **ახლო მომავალში უნდა შეიქმნას საერთაშორისო საბანკო ტრესტი.** ტრესტში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, შვეციის და გერმანიის ბანკები. ტრესტმა ფინანსები უნდა მიაწოდოს საერთაშორისო წარმოებებს გრძელვადიან კრედიტების სახით.

**პრესა დეკლარაციის შესახებ**

**პარიჟი**, 20 ოქტ. საფრანგეთის მემარჯვენე პრესა უკმაყოფილოა საერთაშორისო ფინანსისტებისა და მრეწველების დეკლარაციით და ფიქრობს, რომ **ეს დეკლარაცია საფრანგეთის წინააღმდეგ არის მიმართული.**

„საერთაშორისო ფინანსიური კაპიტალი,—სწერს მემარჯვენე „ფიგარო“,—პირველად გამოდის მთლიანი ფრონტით. ამ გამოსვლას ფაქტიურად მიზნად აქვს **ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება**“.

შეთანხმებელთა პროფკავშირების გაზეთი „პეპლ“ პირიქით ფიქრობს, რომ საერთაშორისო ფინანსისტები იმავე მოთხოვნილებას აყენებენ, რომელსაც აყენებდნენ სოციალისტები მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, სახელდობრ,—ევროპის ხელოვნურ შეზღუდვათა მოსპობას.

**საფრანგეთის მრეწველები უკმაყოფილონი არიან**

**პარიჟი**, 20 ოქტ. საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრმა ბოკანოვსკიმ მიიღო საფრანგეთის მრეწველების დელეგაცია, რომელმაც მას განუცხადა, რომ საფრანგეთის მრეწველებს არ მიუღიათ მონაწილეობა საერთაშორისო ფინანსისტების დეკლარაციის შედგენაში იმ ფორმით, როგორც იგი გამოქვეყნებულია. ივნისში საფრანგეთის მრეწველებმა ხელი მოაწერეს სულ სხვა განცხადებას იმავე საკითხის შესახებ, რომელიც ეხლა მეექვსე დანართის სახით ახლავს თან საერთაშორისო ფინანსისტების დეკლარაციას.

**28 საბაჟო საზღვარი**

**ბერლინი**, 21 ოქტ. საერთაშორისო სავაჭრო პალატის კრება პარიზში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამჟამად არსებულ 28 საბაჟო საზღვრის გაუქმება—ერთად-ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ ევროპა დაუბრუნდეს ნორმალურ ეკონომიურ მდგომარეობას.

### მოლაპარაკება ლატვიასთან

**მოლაპარაკება დაიწყო**

**რიგა**, 20 ოქტ. ლატვია-საბჭოთა მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების დასადებად 21 ოქტომბერს დაიწყება.

**ლატვიის მენშევიკები ლიტვა-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ**

**რიგა**, 20 ოქტომბერი. ეხება რა ამხ. არალოვის განცხადებას ლიტვა-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ, ლატვიის მენშევიკების გაზეთი „სოციალ-დემოკრატ“-ი სიამოვნებით ეხება საბჭოთა კავშირისა და ლატვიის შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების დაწყებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ ლატვიის მრეწველობა დაინტერესებულია საბჭოთა ბაზრით და მოუწოდებს ლატვიის სამრეწველო წრეებს „ხელი შეუწყონ ლატვიის საგარეო პოლიტიკის განთავისუფლებას ყოველგვარ იმ უსაფუძვლო ცრუმორწმუნეობიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის შესახებ არსებობს“.

### პილსუდსკის რესპუბლიკაში

**ანტი-გერმანული მანიფესტაციები ვარშავაში**

**ვარშავა**, 21 ოქტ. ვარშავაში ფართო მანიფესტაციები გაიმართა იმის გამო, რომ პრუსიის ლანდტაგმა 32 მილ. მარკა გადასდო გერმანიის ფარგლებში დარჩენილ პოლონურ მოსახლეობის გერმანიზაციისათვის, აგრეთვე პოლონურ უმცირესობის დევნის და გერმანიიდან 64,000 პოლონელ მიწის მუშის გადასახლების გამო. მანიფესტაციებმა მიმართეს მთავრობას წინადადებით, რომ მან შუამდგომლობა აღძრას ერთა ლიგაში გერმანიის პოლონურ უმცირესობის ნაციონალურ უფლებების დასაცავათ მსგავსად იმ უფლებებისა, რომელიც პოლონეთში არსებობს გერმანულ უმცირესობისთვის.

**თავდაცვის კომიტეტი**

**ვარშავა**, 21 ოქტ. მინისტრთა საბჭო პილსუდსკის თავმჯდომარეობით იხილავდა რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტის პროექტს სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის დაარსების შესახებ. კომიტეტი იმუშავებს რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით; კომიტეტში შევლენ სამხედრო, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები და აგრეთვე შეიარაღებულ ძალების გენერალური ინსპექტორი.

**სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოკვლა**

**ვარშავა**, 20 ოქტ. ლვოვში მოჰკლეს სამოსწავლო ოლქის მზრუნველი საბანსკი, რომელიც დიდ მძულვარებას იწვევდა უკრაინელებს შორის უკრაინული სკოლების დევნის პოლიტიკით.

### გერმანია და საფრანგეთი

**მოლაპარაკება საარის რაიონის შესახებ**

**ბერლინი**, 21 ოქტ. დღეს ბერლინში ჩამოვიდა საფრანგეთის ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელი სერიუსი, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს გერმანიასთან საარის ოლქის პროდუქციის ბაჟით დაბეგვრის შესახებ.

**რეიხსტაგი ტუარის შესახებ**

**ბერლინი**, 21 ოქტ. მომავალ სამშაბათს რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიაში დაიწყება კამათი ტუარის პოლიტიკის შესახებ. განხილული იქნება აგრეთვე საფრანგეთის ინტერესების უზრუნველსაყოფათ გერმანიის რკინისგზების ობლიგაციების მობილიზაციის საკითხი.

### არჩევნები საბერძნეთში

**შეტაკება**

**ლონდონი**, 21 ოქტ. ათენიდან მიღებული ცნობით, არჩევნების ვადის მოახლოვების გამო გახშირდა შეტაკებები პარტიებს შორის, განსაკუთრებით კომუნისტ-მუშებსა და კონსერვატორებს შორის. გუშინ ბირჟის შენობის მახლობლად გაფართოებულ შეტაკებას ჰქონდა **ადგილი. პოლიციამ გარეკა მებრძოლნი. შეტაკების ადგილას დარჩა 1 მოკლული მუშა და 4 დაჭრილი.** დაპატიმრებათა წარმოების დროს დაჰკრეს ერთი პოლიციელი.

### ჩან-ძო-ლინის სამეფოში

**კამპანია საბჭოთა საზოგადოებრივობის წინააღმდეგ**

**ხარბინი**, 20 ოქტომბერი. ამ უკანასკნელ დღეებში ჩინეთის პოლიციამ ენერგიული კამპანია დაიწყო ხარბინის მუშათა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების წინააღმდეგ. პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა და რამდენიმე წიგნთსაცავში აკრძალა ზოგიერთი წიგნების ხმარება.

ხარბინის საზოგადოებრივ გიმნაზიაში დაპატიმრებულია მშობელთა კომიტეტის ყველა წევრები და გიმნაზიის დირექტორი იმ მიზეზით, რომ გიმნაზიაში მშობელთა კომიტეტის არაკანონიერი კრება შესდგა. გიმნაზია დროებით დახურულია.

პოლიციის ასეთი მოქმედება იმის მაჩვენებელია, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ გადასწყვიტა ჩაატაროს ახალი კამპანია საბჭოთა საზოგადოებრივობის წინააღმდეგ.

**„მანჯურიაში მშვიდობიანობის დაცვის მიზნით“**

**ხარბინი**, 20 ოქტომბერი. ადგილობრივი იაპონიური წრეები მტრულად უცქერიან ჩან-ძო-ლინის სურვილს გაგზავნოს ჯარები ცენტრალურ ჩინეთში. იაპონიის პრესა აცხადებს, რომ იაპონელები არ დაუჭერენ მხარს ჩან-ძო-ლინს, თუ რომ ის ჩინეთის შიგნი გაგზავნის ჯარების და აცხადებს, რომ მანჯურიაში მშვიდობიანობის დაცვის მიზნით ჩან-ძო-ლინმა ხელი უნდა მოჰკიდოს არა ომებს, არამედ თავისი ქვეყნის მეურნეობის აღორძინების საქმეს.

### ნახშირის კრიზისი

იტალიაში

**ბერლინი**, 21 ოქტ. იტალიაში ნახშირის დიდი ნაკლებობაა. ზოგიერთ რაიონებში ქარხნები აღარ მუშაობენ. მრეწველობის და მთავრობის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება სწარმოებს ნახშირის კრიზისის აღმოსაფხვრელ ზომების გარშემო.

### დელეგაციას არ უშვებენ

**პრაღა**, 20 ოქტ. გაზეთების ცნობით, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა საზღვარ-გარეთის პასპორტებს არ აძლევს ახალგაზრდა მუშათა მეორე დელეგაციის წევრებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირში წამოსვლა უნდათ.

# საბჭოთა პრესა

**მდგომარეობა ბაზარზე**

უკანასკნელ დროს ბაზრის მდგომარეობაში არსებითი ცვლილებებია შემჩნეული. მოთხოვნილება საქონელზე საერთოდ შემცირდა. სავაჭრო ბრუნვამ იკლო. საქონლის სიმშილთან დაკავშირებულ მოვლენებს, როგორიცაა სავაჭროების წინ რიგები, აჟიოტაჟი და სპეკულიაცია,—არა აქვს ადგილი. რით აიხსნება ეს მოვლენა? „კოოპერატივნაია ჟიზნ“ ამაზე სწერს:

„მნიშვნელოვან როლს აქ თამაშობს წარმოების გადიდება. ასე, მაგ., აგვისტომ მოგვცა მატება ივლისის წინააღმდეგ 18,5 პროც. გ.წ. აგვისტოსთან შედარებით გვაქვს მატება 43,4 პროც., ხოლო 11 თვის განმავლობაში (1925 წ. ოქტომბრიდან 1926 წ. აგვისტომდე) საერთო მატება აღწევს 41 პროც. ბაზარმა ერთგვარად უკვე იგრძნო სამრეწველო პროდუქციის ეს გადიდება და მოთხოვნილების რამდენიმედ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით მთელ რიგ საქონლის მიმართ იჩენს თავდაჭერილობას და დაცდის პოლიტიკას ამჟღავნებს.

ამასთან ერთად არის მთელი რიგი გარემოებანი, რომელნიც იწვევენ მოთხოვნილების შენელებას. მხედველობაში გვაქვს მრავალ სავაჭრო ორგანიზაციის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა, ანგარიშის გასწორების მძიმე პირობები, ბოლოს, მოთხოვნილების შემცირება მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით.

მაგრამ მოთხოვნილების შენელების მთავარი მიზეზი მდგომარეობს ფასების მაღალ დონეში. თუ ვლაპარაკობთ კერძოდ გლეხურ მოთხოვნილებაზე, ის, ეჭვი არ არის, შემცირებულია სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ფასების შეუფარდებლობის წყალობით“.

აქედან ბრძოლა ფასების დაკლებისათვის საქონლის ტრიალის განვითარების ძირითადი პირობაა. ამ მხრივ კოოპერაციას, როგორც საქონლის მთავარ მასსის გამტარებელს, უდიდესი მოვალეობა აწევს. მან უნდა შეამციროს საორგანიზაციო და ზედნართი ხარჯები, გამოიჩინოს უკიდურესი მომჭირნეობა, მოახდინოს თავის აპარატის რაციონალიზაცია და ამ გზით მიაღწიოს საქონლის გაიაფებას.

**სწორი გზა**

მაგრამ კოოპერაცია დღემდე ამ ამოცანის განხორციელებაში ძალზე მოისუსტებს. ის სხვათა შორის, თავს იმართლებს იმ მოსაზრებით, რომ საჭიროა ზევიდან ფასების დაკლება, რომ შესაძლებელი იყოს საქონლის იაფად გაყიდვა. მაგრამ ეს საბუთი ბევრ შემთხვევაში სრულიად უსაფუძვლოა. ამის ნათელსაყოფად „ბედნოტა“-ს ზევითმოყვანილ სათაურით მოთავსებულ წერილში მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

„ამ დღეებში ცენტროკავშირმა მოისმინა მოხსენება ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობის შესახებ ოსტაშკოვსკის რაიონულ კავშირში. რა აღმოჩნდა? ფასები არ დაუკლიათ, მიუხედავად იმისა, რომ რაიკავშირს საქონელი მიუღია დაკლებულ საბითუმო ფასებში. ამგვარად, ზევიდან ჩატარებული ფასების დაკლება დაბლა არ ემჩნევა და მომხმარებელი ძველებურად ძვირად ჰყიდულობს საქონელს. და ცენტროკავშირი სავსებით სწორად მოიქცა, როცა გაკიცხვა გამოუცხადა ოსტაკოვშკის რაიონულ კავშირის გამგეობას და გააფრთხილა ის, რომ თუ შემდეგში, ფასების დაკლების საქმისადმი ასეთივე უყურადღებო დამოკიდებულებას გამოიჩენს, ცენტროკავშირი იძულებული გახდება მოიწვიოს რაიკავშირის რწმუნებულთა სასწრაფო კრება, რათა დასვას მათ წინაშე გამგეობის ეხლანდელი შემადგენლობის გადარჩევის და მისი პასუხისგებაში მიცემის საკითხი.

მაგრამ ცენტროკავშირი ამით არ დაკმაყოფილდება. მან სრულიად სამართლიანად დანაშაულის წილი გადაიტანა აგრეთვე სარევიზიო კომისიაზე. სარევიზიო კომისიას პირველს უნდა გამოეშკარავებინა გამგეობის მუშაობის ნაკლულოვანებანი და მიეთითებინა მისთვის იმ ფაქტებზე, რომელნიც გამოირკვენ მოხსენებაში. სარევიზიო კომისიამ კი გულგრილად ჩაუარა ამ ფაქტებს. უფრო სწორად—სრულებით არ უცდია ასეთების აღმოჩენა“.

მართლაც, სწორი ნაბიჯია. საჭიროა კოოპერატიულმა კავშირმა სისტემატიური კონტროლი გაუწიოს კოოპერატიულ ორგანიზაციებს საქონლის ფასების დაკლების საქმეში და მიიღოს მათ წინააღმდეგ გადაჭრილი ზომები, თუ ისინი ამ მხრივ უმოქმედობას გამოიჩენენ.

# პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება

**საუბარი პოლონეთის ელჩთან რიგაში**

**რიგა**, 20 ოქტ. პოლონეთის ახლად დანიშნულმა ელჩმა რიგაში ლუკაშევიჩმა ჟურნალისტებთან საუბარში საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების საკითხის შესახებ განაცხადა:

„აგვისტოში საბჭოთა მთავრობამ გამოგვცა საგარანტიო ხელშეკრულების პროექტი. ამ ჟამად ჩვენ შევუდექით ამ საკითხის გადაწყვეტას. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხის შესახებ პოლონეთის მთავრობა გამოიტანს ახლო მომავალში.

პოლონეთი თავისი საგარეო პოლიტიკის ყველა სადაო კითხვებს აწესრიგებს საარბიტრაჟო კომისიაში, რომელსაც გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება: (საარბიტრაჟო კომისიაში, როგორც ვიცით, გარდა მოდავე მხარეებისა, სამედიატორო გასამართლების სახით მონაწილეობენ რომელიმე მესამე „არადაინტერესებულ“ სახელმწიფოს წარმომადგენლები). პოლონეთის მთავრობა და აგრეთვე ბალტიის სახელმწიფოების მთავრობებიც პრინციპიალურად მოითხოვენ ასეთი საარბიტრაჟო კომისიების დაარსებას.

ხმები იმის შესახებ, თითქოს პოლონეთმა თავს იდო ბალტიის სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევა, უსაფუძვლოა. ამ სახელმწიფოების შეთანხმებით ასეთი თაოსნობა ლატვიას ეკუთვნის“.

# მოკავშირეთა სამხედრო-საკონტროლო კომისიის მოხსენება

**პარიჟი**, 20 ოქტ. ჰავასის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ელჩთა კონფერენციამ მოისმინა მოკავშირეთა სამხედრო-საკონტროლო კომისიის მოხსენება გერმანიის განიარაღების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გერმანიამ დღემდე არ შეასრულა კომისიის მთელი რიგი მოთხოვნილებები შემდეგ საკითხების შესახებ: არმიის უკანონო შევსებაზე, სამხედრო მასალების წარმოებაზე, კენიგსბერგში სიმაგრეების განადგურებაზე, საპორტო ორგანიზაციების მოწყობის შესახებ, რომლებიც სამხედრო მიზნებს ისახავენ და სხ. კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ სამხედრო კონტროლი გერმანიაზე ერთა ლიგას გადაეცემა მხოლოდ მას შემდეგ, როცა გერმანია კომისიის ყველა მოთხოვნილებებს შეასრულებს.

# იაპონიაში

**იაპონიის ფაშისტები მთავრობის წინააღმდეგ**

**ტოკიო**, 20 ოქტომბერი. იაპონიის ფაშისტებმა მტკიცედ გადასწყვიტეს ანარხისტ ბოკურესის საქმე, რომელსაც სიკვდილით დასჯა სამუდამო დაპატიმრებით შეუცვალეს, გამოიყენონ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის. ფაშისტები აწყობენ მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგებს. შიბა-პარკში 19 ოქტომბერს მათ მოაწვიეს 10.000 კაცისაგან შემდგარი მიტინგი, რომელმაც მოითხოვა მთავრობის გადადგომა. პოლიციამ დააპატიმრა 30 კაცი. მთავრობის წევრების ბინებს პოლიციის რაზმები იცავდა.

# ვილჰელმის „მისია“

**პარიჟი**, 21 ოქტ. გერმანიის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ ყოფილ კაიზერის დაბრუნებას გერმანიაში. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ვილჰელმის დეპეშა ერთ-ერთ ამერიკელ კორესპონდენტისადმი, სადაც ის ლაპარაკობს, რომ „ამბები განგებაზეა დამოკიდებული“. გაზეთები აქედან დაასკვნიან, რომ ყოფილ კაიზერს თავისი მისია არ მიაჩნია დასრულებულად და იმედი აქვს, რომ კვლავ დაიბრუნებს წინანდელ პოპულიარობას.

# ზეიპელის მთავრობა

**ვენა**, 20 ოქტ. პარლამენტმა დაამტკიცა ახალი მთავრობა ზეიპელის მეთაურობით. გარეშე საქმეთა მინისტრის ადგილი თვითონ ზეიპელმა დაიჭირა. ზეიპელმა განაცხადა, რომ ახალი მთავრობა განაგრძობს ძველი მთავრობის პოლიტიკას.

**ლონდონი**, 21 ოქტ. ვენიდან მიღებული ცნობით, ავსტრიის ნაციონალურმა საბჭომ ნდობა გამოუცხადა ახალ მთავრობას, რომელსაც ზეიპელი თავმჯდომარეობს.

# ფრანკი და ბიუჯეტი

**პარიჟი**, 21 ოქტ. პუანკარემ, მიიღო რა გენერალური მომხსენებელი ბიუჯეტის შესახებ, განაცხადა, რომ ის ითხოვს კენჭი ეყაროს ბიუჯეტს 31 დეკემბრამდე და დეპუტატთა პალატის სესიის განახლებისას, იანვარში წარადგენს ფრანკის სტაბილიზაციის და ვალების საკითხის მოწესრიგების პროექტს.

# ახალი მთავრობა

ჩეხო-სლოვაკიაში

**პარიჟი**, 21 ოქტ. პრაღიდან მიღებული ცნობით ჩეხო-სლოვაკიის სეიმმა 156 ხმის უმრავლესობით 113-ის წინააღმდეგ მოიწონა მთავრობის დეკლარაცია.

# კონტინენტალური ფოლადის ტრესტის გარშემო

**მუსოლინი უკმაყოფილოა**

**რომი**, 19 ოქტომბერი. „პოპოლო დი იტალიამ“ განაცხადა: „ევროპის ფოლადის ტრესტის შექმნა დიდ საფრთხეს უმზადებს იტალიას, ლოკარნოს სული სინამდვილეში იმას ნიშნავს, რომ „მეგობრობა მეგობრობად დარჩეს და საქმეები კი ცალ-ცალკე აკეთონ“. ევროპის ფოლადის ტრესტის შექმნა დიდ ზიანს აყენებს ერთა-ლიგის ღირსებას.

ოფიციალური გაზეთი „პოპოლო დი იტალია“ აცხადებს, რომ „ევროპის კარტელების შექმნა არ შეუწყობს ხელს მშვიდობიანობის შექმნას; ის განამტკიცებს მხოლოდ სამრეწველო ნედლეულის მონოპოლისტების მდგომარეობას.

იტალია-კი—სწერს გაზეთი—რომელიც არის სამრეწველო ნედლეულის მომხმარებელი, დაინტერესებულია იმაში, რომ სწარმოებდეს კოოპერაცია მსოფლიო ბაზარზე. იტალიას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ეკონომიურ ლოკარნოში, რომელიც არსებითად ჰქმნის ისეთ მდგომარეობას, როცა მონოპოლისტები საკუთარი სურვილისამებრ დააფასებენ ფასებს ნედლეულზე. ეს დაარღვევს იტალიის ლითონის მრეწველობის ნედლეულის ბაზას და გაუძნელებს განვითარებას ლითონის მრეწველობას.

გაზეთი აცხადებს: თუ ერთა ლიგის ეკონომიური კონფერენციის მოწვევამდე ან მის გარეშე მოხდება ეკონომიური კავშირების დაარსება დიდ სახელმწიფოებს შორის უფრო სუსტი სახელმწიფოების ხარჯზე, მაშინ ყოველგვარი აზრი ეკარგება ასეთი კონფერენციის მოწვევას.

**ფოლადის ტრესტის გაფართოება**

**რომი**, 19 ოქტომბერი. „აჟენცია დირომი“-ს იტყობინებენ ვარშავიდან, რომ პოლონეთის ფოლადის მრეწველობა შევა ევროპის ფოლადის ტრესტში. ავსტრიისა და ჩეხო-სლოვაკიის ფოლადის მრეწველობასთან ერთად.

ამასთან ერთად იუწყებიან, რომ უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობა პოლონეთ. ფოლადის მრეწველობაში ასეთი სახის იქნება: გერმანიის—48 პროც., საფრანგეთის—20 პროც., და ავსტრია-ჩეხო-სლოვაკიიდან—20 პროც.

# გერმანიის მშრომელი ხალხის გაძარცვა

**რა აჩუქეს ვილჰელმს**

**ბერლინი**, 21 ოქტომბერი. „როტე ფანე“ მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები იმ შეთანხმების შესახებ, რომელზედაც ხელი მოაწერეს პრუსიის ფინანსთა მინისტრმა და ჰოჰენცოლერნების იურისკონსულტმა. **ამ შეთანხმების ძალით ჰოჰენცოლერნებს უბრუნდება მთელი რიგი სასახლეებისა ბერლინსა და პოტსდამში, მიწის ნაჭრები 400 ათასი მორგენის რაოდენობით** (დაახლოებით 100 ათას დესეტინამდე), ყოველგვარი ავეჯეულობა და მოწყობილობა, რაც კი აღმოჩნდება სასახლეებში 1926 წლის 1-ლ ნოემბერს. ამას გარდა ჰოჰენცოლერნებს მიეცემათ ფულადი კომპენსაციაც იმ ქონებისათვის, რომელიც მათ საზღვარგარეთ ჩამოართვეს მოკავშირეებმა ვერსალის ხელშეკრულების ძალით.

**ამრიგად ჰოჰენცოლერნები ღებულობენ 15 მილიონ მარკას, რომელიც სავსებით გადახდილი უნდა იქნეს 1927 წლის მაისის დამლევამდე და 1.500 ათას მარკას იმ განსაკუთრებული ფონდიდან, რომელიც იყო საიმპერატორო დინასტიის განკარგულებაში მათი ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს.** სახელმწიფო ვალდებული ხდება აგრეთვე უზრუნველყოს პენსიებით სასახლის ყველა ყოფილი მოხელეები მიუხედავათ იმისა, როდის მოხდა მათი სამსახურიდან დათხოვნა. თითქმის იმ მოხელეებსაცკი, რომლებიც ამჟამად მსახურებენ „დორნში“ (ეხლანდელი რეზიდენცია ვილჰელმისა ჰოლანდიაში, ან საიმპერატორო გვარეულობის რომელიმე წევრთან), ეძლევა სახელმწიფოდან პენსიის მიღების უფლება, თუ ისინი დათხოვნილი იქნებიან 1927 წლის 1-ლ აპრილამდე.

პოლიტიკურად მეტად მნიშვნელოვანია შეთანხმების მე-7 მუხლი, რომელშიაც ნათქვამია: „პრუსიის სახელმწიფო აძლევს პრუსიის ყოფილ მეფეს ვილჰელმ II თავის განკარგულებაში ჰამბურგის სასახლესა და პარკს, როგორც სიკვდილამდი საცხოვრებელ ადგილს, თითონ მასა და მის მეუღლეს. ეს მუხლი საბაბს აძლევს საზოგადოებრივ წრეებს იფიქრონ, რომ ვილჰელმ II ახლო მომავალში დაბრუნდება გერმანიაში მუდმივ საცხოვრებლად.

ზემოაღნიშნული შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერა პრუსიის სოც.-დემოკრატიულმა მთავრობამ, გაცილებით უფრო ხელსაყრელია ჰოჰენცოლერნებისათვის, ვინემ ის კომპრომისული პროექტი, რომელიც ამ ზაფხულზე წარმოდგენილი იყო ლიუტერის მემარჯვენე მთავრობის მიერ და დამარცხდა რეიხსტაგში. ამ კომპრომისის მიხედვით ყოფილი დინასტია ღებულობდა 200 ათას მორგენ მიწას და 6—7 მილიონ მარკას.

**კუჩინსკის კომიტეტი ჰოჰენცოლერნებთან შეთანხმების წინააღმდეგ**

**ბერლინი**, 19 ოქტომბერი. კუჩინსკის კომიტეტმა, რომელიც მოითხოვს ყოფილ მეფის საგვარეულო ქონების ჩამორთმევას უსასყიდლოთ, დაადგინა განაგრძოს ბრძოლა ჰოჰენცოლერნებთან შეთანხმების წინააღმდეგ მას შემდეგაც კი, რაც პრუსიის ლანდტაგმა მიიღო მათთან შეთანხმება. ამ მიზნით კომიტეტი ახლო მომავალში მოაწყობს საჯარო მიტინგებს და დემონსტრაციებს, როგორც ბერლინში, ისე პროვინციაში. კომიტეტის მთავარი მოთხოვნილება იქნება ჰოჰენცოლერნების გვარეულობის წევრთა გადასახლება გერმანიის საზღვრებიდან და აგრეთვე მოთხოვნილება ლანდტაგის დათხოვნის შესახებ.

კომიტეტმა დაადგინა აგრეთვე მიმართოს მოწოდებით მთლიანი ფრონტის შესაქმნელად ბერლინის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების თანამდებობის პირებს და ბერლინის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს, რომელთა გაერთიანებულმა კრებამ ერთხმად დაადგინა განაგრძოს ბრძოლა ჰოჰენცოლერნებთან შეთანხმების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად კუჩინსკის კომიტეტმა დაადგინა წინადადება მისცეს ყველა იმ ორგანიზაციებს, რომელთაც ურთიერთობა აქვთ მასთან, მიიღონ მონაწილეობა მშრომელთა მომავალ კონგრესზე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისურ მეგობრობის არგუმენტი



ჩინეთში ინგლისის წარმომადგენლად ახლად დანიშნულმა ლემპსონმა განაცხადა, რომ ინგლისი თანაუგრძნობს ჩინეთის ხალხს და არ გაუშვებს შემთხვევას ეს თანაგრძნობა საქმით დაამტკიცოს.

(დეპეშებიდან)

ინგლისის ფლოტი ჩინეთის წყლებში გაძლიერებულია ახალი სამხედრო გემებით, რომლებიც მზად არიან ინგლისის ინტერესების დასაცავად.

(დეპეშებიდან)

# უკანასკნელი ცნობები

### [illegible]ბის შეწყვეტის კამპანია

[illegible], 21 ოქტომბერი. ნოტინგამშირის მეტ[illegible]აროებში მომუშავეთა რიცხვი მცირდე[illegible] მომუშავე ხვალ შეწყვეტს მუშაობას. სმიტი მემაღაროების ეკვსი წარმომადგენლის თანხლებით გაემგზავრა დერბიშირში მუშაობის შესაწყვეტი კამპანიის ჩასატარებლად. კუკმა განაცხადა, რომ ამ კამპანიის ჩატარების შემდეგ ამჟამად მომუშავე მემაღაროების უმრავლესობა მუშაობას შესწყვეტს.

### პოლიციამ დემონსტრანტ - მემაღაროებს ტყვიები დაუშინა

ლონდონი, 21 ოქტომბერი. რონდის ვაკეში (სამხრეთ უელსი) შესდგა მემაღაროეთა მასიური დემონსტრაცია შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ. პოლიციამ ტყვიები დაუშინა დემონსტრანტებს. დაიჭრა ბევრი მემაღარო.

### ბანკირების დეკლარაციის გამო

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი. მრეწველობისა და ბანკირების დეკლარაციამ შეერთებულ შტატების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. იმათ ეშინიათ, რომ საბაჟო ტარიფების საკითხის უდროოდ აღძვრას შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს არჩევნების კამპანიაზე, რომლის ჩატარებასაც წინად მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ლოზუნგით ფიქრობდენ.

### გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატში

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატში შესდგა მიღება, რომელიც მოაწყო საბჭოთა კავშირის დელეგაციამ ლიტვა - საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად ლიტვის დელეგაციის საპატივსაცემლოდ, დაესწრენ ლიტვის დელეგაციის თავმჯდომარე პურიცისის მეთაურობით ლიტვის დიპლომატიური მისია მოსკოვში ელჩ ბალტრუშაიტისის მეთაურობით, გარეშე საქმეთა სახ. კომისარი ამხ. ჩიჩერინი, გარეშე საქ. სახ. კომისარის მოადგილე ლიტვინოვი და კარახანი, სამხედრო საბჭოს წევრი კამენევი, საბჭოთა დელეგაცია და სხვ.

### სესხი

ლენინგრადი, 21 ოქტომბერი. 21 ოქტომბერს 4 საათამდი ლენინგრადში ახალი მომგებიანი სესხის ობლიგაციები გაყიდულია 3.570.000 მანეთის.

### ამხ. რაკოვსკი მოსკოვში ჩავიდა

მოსკოვი, 21 ოქტ. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. რაკოვსკი.

### ამხ. ხინჩ[illegible]იულ გაერთიანების სესიის შესახებ

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. გამბურგიდან საერთაშორისო კოოპერატიულ გაერთიანების მორიგ სესიიდან დაბრუნდა მთავარ კოოპერატიულ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ხინჩუკი. მისი სიტყვით კოოპერატიულ გაერთიანების მემარცხენე ფრთა მიმდინარე სესიის დროს განსაკუთრებული გააფთრებით ესხმოდა თავს საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლებს. ამავე დროს წინადადება, რომ საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებს მხოლოდ 7 ადგილი დაეთმოს გაერთიანებაში, მიღებულ იქნა მხოლოდ 19 ხმის უმრავლესობით 15 წინააღმდეგ, 5 თავი შეიკავა. ზოგიერთი ორგანიზაციები, როგორც პოლონეთის და გერმანიის, რომლებიც საზოგადოთ წინათ ჩვენს წინააღმდეგ აძლევდენ ხმას, ახლა ჩვენს მხარეზე გადმოვიდენ. ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ მიღებულ იქნა შვეციის დელეგაციის წინადადება—საკითხი საბჭოთა წარმომადგენლების რიცხვის შესახებ ხელახლად გაარჩიოს გაერთიანების აღმასკომმა ხელახლად განსახილველად.

### საფრანგეთი და იტალია

პარიჟი, 21 ოქტომბერი. იტალიის წყაროებიდან მიღებული ცნობის თანახმად ახლო მომავალში მოხდება ბრიანისა და მუსოლინის შეხვედრა—განიხილავენ სირიაზე საფრანგეთის მანდატის საკითხს. იტალია სთხოვს საფრანგეთს უარი სთქვას მანდატზე იტალიის სასარგებლოდ, რისთვისაც სამაგიეროდ იტალია უარს იტყვის ტუნისსა და მაროკოს შესახებ ყოველგვარ პრეტენზიებზე.

### ჰაეროპლანის ჩავარდნა ზღვაში

ლონდონი, 21 ოქტომბერი. დღეს ზღვაში ჩავარდა ჰაეროპლანი, რომელიც კროიდონიდან პარიჟში მიფრინავდა. ყველა ათი მგზავრი და პილოტი გადაარჩინეს.

### საფრანგეთის პროტესტი

პარიჟი, 21 ოქტომბერი. საფრანგეთმა პროტესტი განაცხადა მსუბუქი სამხედრო გემი „ალერტ“-ისათვის ტყვიების დაშენის გამო.

### დეფიციტიანი ბალანსი

პარიჟი, 21 ოქტომბერი. ოქტომბრის პირველი ნახევრის გასავალი ინგლისში შემოსავალს 23.085.000 გირვანქა სტერლინგით აღემატება.

# სხვადასხვა

### ქვემო - სილეზია დახმარებას ითხოვს

ბერლინი. 21 ოქტომბერი. გერმანიის რეიხსტაგის აღმოსავლეთის კომისიამ მიიღო ქვემო-სილეზიის პეტიცია, სადაც ის მოითხოვს დახმარებას და ამბობს, რომ ჰინდერლანდის დაკარგვის გამო მდგომარეობა უფრო საშიში გახდა.

### მილიონი დოლარი ყაჩაღების წინააღმდეგ

ბერლინი, 21 ოქტომბერი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, ამერიკის შეერთებულ შტატების საფოსტო სამმართველომ 1 მილ. დოლარი გადასდო ფოსტის დასაცავად ყაჩაღთა თავდასხმისაგან.

# რა ხდება უცხოეთში

### ძალთა გადაჯგუფება შეერთებულ შტატების სენატში

1928 წელს უნდა მოხდეს პრეზიდენტის არჩევნები შეერთებულ შტატებში. რესპუბლიკანულ და დემოკრატიულ პარტიებს შორის ბრძოლის გამწვავება უკანასკნელ ხანებში ცხადყოფს, რომ სამზადისი არჩევნებისათვის უკვე დაიწყო. მთელი რიგი მოვლენები ამტკიცებენ, რომ რესპუბლიკანური პარტია, რომელსაც ეკუთვნის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი კულიჯი, უფრო და უფრო კარგავს თავის გავლენას სახელმწიფოში. ამას მოწმობს პირველყოვლისა პოლიტიკურ ძალების ის გადაჯგუფება, რომელიც მოხდა სენატში, ეს უკანასკნელი კი დიდ როლს თამაშობს შეერთებული შტატების ცხოვრებაში.

სენატს წარმომადგენელთა პალატასთან ერთად ეკუთვნის საკანონმდებლო უფლებები. სენატი შესდგება 96 სენატორისაგან, რომლებსაც ირჩევენ ექვსი წლის ვადით, ორ-ორს თითეული შტატიდან. სენატი ამტკიცებს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირებს, იგი აწარმოებს იმ ბრალდებების გამორკვევას, რომლებსაც თანამდებობის პირებს უყენებენ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ უდიდეს გავლენას, რომელსაც სახელმწიფო აპარატი ახდენს არჩევნებზე, გასაგები გახდება ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც სენატს ეძლევა 1928 წ. საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით.

ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ კულიჯის მოწინააღმდეგეებს — დემოკრატებსა და პროგრესისტებს გააფთრებული იერიშები მიაქვთ სენატზე მის დასაპყრობათ. და ამას, როგორც ჩანს, ისინი მოახერხებენ, ვინაიდან რესპუბლიკანურ პარტიას სენატში ძლიერ უმნიშვნელო უმრავლესობა ჰყავს (რესპუბლიკანების ხელშია 55 ადგილი 96-დან), მაგრამ ამ 55 რესპუბლიკანელ - სენატორს შორის — 7 კულიჯის მოწინააღმდეგეა, 5 კი—ხშირათ თავისი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ აძლევს ხმას.

ამჟამად სწარმოებს მზადება სენატის არჩევნებისათვის. ყველა პოლიტიკური პარტიები ადგენენ თავისი კანდიდატების სიებს. ვისკონსინის შტატის რესპუბლიკანურმა პარტიამ წამოაყენა ორი კანდიდატურა: შტატის ახლანდელი გუბერნატორის ბლეინის (ლაფოლეტის მომხრე) და სენატის ლანრუტის (კულიჯის მომხრე). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გაიმარჯვა ბლეინმა, ლაფოლეტის მომხრემ.

ბლეინის გამარჯვება პირველი არ არის. კულიჯის მომხრეები დამარცხდენ ილინოისის, პენსილვანიის, ორეგონისა და იოვას შტატში. კულიჯის პრესტიჟი საკმაოდ შერყეულია.

ახლად დანიშნულ რესპუბლიკანელ კანდიდატებიდან — ვისკონსინისა და იოვის კანდიდატები — აშკარა „პროგრესისტები“ არიან.

ისინი, მთელ რიგ სხვა შტატების სენატორებთან ერთად აპირებენ ე. წ. „პროგრესიული ბლოკის“ შექმნას. მათ ალბათ მხარს დაუჭერს მუშა-ფერმერთა ერთადერთი სენატორი შიპსტედი მინესოტას შტატიდან.

შემდეგ სენატში არის ჯგუფი რესპუბლიკანელების, ბორა, კუზენს, ჯონსონი, ნორბეს და მაკმასტერი), რომლებსაც საშუალო ადგილი უჭირავთ კულიჯის მომხრეებსა და პროგრესისტებს შორის.

უკვე ამჟამად „პროგრესიულ ბლოკისა“ და დემოკრატების ხელშია მანდატების ნახევარი სენატში. თუ მათ შეუერთდა კიდევ ერთი სენატორი, ოპოზიციას საშუალება მიეცემა არ დაამტკიცოს კულიჯის მიერ ახლად დანიშნული თანამდებობის პირები და კულიჯის მთავრობის კანონპროექტები.

ყველაფერი ეს დიდ მღელვარებას იწვევს რესპუბლიკანური პარტიის ბანაკში, რაც თავის გამოხატულებას პოულობს პარტიული პრესის ფურცლებზე.

ა. ხ.

### მექსიკის მეურნეობის კრიზისი

მექსიკა სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. მისი მოსახლეობის 85 პროც. სოფლის მეურნეობას მისდევს. მიუხედავათ ამისა მექსიკა იძულებულია სურსათ - სანოვაგე უცხოეთიდან შემოიტანოს.

კიდევ უფრო მეტი. ვინაიდან „მაგი“-ს (მცენარე, რომლიდანაც კეთდება ნაციონალური მაგარი სასმელი—„პულკ“) ნათესების სივრცე შეუჩერებლად იზრდება, სურსათის შემოტანას თანდათანობით ფართე ხასიათი ეძლევა.

ასე მაგალითად, 1925 წ. მექსიკაში შეტანილ იქნა 50.000.000 მან. სურსათ-სანოვაგე. მიმდინარე წელს კი, ვარაუდით, შეტანილი იქნება დაახლოებით 80.000.000 მანეთის სურსათი. მექსიკას, მიუხედავათ იმისა, რომ იქ მეხილეობისათვის საუკეთესო ხელისშემწყობი პირობებია, მაინც წლიურათ შეაქვს 653.000 მან. ხილი.

რაც შეეხება სურსათის ექსპორტს, იგი თანდათანობით მცირდება, სამრეწველო საქონლის ექსპორტი კი არასოდეს არ ყოფილა მნიშვნელოვანი.

კონსერვატიულ გაზეთ „ექსცელსიორს“ წერილში სათაურით „მექსიკის მრეწველობის გაჭირვება“, მოჰყავს ახალი ოფიციალური სტატისტიკური ცნობები სამრეწველო საგნების ექსპორტის შესახებ 1926 წ. პირველ ნახევარში. სულ ამ ხნის განმავლობაში გატანილია უცხოეთში 930.000 მან. საქონელი. ექსპორტში მთავარი ადგილი უჭირავს ჩალის ქუდებს (370.000 მან.). შემდეგ — თოკები (150.000 მან.) და სამრეწველო სპირტები (100.000 მან.). გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს ციფრები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე წარსული წლის შესაფერი პერიოდის ციფრები.

მექსიკის ექსპორტის მთავარ ნაწილს კვლავინდებურად წარმოადგენს: ნავთი, სპილენძი, ცინკი, ყავა, ბოსტნეული.

1926 წ. პირველი ექვსი თვის განმავლობაში ექსპორტი უდრიდა დაახლოებით 358 მილიონ მან.

მთავარი ადგილი ექსპორტში ეჭირა ნავთსა და სხვა მინერალურ ზეთებს (125.000.000 მან., ნაცვლად 171.000.000 მან. 1925 წ. პირველ ნახევარში). ტყავი გატანილია 39.000.000 მანეთის, ცინკი — 19.000.000 მან., ყავა — 17 ½ მილიონი მანეთის, სპილენძი—15 მილ. მან., ბოსტნეული — 14,5 მილ. მანეთის, გამხმარი ხილი—[illegible] მილიონი მანეთის.

დასაკლავი საქონელი და ფრინველის ექსპორტი შეადგენდა 1.472.000 მანეთს, ოქროსა და ვერცხლის — 67 მილიონ მან.

მექსიკის ბურჟუაზიამ განიზრახა ესარგებლნა საგარეო ვაჭრობის გაუარესებით. მექსიკის „ნაციონალურმა სავაჭრო პალატამ“ სთხოვა პრეზიდენტ კაიესს „მიიღეს ზომები“ „მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად“. პალატის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა შორის მთავარია მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესება მექსიკაში უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე. ეს ღონისძიება, რასაკვირველია, ხელსაყრელია მხოლოდ მრეწველებისათვის, ისედაც გაძვალტყავებულ სოფლის მოსახლეობას კი იგი უფრო მეტ გაჭირვებაში ჩააგდებდა.

საგულისხმოა, რომ არავის აზრათ არ მოსდის ზომების მიღება, „მაგის“ ნათესების შესამცირებლად, რაც ხელს შეუწყობდა ერთი მხრივ სოფლის მეურნეობის შემოსავლიან წყაროების ზრდას და [illegible] შემცირებას.

ა. ხ.

# საბჭოთა კავშირში

## ნავთის მრეწველობა

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. სამეურნეო ორგანოების თათბირმა, რომელიც საბჭოთა ყრილობებთან შესდგა, მოისმინა რა ნავთის სინდიკატის წარმომადგენლის მოხსენება ნავთის მრეწველობის სავაჭრო პერსპექტივებისა და საწარმოო შესაძლებლობათა შესახებ 1926-27 წ., აუცილებლად სცნო ნავთის საწმენდი ქარხნების აგების დაჩქარება. ვინაიდან სატრანსპორტო დაბრკოლებანი საფრთხეს ქმნიან ნავთის პროდუქტების გეგმიანი მიწოდებისათვის, თათბირმა საჭიროდ სცნო სარეიდო და მდინარის ფლოტის გადიდება და ნავთსადგურის აგების დაჩქარება.

ყრილობათა საბჭომ თხოვნით მიმართა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ მხედველობაში მიიღოს სამეურნეო მუშაკების შეხედულებანი ნავთის მრეწველობის პროგრამის განხილვის დროს.

## 18.400.000 მან. ელექტროფიკაციისათვის

მოსკოვი, 21 ოქტ. ელექტრო გეგმის კომისიამ განიხილა საკითხი ადგილობრივი ელექტროფიკაციისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ. ადგილობრივი ელექტროფიკაციისათვის 1926-27 წელში გადადებულ საერთო თანხიდან —18.400.000 მანეთიდან, ამიერ-კავკასიას ხვდება 11,3 პროცენტი.

საელექტროფიკაციო მუშაობისათვის გადადებული თანხები ასეა განაწილებული: აჭარის წყალი—1 მილ. მან., ერევანი—220.000 მან., ლენინაკანი—200 ათასი მან., განჯა—200,000 მან., სოხუმი—300.000 მან., ნუხა—150.000 მან.

## 50.000 მან. მოგება

გომელი, 21 ოქტომბერი. ნოვოზიბკოვის სახელ. ბანკის სააგენტოში ამ დღეებში შევიდა თევზის მოვაჭრე ჟიჟინი და შეაძლია საგენტოს ეყიდათ მისგან სესხის ობლიგაცია.

შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტირაჟის დროს ამ ობლიგაციას მოეგო 50.000 მანეთი.

## რას ლაპარაკობენ ქვები

(წერილი მოსკოვიდან)

მოსკოვი შენდება.

მოსკოვს არ შეუძლია რომ არ შენდებოდეს: წითელი დედა ქალაქის მოსახლეობა იზრდება არა ნაკლებ 35.000 კაცისა ყოველწლიურად.

მოსკოვს არ შეუძლია რომ არ შენდებოდეს: მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილება, დაკავშირებული ახალ, წითელ ყოფა - ცხოვრებასთან, უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი. მშენებლობის შეუჩერებელი განვითარება ვერ უსწრებს ვერც მოსახლეობის რიცხვობრივ ზრდას და ვერც მის კულტურულ მოთხოვნილებებს.

ამით აიხსნება, რომ არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც კი, ელექტრონის მძლავრ სინათლეზე, მიუხედავათ წვიმისა, სიცივისა და ყოველგვარი უამინდობის, ერთი წუთითაც არ ჩერდება დედა ქალაქის გაცხოველებული მშენებლობა. და ქალაქის მიდამოებში, ცენტრში, გარე უბნებში — ყველგან, თითქმის ცხოველი ჟუჟუნა წვიმის შემდეგ, სოკოებივით ამოიმართებიან ახალი საცხოვრებელი სახლები და სახლი - გიგანტები, რომელნიც მომავალ მოსკოვს ეკუთვნის.

... სკორბიაშჩენსკის მონასტრის ძველ აგურის კედლებში, ქალაქის განაპირას, ბუტირკის რაიონში, ერთი მეორეზე აღიმართა რამდენიმე ათეული ორსართულიანი ქვის სახლი.

ეს — მუშათა უბანია, წლევანდელ ზაფხულში გაშენებული.

... ცენტრში, ნიკიტსკის ბულვარზე, ცოტა დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც აღმართულია პროფესორ ტიმირიაზევის რევოლიუციონური ძეგლი, ცას მიბჯენია მრავალსართულიანი უზარმაზარი სახლი — ერთ-ერთ სახკომატის თანამშრომელთა კომუნა. ამ გიგანტი სახლის აშენებას ორი წელიწადიც კი არ მონდომია.

მოსკოვის მშენებლობისთვის მიმდინარე წლის განმავლობაში გადადებული იყო 62 მილიონი მანეთი. დასრულებულმა საამშენებლო სეზონმა 60.000 კაცი უზრუნველჰყო საცხოვრებელი ბინით. ამასთან ერთად მუშაობს მოსკოვის განმტვირთავი კომისია. მისი თავდადებული მუშაობით 70.000 კაცზე მეტმა მიიღო საცხოვრებელი ბინა.

მოსკოვის საბინაო მშენებლობა — ეს მხოლოდ საფეხურია დღევანდელ მოსკოვისაგან მომავალ მოსკოვისაკენ. ქალაქი - ბაღის ტიპის მუშათა სამოსახლოები, უზარმაზარი სახლი-კომუნები, საზოგადო სასადილოებით, კლუბებით და სამკითხველოებით, — ეს უკვე მომავალი მოსკოვია.

მის გვერდით მრავალრიცხოვანი ძველი სახლების დასრულება ან ქალაქის შუაგულში სახლების შემთხვევითი, სახელდახელო წამოდგმა, —ეს ჯერ დღევანდელი მოსკოვია.

ხოლო რკინა - ბეტონის სახლი - გიგანტები, რომელთაც საძირკველი ჩაუყარა იმ „ათმა დღემ, რომელთაც შეძრეს მსოფლიო“,—ეს უკვე მთლიანად მომავალი მოსკოვია.

ამ უდიდეს შენობათა შორის ცალკე უნდა აღინიშნოს ლენინის სახელობის ინსტიტუტი. საბჭოთა მოედანზე, მოსკოვის საბჭოს წითელი სახლისა და გამარჯვების თეთრ მარმარილოს ქანდაკების წინ, აღმართულია რუხი გოლიათი. არაჩვეულებრივად სადა სტილი,—არავითარი მოვარაყება, არავითარი ზიზილ-პიპილები, მხოლოდ და მხოლოდ სისადავე, მხოლოდ და მხოლოდ მიზანშეწონილობა,—შეფარდება იმის გენიასთან, ვის სახელობაზედაც არის აგებული ეს შენობა.

ამ გოლიათ შენობის თავზე დაბუდებულია თითქოს მეორე, უფრო მინიატიურული სახლი, ისიც იმავე სტილის. აქ შენახული იქნება ყველაფერი, ლენინის მიერ დაწერილი, და ყველაფერი, ლენინზე დაწერილი. ამ უდიდეს რუხ გოლიათ შენობის შუბლს ამშვენებს შავად დაფერილი უბრალო წარწერა:

— ლენინის სახელობის ინსტიტუტი.

ეს სახლი, ყოველ ეჭვს გარეშე, ეკუთვნის, როგორც მომავალ მოსკოვს, ისე მთელ მომავალ მსოფლიოს. ინსტიტუტის წინაპირი სავსებით დასრულებულია.

მიმდინარე საამშენებლო სეზონში სხვა აგებულ შენობებიდან განსაკუთრებით საინტერესოა კიდევ ცენტრალურ ტელეგრაფის კოლოსალური შენობა, რომელსაც ზოგ ადგილას 14 სართული ექნება. აქედან საბჭოთა კავშირის გული და აზრი დაუკავშირდება ყველა მის ცალკე შემადგენელ ნაწილებს და გარე ქვეყანას. აქ დადგმული რადიო-სადგური თავის დროზე მიიღებს ცნობებს სხვა ქვეყნებში აფეთქებულ რევოლიუციების შესახებ.

ცენტრალურ ტელეგრაფის შენობა შენდება იმ ადგილას, ტვერისა და ოგარიოვის ქუჩების კუთხეში, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში იდგა ნახევრად დანგრეული შენობის ჩონჩხი, რომელსაც არ ეღირსა დასრულება. შენობა რკინა - ბეტონის ტიპისაა. სატელეგრაფო ხაზების სულ უახლესი მიღწევა - გაუმჯობესებანი გამოყენებული იქნება ამ შენობის აგების დროს. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის საზეიმო დღისათვის დასრულებული იქნება უკვე შენობის წინაპირი.

შეუძლებელია სხვა გიგანტ - სახლების ჩამოთვლა, რომელთაც სიცოცხლე შთაბერა ჩვენმა პოლიტიკურმა, კულტურულმა და სამეურნეო ზრდამ.

აქ, გაზეთ „იზვესტია“-ს ამერიკული ტიპის კოლოსალური სახლიცაა, „ელექტრობანკის“ უზარმაზარი შენობაც და კიდევ სხვა მრავალი.

ასე შენდება მოსკოვი.

ასე, ქვა ქვაზე. მილიონ ქვიდან შენდება მოხდენილი შენობები. ამბობენ—ქვები სდუმან, მაგრამ ეს ქვები მაინც გვეუბნებიან რაღაცას:

ისინი ნათლად ლაპარაკობენ, რომ აწმყო მოსკოვიდან ჩვენ გიგანტიური ნაბიჯებით მივაბიჯებთ მომავალ მოსკოვისაკენ.

ლ. შავერდაშვილი.

მოსკოვი, 15 ოქტომბერი.

## ფასების დაკლება

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. „ცენტროსოიუზის“ გამგეობა, აღნიშნავს რა ზოგიერთ დღეებით შედეგებს ფასების დაკლების მხრივ წარმოებულ მუშაობაში, აღიარებს, რომ მიღწეული შედეგები საკმაო არ არის. ცენტროსოიუზის საორგანიზაციო განყოფილებას წინადადება მიეცა გააძლიეროს მუშაობა ფასების დაკლების მხრივ მთელს მომხმარებელ კოოპერაციაში. საოლქო და სარაიონო კავშირებს წინადადება მიეცა წარუდგინონ ცენტროსოიუზს ყოველ ორ კვირაში მოხსენებები ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობის შესახებ.

## სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა თათბირი

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. დასრულდა სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა თათბირი მომავალ ხე-ტყის დამზადების კამპანიის შესახებ. შეშის დამზადება მომავალ კამპანიაში განსაზღვრულია 7 მილიონი კუბიკური საჟ. რაოდენობით. ამ სამუშაოს დასჭირდება მილიონ ნახევარი კაცის მუშაობა. სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კავშირის ცენტ. კომიტეტსა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შორის დადებულია გენერალური ხელშეკრულება ხე-ტყის მჭრელთა მუშაობის ძირითადი პირობების მოწესრიგების შესახებ.

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

## აზერბეიჯანი

### ბაქოს საბჭოს ბინათ მშენებლობა

ბაქო, 21 ოქტომბერი. არმენიკენდში ბაქოს საბჭოს მიერ დაწყებული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ახლოხანში უნდა მოთავდეს. ქვის სამუშაოები 100 პროცენტით მოთავებულია. ეხლა დამთავრდა 92 ბინის აშენება, სადაც უკვე დაბინავდნენ. მთელი ნაშენობის აგება დამთავრდება დეკემბრის ბოლოს. ასაშენებელი სახლები შეიცავს 7 კვარტალს, თვითეულში უნდა აშენდეს 100 სახლი, 496 ბინის რაოდენობით. სახლებით დაკავებული მოედანი უდრის 67,466 კვად. არშინს. სახლების ახლოს შეუდგენ სკვერის მოწყობას, სადაც ხეები დარგულია 9 დესეტინის სივრცეზე.

### პირუტყვთა მომშენებელი სადგური განჯაში

ბაქო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაადგინა აზერბეიჯანის საბჭოთა სოც. რესპუბლიკაში მოაწყოს საქონლის მომშენებელი სადგური განჯაში. ამ მიზნით გადაკეთებული იქნება ერთ-ერთი უმოქმედო ბამბის [illegible] ქარხანა. ამ დღეებში იქ გაემგზავრება სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: მიწათმოქმედების სახკომისარის მოადგილე დოტიევი, პროფესორი კალუგინი და ინჟენერი საქიესოვი.

## ბაქოს სეისმური სადგური

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, ვინაიდან ბაქოს სეისმიურ სადგურს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სეისმიურ დაკვირვებათა მუშაობისათვის, მისი შესანახი ხარჯები შეიტანოს საერთო-საკავშირო ბიუჯეტში — საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ხარჯთ - აღრიცხვის [illegible].

# ძირითად სასამართლო აპარატის ტკივილები

(მ. გ. ინსპექციის გამოკვლევა)

მიუხედავათ იუსტიციის სახკომის მიერ მიღებულ ზომებისა, სასამართლოს ძირითადი ორგანიზაციები მაინც სუსტად მუშაობენ, რაიც გამოიხატება შემდეგ ფაქტებში:

თითქმის ყველგან შეიმჩნევა საქმის ნელი წარმოება. საქმე თანდათან გროვდება და ხშირად კი ზოგიერთი საქმეების გადაწყვეტა წლობით [illegible]. ასეთ საქმეების რიცხვში ხშირათ ხვდება ისეთი საქმეებიც, რომლის გადადება ყოვლად დაუშვებელია. (მაგ. ტყის საქმე და სხვა.) ა-წ. 1 ივლისს თითო სახალხო სასამართლოში საშუალოდ ირიცხებოდა 580 საქმე, ყოველ საგამომძიებლო უბანში კი 60 საქმე. ძალიან ხშირათ შეხვდებით კოდექსების დარღვევის ფაქტებსაც და ამ შემთხვევაში უმთავრესად ბრალი ედება სახალხო მოსამართლეებს, რომლებსაც ხშირად გამოაქვთ უმართებულო დადგენილებანი, რაიც უმთავრესად აიხსნება ძირითად აპარატებში მომუშავეთა მეტად დაბალი კვალიფიკაციით.

სახალხო მოსამართლეების და გამომძიებლების მატერიალური მდგომარეობა ძალზე ცუდია: ზოგ ადგილებში თითქმის სამი თვით გვიანდება ჯამაგირის მიღება და ზოგან კი 9 თვემდისაც. (მაგ. ზემო სვანეთში). კანცელიარიის ხარჯებისათვის გადადებული თანხა სრულიად არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რის გამო არა აქვთ დაბეჭდილი ბლანკები. ზოგნი კი სულ არ ნიშნავდენ [illegible] და სდებდეს მას ცნობისათვის საჭირო ბლანკის უქონლობის გამო. აგრეთვე სესიის ხარჯებიც ძალზე ცოტაა, რაიც ხელს უშლის სასამართლოს მასებთან დაახლოვებას.

სასამართლოებს არა აქვთ აგრეთვე შესაფერი შენობები ძირითად სასამართლოს აპარატის მეტად ცუდი მატერიალური მდგომარეობის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ სასამართლოები ადგილობრივ ბიუჯეტზე არიან. ადგილობრივი აღმასკომები ხშირად ცუდ მატერიალურ პირობებში იმყოფებიან. ამიტომ სასამართლოებს უმცირებენ ისედაც მომჭირნეთ შედგენილ სმეტას.

ნაკლად ჩაითვლება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სასამართლოს ძირითადი აპარატის შემადგენლობის კვალიფიკაციის გასაუმჯობესებლად არ არსებობდა კურსები და სასამართლოს მუშაკებს არ ჰქონიათ ცოცხალი სისტემატიური ხელმძღვანელობა.

ვერ არის საქმე დაყენებული სახალხო მოსამართლეებზე და სახგამომძიებლებზე ინსტრუქციების მიწოდების დარგში. ინსტრუქტორები [illegible] საშუალების უქონლობის გამო მხოლოდ [illegible] კმაყოფილდებიან და ვერ აძლევენ ძირითადი სახ. სასამართლოს აპარატს ცოცხალ ინსტრუქციას. ვერ არის მოწყობილი სასამართლოს დადგენილებათა შესრულების კონტროლის საქმე. ხშირათ ასეთი კონტროლი სრულებით არ არის, რის გამო სასამართლომ არ იცის შესრულდა თუ არა მისი დადგენილება თავისუფლების აღკვეცის ან ჯარიმის შესახებ.

ვერ არის აგრეთვე საქმე შესაფერად დაყენებული საქმის წარმოების დარგშიაც. ყველა ზემოთმოყვანილი დეფექტების მოსასპობად და მომავალში სასამართლოს ძირითადი აპარატის გასაუმჯობესებლად აუცილებლად იქმნა ცნობილი შემდეგი ღონისძიებების მიღება:

სასამართლოს ძირითადი აპარატის ქსელის გაფართოება და ზოგ შემთხვევაში გადარაიონება. საჭიროთ იქმა ცნობილი სასამართლოს ძირითადი აპარატებში მომუშავეთა კვალიფიკაციის აწევა კურსების მოწყობით, ადგილებზე სისტემატიური ინსტრუქციების მიწოდებით (იურიდ. ლიტერატურის გავრცელებით), გამოცდების ჩატარებით და სხვა.

საჭიროდ იქნა ცნობილი აგრეთვე მომუშავეების მატერიალური პირობების გაუმჯობესება, სესიების უფრო რეგულიარული და ხშირი მოწვევა, ცნობების მიწოდების საქმის მოწესრიგება, ინსტრუქტორთა შტატის გადიდება, რომლებმაც დეტალურად უნდა შეისწავლონ სასამართლოს ძირითადი აპარატები და სხვა. ყველა ზემოხსენებული ღონისძიებები დაკავშირებულია საამისო თანხების მიწოდების საქმესთან რისთვისაც უნდა აღიძრას შუამდგომლობა უმაღლეს ორგანოების წინაშე სათანადო თანხის გამონახვის შესახებ.

მაგრამ არის მეორე ხასიათის ღონისძიებანი, რომელნიც არ არიან დაკავშირებულნი ახალი თანხების გამონახვასთან.

ამ მიზნით ეცნობა იუსტიციის სახკომს მიიღოს ზომები რიგ გარეშე გასარჩევ საქმეების რიცხვის შესამცირებლად, ამასთან ერთად ადგილებზე დაგზავნილ ინსტრუქტორებმა უნდა შეისწავლონ აპარატი საფუძვლიანად, წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით, იუსტიციის სახკომმა უნდა მიაწოდოს ლიტერატურა ადგილობრივ მუშაკებს, რომ ამით აწიოს მათი კვალიფ. ამავე კომისარ. უნდა მოაწესრიგოს საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა შესრულების კონტროლის შესახებ. სახელმწიფო ტყეების დაცვის მიზნით საჭიროა შეცვლილ იქმნას ტყის საქმეების გარჩევის სისტემა. ეს სისტემა უნდა გამოიმუშავოს შესაფერ კომისიამ, სადაც უნდა შევიდენ მიწათ-მოქმედების, ფინანსთა სახკომის, მ.-გ. ინსპექციის, და სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლები.

იუსტიციის სახკომს ეცნობა აგრეთვე, რომ მიიღოს ზომები შესაფერ წიგნების და ბლანკების შესადგენად, რომლებიც უნდა დაეგზავნოს სასამართლოს ადგილობრივ ორგანოებს. მ.-გ. ინსპექციამ მიაქცია იუსტიციის სახკომის ყურადღება იმ ფაქტს, რომ სასამართლოებს ხშირად გამოაქვთ უმართებულო დადგენილებანი, რაიც ახსნება მოსამართლეთა იურიდიულ მოუმზადებლობით.

# პარტიული ცხოვრება

## ოპოზიციის წინააღმდეგ—პარტიის მთლიანობისათვის

### დელეგატები მე-15-ტე პარტკონფერენციაზე

მოსკოვიდან

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს საკავშირო კომუნისტ. პარტ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მე-8-ე პლენუმზე, მე-15-ტე პარტკონფერენციაზე დასასწრებათ გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ იქნენ 12 კაცი. მათ შორის არიან: უგლანოვი, კონოვი, ბაუმანი, უხანოვი, მიხაილოვი და რიუტინი.

ლენინგრადიდან

ლენინგრადი, 21 ოქტომბერი. საკავშირო პარტკონფერენციაზე გადამწყვეტი ხმით იქნება 18 კაცი, მათ შორის: სტალინი, კიროვი, კომაროვი, ანტიპოვი და უგაროვი.

—:—

### მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს შესდგა საკავშირო კომპარტიის მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება სამეურნეო დაწესებულებებში მომუშავე კომუნისტების თანდასწრებით, რომელზედაც საკავშირო მეურნეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კუიბიშევი.

განვლილი სამეურნეო წლის მუშაობისათვის ჯამის გაკეთება, სთქვა ამხ. კუიბიშევმა—იმავე დროს არის ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის ჯამის გაკეთება. 1925—26 წ არის უკანასკნელი წლები ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის აღდგენითი პერიოდისა. ჩვენი მეურნეობის საერთო განვითარების ფონზე განსაკუთრებით მოჩანს მრეწველობის განვითარება. ჩვენი კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქცია გასულ წელს უდრიდა 21 მილიარდ მანეთს. სამრეწველო პროდუქცია შეადგენდა 7 მილიარდ მანეთს (იგულისხმება ომის წინა წლის მანეთი). ტრანსპორტის განვითარებამ მიაღწია ომის წინა დროის დონეს. მუშათა კლასის რიცხვი დაახლოებით უდრის 95 პროცენტს ომის წინა დროის დონესთან შედარებით. ერთი მუშის საშუალო ხელფასი აღწევს 101—105 პროც. ომის წინა დროსთან შედარებით. ეს ციფრები ამტკიცებენ, რომ ჩვენ გასულ წელს მეურნეობის ყოველ დარგში მივაღწიეთ ომის წინა დროის დონეს.

მაგრამ საკითხი არ სწყდება მხოლოდ რაოდენობის გაზრდით. საჭიროა, რომ ჩვენი მეურნეობის განვითარების საერთო ფონზე მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდის ტემპი უფრო დაჩქარებით ვითარდებოდეს, ვინემ კერძო კაპიტალისტური სექტორი. თუ მივმართავთ ციფრებს, ჩვენ დავინახავთ პარტიის პოლიტიკის სისწორეს მეურნეობის ხელმძღვანელობასა და სოციალისტური ბაზის განმტკიცებაში. მრეწველობა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაიზარდა 102 პროც. სასოფლო მეურნეობა კი 26 პროც. მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა კავშირის მთელ სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში 1923—24 წელში შეადგენდა 28 პროც., 1925—26 წელში-კი 30 პროც. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი მეურნეობის განვითარება მიდის დისპროპორციის აღმოფხვრისაკენ სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობას შორის. სახელმწიფო მეურნეობის ხვედრითი წონა ყოველ წლობით მატულობს. კერძო მრეწველობის როლი-კი ეცემა. თუ მივმართავთ საქონლის ბრუნვას, უნდა აღვნიშნოთ სახელმწიფოსა და კოოპერატიულ ორგანიზაციების როლის ზრდა საქონლის ბრუნვაში და კერძო კაპიტალის შევიწროება.

ამხ. კუიბიშევი შეჩერდა გასული წლის სამეურნეო სიძნელეებზე და აღნიშნა, რომ, მიუხედავათ განვლილი სიძნელეებისა, ჩვენ ვასრულებთ წელიწადს მნიშვნელოვანი მიღწევებით. მთელ სახალხო მეურნეობაში. შემდეგ ამხ. კუიბიშევმა აღნიშნა, რომ ჩვენს წინაშე სდგას ძირითადი ამოცანა დავიწყოთ მრეწველობის ძირითადი კაპიტალის რეკონსტრუქცია.

მრეწველობის განვითარების ტემპი თუმცა შენელდება,მაგრამ მიუხედავათ ამისა ის მაინც უფრო ჩქარა წავა წინ ომის წინადროსთან შედარებით და 1926—27 წ. მოგვცემს სამრეწველო პროდუქციის 18 პროცენტით მომატებას. კაპიტალური ხარჯები მრეწველობაზე, საბინაო აღმშენებლობაზე და ელსადგურების აშენებაზე შეადგენს მილიარდ მანეთზე მეტ თანხას. ეს მოწმობს იმას, რომ ინდუსტრიალიზაციის კურსი ჩვენი პარტიის მიერ მტკიცედ და შეურყევლად ტარდება. ოპოზიციის მიერ წამოყენებული წინადადება საბითუმო ფასების აწევისა და გლეხობის ძირითად მასაზე გადასახადების გადიდების შესახებ, არა თუ არ განამტკიცებს ჩვენს მრეწველობას, არამედ დაშლის იმ საძირკველს, რომელზედაც ის ემყარება. ჩვენ შეგვიძლია სოციალიზმის შენება მხოლოდ გლეხობასთან კავშირით და. ყოველგვარი სხვა პოლიტიკა, რომელიც დაარღვევს ამ კავშირს, უარყოფილი იქნება პარტიის მიერ.

—:—

### ახალი დოკუმენტი ლენინის შესახებ

მინსკი, 21 ოქტომბერი. რევოლიუციის მუზეუმმა შეიძინა ლენინის შესახებ აღმოჩენილი დოკუმენტი. ეს არის კიევის სასამართლო პალატის პროკურორის მიმართვა პეშორის მილიციის უფროსის მიმართ, დათარიღებული 1917 წლის 9 ნოემბრის რიცხვით, სადაც ცნობაა იმის შესახებ, რომ პეშორში იმალება ლენინი ივლისის გამოსვლის შემდეგ და წინადადება ეძლევა მილიციას ლენინის მოსაძებნათ და დასაპატიმრებლათ მიიღოს ზომები.

—:—

### უკრაინის პარტკონფერენცია

ხარკოვი, 21 ოქტომბერი. დღეს დაიხურა სრულიად უკრაინის პარტიული კონფერენცია. მთელ რიგ მოხსენებებზე მიღებულია რეზოლიუციები, მათ შორის ამხ. კაგანოვიჩის მოხსენებაზე პარტიულ მუშაობის ამოცანების შესახებ.

კონფერენციის დახურვის წინ ამხ. პეტროვსკიმ სთქვა: მოსკოვის ორგანიზაციის შემდეგ ჩვენი უკრაინის ორგანიზაცია წარმოადგენდა ყველაზე უფრო ფართო პლატფორმა, ოპოზიციის ძალების გასაშლელად, თუმცა ჩვენი პარტიის ცეკა დარწმუნებული იყო მთელი უკრაინის პარტორგანიზაციის ლენინურ სიმტკიცეში, მაგრამ ის მაინც უკანასკნელ სიტყვას კონფერენციიდან მოელოდა.

კონფერენციამ, თამამად შეიძლება ითქვას, მთელი 100 პროცენტით. განამტკიცა ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობა, რომელიც დარჩა ლენინიზმის ერთგული. ჩვენმა პარტიამ სავსებით გაიმარჯვა ოპოზიციაზე. ეხლა ყველა ოპოზიციონერებს უნდა ვუთხრათ: „თქვენი მთავარი შტაბი დამარცხდა, თქვენ უნდა გამოაცხადოთ ეხლა კაპიტულიაცია. მოდით ეხლა ხელი მოვკიდოთ ჩვენი სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობის საქმეს“.

### პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის პლენუმი—შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, მოისმინა რა მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის განსამარტავად ჩატარებულ კამპანიის შედეგების შესახებ, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ოპოზიციის გამთიშველი გამოსვლები, რომელთა მიზანი იყო ჩვენი ორგანიზაციის შემოქმედებითი მუშაობის ჩაშლა, ერთსულოვან და სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ წინააღმდეგობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია მტკიცედ სდგას პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და რომ ის იბრძოდა და მომავალშიაც დაუზოგავად იბრძოლებს ლენინიზმის რევიზიის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ.

საგუბერნიო კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მთელი პარტიის ერთსულოვანი ნებისყოფის წინაშე ოპოზიცია იძულებულია შემცდარად აღიაროს თავისი ფრაქციული მუშაობა, დასდოს ამ მუშაობის შეწყვეტის პირობა, იძულებულია იკისროს პარტიის და მის ცენტრალურ ორგანოების გადაწყვეტილებებისადმი დამორჩილება, იძულებულია გაემიჯნოს ოსოვსკის და მედვედევ-შლიაპნიკოვის მენშევიკურ პოზიციას, საბჭოთა კავშირის და კომინტერნის საწინააღმდეგო ცილისწამების კამპანიას, რომელსაც ოპოზიციის ზოგიერთი თანამგრძნობი ჯგუფები ეწევიან საზღვარგარეთ.

პლენუმი სცნობს, რომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შემდეგში წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ ვალდებულებანი, რომელიც გაერთიანებულმა ოპოზიციამ დაიკისრა, არ დარჩენ ცალიერ სიტყვებად და სავსებით იქნენ განხორციელებულნი, რომ დაშლილ იქნენ ყველა ფრაქციული ჯგუფები, შეწყვეტილ იქნეს არალეგალური ლიტერატურის გავრცელება, ბოლო მოეღოს პარტიისათვის დისკუსიის თავზე მოხვევის ცდას. პარტიამ ყოველივე ზომები უნდა მიიღოს იმისთვის, რომ მთლიანობის დაცვისათვის აუცილებელი პირობების ეს მინიმუმი მართლაც ცხოვრებაში იქნეს გატარებული.

პლენუმი აღნიშნავს, რომ აღიარა რა თავისი შეცდომები ფრაქციული მუშაობის და პარტიისათვის მისი უმაღლესი ორგანოების ნებისყოფის წინააღმდეგ დისკუსიის თავზე მოხვევის ცდების მხრივ, გაერთიანებულმა ოპოზიციამ ხელი არ აიღო ლენინის მოძღვრების საწინააღმდეგო ლიკვიდატორულ შეხედულებებზე, რომელთაც ის ანვითარებდა მე-14 ყრილობაზე, ცეკას შემდგომ პლენუმებზე და პოლიტბიუროს სხდომებზე. ის აშკარად აცხადებს, რომ ამ შეხედულებებს, რომლებიც პარტიამ არაერთხელ დაგმო, ის განავითარებს და დაიცავს შემდეგშიაც. ამის გამო პარტიის წინაშე წინანდებურად სდგას ამოცანად იდეური ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ, რომელიც პარტიამ დაჰგმო, როგორც წვრილ - ბურჟუაზიული გადახრა. ოპოზიციამ უნდა აღიაროს თავისი შეცდომები სოციალისტური მშენებლობის გზების შეფასებაში ისევე, როგორც პარტიის საერთო პოლიტიკური ხაზის საკითხებში და ხელი უნდა აიღოს ლენინიზმის რევიზიაზე.

### პარტიის ცეკასთან ერთად

არტემოვსკი, 21 ოქტომბერი. ყველა უჯრედები მთლიანად უერთდებიან საკავშირო კომუნისტ. პარტ. (ბ) ცეკას მიმართვას. სრულიად უკრაინის და საკავშირო პარტკონფერენციების უჯრედები ავალებენ ყურადღება მიაქციონ, რათა აუცილებლად უზრუნველჰყონ პარტიის მშვიდობიანი მუშაობა.

## საქ. კომორგანიზაციების ხმა

### ჭიათურა

(მუშური რაიონის აქტიურ კომკავშირელთა რეზოლიუცია)

მოისმინა რა ამხ. ი. კილაძის მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, ჭიათურის მუშათა რაიონის აქტიურ კომკავშირელთა კრება მთლიანად უერთდება საკავშირო ა. ლ. კომკავშირის ცეკას დადგენილებას და აღშფოთებით აღნიშნავს, რომ ოპოზიციის გალაშქრება პარტიის ცეკას ხაზის წინააღმდეგ პროლეტარიატის მტრებს უწყობს ხელს.

კრება აცხადებს, რომ კომკავშირი ისევე, როგორც ყოველთვის, ეხლაც მტკიცეთ იქნება ლენინურ ცეკასთან ერთად და არ გადაუხვევს ლენინიზმიდან.

ძირს ფრაქციები და ოპოზიცია!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

### მხარს უჭერთ ლენინურ ცეკას

(საგარეჯო)

17 ოქტომბერს შესდგა საგარეჯოს თემის პარტუჯრედთა გაერთიანებული სხდომა კომკავშირის აქტივის თანდასწრებით. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის დადგენილებების შესახებ. მოხსენებით გამოვიდა ამხ. იმნაიშვილი.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

საგარეჯოს თემის პარტიული ორგანიზაციის კრება კომკავშირის აქტივთან ერთად. მოისმინა რა მან მოხსენება ამხ. იმნაიშვილისა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტ. და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ, სთვლის მათ სავსებით სწორად და მიზანშეწონილად. პლენუმი სავსებით სწორად აყენებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხს, როგორც სოციალისტური მშენებლობის საფუძვლის ძირითად საკითხს. დღეს, როდესაც ჩვენი პარტიის წინაშე სდგას სოციალისტური აღმშენებლობის გადაუდებელი და უძლიერესი ამოცანები, როდესაც მთელი ჩვენი ნებისყოფა და ყურადღება მიქცეულია სამეურნეო აღორძინების და აღმშენებლობის ურთულესი ამოცანების გადაწყვეტისაკენ და იმ მრავალგვარ დაბრკოლებათა დაძლევისაკენ, რომელიც გვხდება სოციალისტურ მშენებლობაში, პარტიის მთლიანობა და ფოლადისებური სიმტკიცე განსაკუთრებით საჭიროა და აუცილებელი.

ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა და აგრეთვე მოთხოვნილება გლეხების გადასახადებით კიდევ მეტად დაბეგვრის და საქონელზე ფასების აწევის შესახებ, კრებას დამღუპველად მიაჩნია მუშებისა და გლეხების კავშირის საქმისათვის.

სათემო პარტიული კრება ა. ლ. კ. კ. აქტივთან ერთად ჰკიცხავს ოპოზიციას და მისი ლიდერების ფრაქციულ მუშაობას. კრება სთვლის, რომ დისკუსია ამჟამად მავნებელია პარტიისათვის, რადგანაც პარტიის მთლიანი შეკავშირებული ნებისყოფა, სიმტკიცე და მთავარი ყურადღება მიქცეული უნდა იქნეს სამეურნეო, საერთაშორისო და სოციალისტურ აღმშენებლობის საკითხისაკენ.

ძირს დისკუსია!

გაუმარჯოს შემოქმედებით მუშაობას კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

გაუმარჯოს ლენინიზმის მებრძოლ შტაბს—საქ. კ. პ. (ბ) ცეკას!

### ახალსენაკი

21 ოქტომბერს, ქალ. სენაკში ს. კომ. პარტიის უჯრედების ჯგუფურ კრებებზე მოსმენილ იქნა მოხსენებები შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ.

ყველა კრებაზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუციები, სადაც ილაშქრებენ ოპოზიციის წინააღმდეგ და მხარს უჭერენ ლენინურ ცეკას. უჯრედების კრებები მოუწოდებენ პარტიის წევრებს. რათა შეამჭიდროვონ რიგები ლენინურ ცეკას გარშემო.

### გურჯაანი

გურჯაანის სატრანსპორტო კომუჯრედის და ა. ლ. კომკავშირის აქტივის გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა ამხ. მგალობლიშვილის მოხსენება ოპოზიციის გამთიშველი მუშაობის შესახებ, ჰკიცხავს ოპოზიციის გამოსვლას. კრება სავსებით უერთდება თბილისის კომიტეტის 9 ოქტომბრის დადგენილებას და მიზანშეწონილად მიაჩნია საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისიის მიერ დეზორგანიზატორების წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებები.

კრება ავალებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს შემდეგშიაც განაგრძოს ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც შეეცდება დაარღვიოს ჩვენი პარტიის სიმტკიცე და მთლიანობა.

გაუმარჯოს პარტიის ფოლადისებურ სიმტკიცეს!

ძირს ოპოზიცია!

### ლანირ-ჭაგანი

მოისმინა რა ამხ. გ. მანჯგალაძის მოხსენება ოპოზიციის შესახებ ლანირ-ჭაგანის გაერთიანებულ კომუჯრედის კრება კომკავშირთან ერთად, ერთხმად უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებებს და სავსებით იწონებს საკავშირო კ. პ. ცეკას მიერ აღებულ ხაზს. კომპარტიის რკინისებური დისციპლინა და ფოლადისებური მთლიანობა—ეს არის ამხ. ლენინის ანდერძი. ამ ანდერძის [illegible] აწარმოებს დაუღალავ მუშაობას, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი. ამ ბოლო ხანებში ეგრედ-წოდებულმა ახალმა ოპოზიციამ, პოლიტბიუროს წევრის—ამხ. ზინოვიევის ხელმძღვანელობით გადასდგა ლენინის პარტიისათვის სრულიად მიუღებელი ნაბიჯი, რაც გამოიხატება პარტიის მთლიანობის დარღვევის ცდაში და პარტიის წინააღმდეგ არალეგალური მუშაობის დაწყებაში. ლანირ-ჭაგანის კომუჯრედის კომკავშირთან გაერთიანებული კრება ერთსულოვნათ უერთდება ცეკას პლენუმის დადგენილებას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი პარტიის რკინისებური დისციპლინის მთლიანობას.

გაუმარჯოს პარტიის რკინისებურ დისციპლინას!

ძირს ყოველგვარი ფრაქცია და გამთიშველები!

## ბიუროების ხელახალი არჩევნები

### ლითონტრესტის „26“ კომუნარის სახელობის ქარხანაში

სამი სხდომა მოანდომა ჩვენმა უჯრედმა ბიუროების ხელ-ახალ არჩევნებს. დღის წესრიგში სულ 4 საკითხი იდგა: უჯრედის ბიუროს ანგარიში, კომკავშირის ბიუროს თანამოხსენება, ქარხკომის ფრაქციის მოხსენება და ბიუროს ხელახალი არჩევნები. ბიუროს მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. იაროსლავსკიმ, რომელმაც დაწვრილებით დაახასიათა ბიუროს მუშაობა. შემდეგ კომკავშირში მუშაობის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. კოროტკოვი, ხოლო ქარხკომის ფრაქციის მუშაობაზე მოხსენება ამხ. მეშველიანმა გააკეთა. ყველა მომხსენებლებს მრავალი შეკითხვები მისცეს, რის შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც 25 ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა.

კამათში აღინიშნა უმთავრესად ნაკლი. ნაკლებათ მომზადებული ამხანაგები უჯრედის კრებებზე გამოსვლას ერიდებიან, რადგან მათ დასცინიან უფრო მომზადებულები, საშეფო მუშაობა ვერ არის მოწესრიგებული, სუსტია გავლენა კომკავშირის უჯრედზე, ბიურო ვერ იყო მჭიდროთ დაკავშირებული უჯრედთან, და აგრეთვე უპარტიო მუშებთანაც და სხვა.

კამათში აღინიშნა აგრეთვე მთელი რიგი დადებითი მხარეებიც.

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ახალ ბიუროს მიეცა წინადადება განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს: უჯრედის აქტივის გაძლიერებას, უჯრედის კომისიებში პარტიის ნაკლებათ აქტიურ წევრთა ჩაბმით, და სხვა, უჯრედების კომისიების მუშაობის განსაზღვრა, ცეხ-ორგანიზატორებისა და ინდივიდუალურ პროპაგანდისტების განვითარება და პოლიტმომზადების დონის ამაღლებას, პარტსწავლების გაძლიერებას და ამხანაგების სკოლებში გაგზავნის საქმეს, საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებას, კერძოთ საშეფო კომისიის მუშაობაში საშეფო სოფლისათვის მატერიალურ დახმარებასთან ერთად კულტურულ დახმარების გაძლიერებას, მუშაობის გაძლიერებას კომკავშირში და ქარხკომში, საწარმოო თათბირის გაუმჯობესებას და სხვა.

დასასრულ მოხდა არჩევნები.

ბიუროში დასახელებულ იქნა 19 კანდიდატი, მათგან პერსონალური კენჭის ყრით, ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნა ბიუროში 9 წევრი და 2 კანდიდატი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბიუროს უკანასკნელი არჩევნები განსაკუთრებით ცოცხლად ჩატარდა. კამათში, რომელშიაც დამსწრეთა 40%-მა მიიღო მონაწილეობა, აღინიშნა მთელი რიგი ნაკლულოვანებისა კომუჯრედის ბიუროს, კომკავშირისა და ქარხკომის მუშაობაში.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ახალი ბიურო, რომელიც ნაწილობრივ განახლებულია კამათში აღნიშნულ ნაკლს ყურადღებას მიაქცევს და გამოასწორებს მას.

ბ. შ.

### ტრამვაის სახელოსნოებში

ტრამვაის სახელოსნოს უჯრედში არჩევნები 5 ოქტომბერს მოხდა. მოსმენილ იქნა ბიუროს მოხსენება. კამათში მოხსენების გარშემო მონაწილეობა მიიღო 13 ამხანაგმა.

ახალ ბიუროს დაევალა, ცეხორგანიზატორების მუშაობის გაძლიერება და მათი მუშაობის ანგარიშის უფრო ხშირად მოსმენა უჯრედის ბიუროს სხდომაზე, ნებაყოფლობითი საზოგადოებებში პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის დასაჭერათ უფრო მომზადებულ ამხანაგების არჩევა, მუშაობის გაძლიერება პარტიულებისა და აგრეთვე უპარტიოთა ჩასაბმელათ კოოპერაციაში, ღია კრებების უფრო ხშირად მოწყობა, მათ დღის წესრიგში უპარტიო მუშებისათვის საინტერესო საკითხების დასმა და გარჩევა და უპარტიოთა შორის მუშაობის გაძლიერება, აგიტკომისიასთან შეთანხმებული მუშაობით პარტიის წევრთა ჩაბმა პოლიტსკოლებსა და პოლიტწრეების მუშაობა, განახლება და მჭიდრო კავშირის დაჭერა წითელი არმიის ნაწილთან და სხვა.

ბოლოში დასახელებულ იქნა 13 კანდიდატი, რომელთაგან პერსონალური კენჭის ყრით არჩეულ იქნა 5 წევრი და 2 კანდიდატი.

ქ. ფ.

### თამბაქოს ქარხანა „პროლეტარის“ უჯრედში

ჩვენი უჯრედის ბიუროს არჩევნები ამ ერთი კვირის წინ დამთავრდა. არჩევნების და მოხსენებების მოსასმენათ უჯრედი სამჯერ შეიკრიბა. მოსმენილ იქნა უჯრედის ბიუროსა და ქარხკომის ფრაქციის მოხსენებები. კამათში მონაწილეობა მიიღო 13 ამხანაგმა. აღინიშნა სუსტი ხელმძღვანელობა კომისიებისადმი, უჯრედის აქტივის სისუსტე, უჯრედში დისციპლინის ნაწილობრივ შესუსტება, რაც გამოიხატება ამხანაგების არ დასწრებაში კრებებზე და სხვა. აღინიშნა აგრეთვე ისიც, რომ პოლიტსკოლებში თუმცა გაიგზავნა 34 ამხანაგი, მაგრამ ისინი იშვიათად დადიოდენ სამეცადინოთ, ბიუროს კი ზომები არ მიუღია. არ იყო აგრეთვე მტკიცე კავშირი ბიუროსა და კომკავშირის უჯრედს შორის, მიმაგრებული ამხანაგი ვერ სარგებლობდა ავტორიტეტით კომკავშირელთა შორის და სხვა.

კამათში ამხანაგები ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ უჯრედში ვერ არის მოწესრიგებული „ვიდვიჟენცების“ საქმე. საპასუხისმგებლო სამუშაოზე ხშირად ერთსა და იმავე პიროვნებას აყენებდა ბიურო რამოდენიმეჯერ განმეორებით, რაც არანორმალურობაა. აღინიშნა აგრეთვე მიღწევებიც: საშეფო სოფელს უჯრედმა დიდი დახმარება გაუწია, როგორც ნივთიერი ისე კულტურულიც.

მუშაობის ზოგიერთი ნაკლი იმითაც აიხსნება, რომ ზაფხულის განმავლობაში ამხანაგები შვებულებაში იყვნენ, რაც გავლენას ახდენდა საქმეზე.

კამათის შემდეგ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ახალ ბიუროში დასახელებულ იქნა 28 კანდიდატი. მათგან არჩეულია ბიუროს წევრათ 9, ხოლო კანდიდატათ 3 ამხანაგი.

### მომავალ პარტაღწერისათვის

მიმდინარე წლის ბოლოს, საკავშირო საერთო დიდ დემოგრაფიულ აღწერასთან ერთად, ჩატარდება აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციის აღწერა. უკანასკნელად პარტიის აღწერა ჩატარებულ იქნა 1922 წელში, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა ხანმა განვლო და მომავალი აღწერა, რომელიც განზრახულია მოხდეს დეკემბერში, მოგვცემს სრულ სურათს იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც მოხდა პარტიის შემადგენლობაში ამ ოთხი წლის განმავლობაში. ამ აღწერას გაივლიან არა მარტო პარტიის წევრები, არამედ კანდიდატები და მთლიანად პარტიული ორგანიზაციები (კომუჯრედები). გარდა იმისა, რომ პარტაღწერა მოგვცემს სრულ სურათს პარტორგანიზაციის შემადგენლობისა, პარტაღწერის ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე გადასინჯვა იმისა, თუ როგორ არის დაყენებული პარტიის ცალკე ორგანიზაციებში რიცხობრივი შემადგენლობის აღრიცხვის საქმე.

სამზადისი მომავალ პარტაღწერისათვის უკვე აქედანვე უნდა დაიწყოს პარტიის ძირითად ორგანიზაციებში. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოწესრიგდეს კომუნისტების აღრიცხვის არსებულ ფორმების წარმოება, რათა აღწერის დროს ნათლად იქნეს გამორკვეული ის, თუ ვინ უნდა გატარდეს აღწერაში. აღწერის შესახებ გამოცემულ სახელმძღვანელო მასალებს უნდა გაეცნოს არა მარტო პარტაქტივი, არამედ პარტიის თვითეული წევრიც. ყოველი პარტამხანაგი წინასწარ უნდა იცნობდეს ყოველ იმ კითხვას, რომელსაც მას წაუყენებენ პარტაღწერის დროს. საჭიროა, რათა აღწერის ფორმები უჯრედებში გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილზე ყველასთვის გასაცნობად. თვითეული ამხანაგი წაიკითხავს მას და წინასწარ მოემზადება ამა თუ იმ შეკითხვაზე სწორ პასუხის მისაცემათ.

ეს მოსამზადებელი მუშაობა უჯრედებში უნდა დაიწყოს ეხლავე, კერძოთ უნდა დაიწყოს პარტორგანიზაციებში იმ მომუშავეთა შერჩევა, რომელნიც იქნებიან ჩაბმული პარტაღწერის ჩატარების საქმეში. ამ ამხანაგების სწორ შერჩევისგან და მათი წინასწარ მომზადებისგან სტატისტიკის საქმეში დამოკიდებული იქნება პარტაღწერის წარმატებით ჩატარება. გარდა ამისა, უნდა ჩატარდეს კომუჯრედებში პარტიის წევრთა შორის მოხსენებები აღწერის შესახებ, რათა მთელი პარტიული მასა პარტაღწერას მომზადებულად შეხვდეს.

ი. რუდოვსკი.

—:—

### სოფლის პარტუჯრედების ხელმძღვანელობა

რაიონული სისტემიდან სათემო სისტემაზე გადასვლის შემდეგ ერთ ძირითად ფორმას თემორგანიზაციებთან კავშირის და ხელმძღვანელობისას წარმოადგენს ინსტრუქტორთა მივლინება ადგილებზე. ინსტრუქტორებს დაკისრებული აქვთ მოვალეობა არა მარტო აწარმოონ უჯრედების გადათვალიერება და ამაზე მოხსენება გაუკეთონ სამაზრკომს, არამედ მისცენ კონკრეტული მითითებანი უჯრედებს, ასწავლონ მათ თუ როგორ და რა საშუალებებით უნდა გაატარონ ცხოვრებაში პარტიის დირექტივები სოფლად, რომ თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები და გადახრები პარტიის სწორი ხაზისგან.

ამ მუშაობაში ჯერ კიდევ რასაკვირველია ბევრი ნაკლი გვაქვს. ზოგიერთი ინსტრუქტორების მუშაობას თემებში მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. ინსტრუქტორი მიიღებს თუ არა სამაზრკომიდან დავალებას, მასალების დაუმუშავებლად მიემგზავრება თემებში, თემორგანიზაციის ან უჯრედების დათვალიერების ხანგრძლივობა ერთ დღეს არ აღემატება და ხშირად რამოდენიმე საათითაც განისაზღვრება. ასეთი დათვალიერება ან გამოკვლევა „კაზიონურია“, ინსტრუქტორი ამ შემთხვევაში უფრო „კონტროლიორის“ ემსგავსება და მისი მივლინება ადგილობრივ ორგანიზაციას არავითარ რეალურ შედეგებს არ აძლევს. ეს „გამოკვლევა“ უმეტეს შემთხვევაში ოქმების ზერელე გადახედვით განისაზღვრება, რისთვისაც, რასაკვირველია ზედმეტია ადგილობრივ ვამგზავრება; უჯრედების ოქმები კომიტეტსაც მოსდით.

დათვალიერების შემდეგ სდგება ოქმი, მაგრამ დასკვნები უმეტეს შემთხვევაში ძალიან საერთო ხასიათისაა: „მუშაობა ამა და ამ დარგში დამაკმაყოფილებელია, ამა და ამაში სუსტია, ამდენი და ამდენი ქაღალდი შეუსრულებელია“, და სხვა. ამ გარემოებას, რასაკვირველია უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. პირველ რიგში აუცილებელია ეს გადათვალიერებანი თუ გამოკვლევები ხდებოდეს წინასწარი შემუშავებული გეგმით—თუ ეს ასე არ იქნა ინსტრუქტორთა მივლინებებიც უნაყოფოდ ჩაივლის. (აქ რა თქმა უნდა საჭიროა ინსტრუქტორთა კადრის ყოველ მხრივ შერჩევაც).

ადგილებზე მივლინებული ინსტრუქტორი თითეულ თემში უნდა რჩებოდეს 2—3 დღეს მაინც, რათა საშუალება ქონდეს დეტალურად გამოარკვიოს ორგანიზაციის მუშაობა დადებითი და უარყოფითი მხარეები და შეისწავლოს ესა თუ ის თემი ყოველ მხრივ.

მოგზაურობის პერიოდში ინსტრუქტორმა უნდა შეაგროვოს მასალები პარტ-ხელმძღვანელობის შესახებ ყოველ დარგში. (ორგანიზაციული, სააგიტ-საპროპაგანდო, მუშაობა ახალგაზრდათა შორის, ქალთა შორის და სხვ.).

გამოკვლევები უნდა სწარმოებდეს არა მარტო ოქმებისა და სხვა მასალების გაცნობით, უჯრედის საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა ადგ. ორგანიზაციების მუშაობის პირადათ გაცნობის საშუალებით. კარგია აგრეთვე ინდივიდუალური საუბრები გლეხებთან და თემის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ამა თუ იმ თემის სულისკვეთების შესწავლისა და შეთვისების მიზნით.

გამოკვლევის დამთავრების შემდეგ ინსტრუქტორმა თვით უჯრედის სხდომაზე უნდა გააცნოს წევრებს გამოკვლევის შედეგები. თავისი წინადადებებში უნდა მიუთითოს უჯრედის ან თემკომის მდივანს და აქტ. მომუშავეებს ამა თუ იმ ნაკლზე და უნდა დაუსახოს ამ ნაკლის გამოსასწორებლად კონკრეტული გზები და საშუალებანი. (ხშირად ხდება, რომ უჯრედის მუშაობას იკვლევენ, აღნიშნავენ აუარებელ შეცდომებს, მაგრამ ამის გამოსასწორებლად მომავლისათვის არავითარ მითითებებს ადგ. ხელმძღვანელთ არ აძლევენ).

თითეული ინსტრუქტორი უნდა შეეცადოს, რომ მისი მისვლა ამა თუ იმ თემში ორგანიზაციის მიერ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მუშაობაში არსებული ნაკლის გამოსასწორებლად. ცოცხალი კავშირი მხოლოდ ამ შემთხვევაში მიაღწევს მიზანს.

მ. ბ—ია.

—:—

### საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მე-8 პლენუმი

მეხუთე სხდომა

20 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე, პლენუმმა მოისმინა ამხ. ჯავახიძის მოხსენება კომკავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობის შესახებ.

ამხ. ჯავახიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ახკომკავშირი სკოლა უნდა იყოს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობის გასაცნობათ. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ კომკავშირის ეხლანდელ მდგომარეობას, უნდა ვსთქვათ, რომ ახალგაზრდობის აქტივობა არ შენელებულა, მაგრამ მან სხვა სახე მიიღო. საქართველოს კომკავშირმა სააგიტაციო პერიოდი განვლო. ახლა ახალგაზრდობის აქტივობა მიმართულია უმთავრესად პრაქტიკულ მუშაობისაკენ. აქტივისტს ეხლა უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე წინეთ. კომკავშირის მუშაობა ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს ახალგაზრდობის ინტერესებს და აქტივს საკმაო მომზადებაც არა აქვს პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში კომკავშირი მხოლოდ მაშინ შესძლებს წარმატებით მუშაობას, თუ მათ ამისათვის სათანადოთ მოვამზადებთ. უნდა სწარმოებდეს შემოწმება კომკავშირელის მუშაობის, ბრძოლა უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ და სხვა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო: მაჭავარიანმა, კიკნაძემ, კობახიძემ, ფირცხალავამ, კუპრაძემ, ზვიადაძემ, ორაგველიძემ და მუსაევმა.

მეექვსე სხდომა

21 ოქტომბერს, დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. გარსევანოვის მოხსენება ს. ახ. ლენ. კომკავშირის საკონფლიქტო-საკონტროლო კომისიების მუშაობის შესახებ.

ამხ. გარსევანოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომკავშირის მუშაობა მტკიცედ უნდა იყოს დაკავშირებული საერთო პარტიულ მუშაობასთან. საკონფლიქტო კომისიების მუშაობის ამოცანებს შეიცავს შესწავლა ახალგაზრდობის მოთხოვნილებების და სულიერ განწყობილების და აგრეთვე ღონისძიებების გამომუშავება, ორგანიზაციაში ავადმყოფურ მოვლენების აღმოსაფხვრელად, ბრძოლა უნდა იქნეს წარმოებული უდისციპლინობის, ლოთობასა და ხულიგნობის წინააღმდეგ კომკავშირის რიგებში. ორატორმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაარსებული საკონფლიქტო კომისიები ადგილებზე ჯერ კიდევ ვერ დგანან თავის დანიშნულების სიმაღლეზე და მოითხოვა, რომ მათ მუშაობას მეტი ყურადღება მიექცეს მომავალში.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. სალუქვაძის მოხსენება საკავშირო ორგანოების გადარჩევის კამპანიის შესახებ.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### განათლების ფრონტზე

**ახალ-სენაკი**, 21 ოქტომბერი. სასწავლებლების რიცხვი ჩქარი ტემპით იზრდება. სენაკის მაზრაში 1914-15 სასწავლო წელში სულ ითვლებოდა 116 სასწავლებელი, 372 მასწავლებელი და 11.001 მოწაფე. 1924-25 სასწავლო წელში მაზრაში ითვლებოდა: 2 საბავშვო ბაღი, 1 საბავშვო სახლი, 96 ოთხწლედი, 42 ცხრაწლედი, 1 პედაგოგიური ტეხნიკუმი, 1 სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი, სულ 143 სკოლა, მოწაფეთა რიცხვი 18.804 უდრიდა, ხოლო მასწავლებელთა—513.

1925-26 წელში მაზრაში იყო: საბავშვო ბაღი—3, საბავშვო სახლი 1, 94 ოთხწლედი, 42 შვიდწლედი, 3 ცხრაწლედი, 2 ტეხნიკუმი (სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური), 1 მუსიკალური სკოლა; სულ 146 სკოლა, 21.012 მოწაფე და 548 მასწავლებელი.

მეფის დროსთან შედარებით სასწავლებლების რიცხვი გაიზარდა 30-ით, მოწაფეთა—8.171-ით და მასწავლებელთა 236-ით.

### სათესი მინდვრები

**ახალ-სენაკი**, 21 ოქტომბერი. მიმდინარე წელში სენაკის მაზრაში აღრიცხულ იქნა 44.660 დესეტინა სათესი მინდორი. მიმდინარე წელში დათესილ იქნა 34.520 დესეტინა, 3.000 დესეტინით ნაკლები, ვიდრე წარსულ წელში. ნათესების რაოდენობის შემცირება აიხსნება გვალვებით, რომელიც წინ უსწრებდა სათეს კამპანიას.

ეხლა მთელს მაზრაში სწარმოებს სიმინდის მოწევა. რასაც ხელს უწყობს მზიანი ამინდიც.

### მზადება საკავშირო აღწერისათვის

**ზუგდიდი**, 21 ოქტომბერი. სამაზრო სტატისტიკურმა ბიურომ მიმდინარე წლის საკავშირო აღწერის ჩასატარებლად სათანადო სიები შეადგინა ყველა თემებში. სტატისტიკურმა ბიურომ გამოუშვა სორიენტაციო გეგმა ზუგდიდისა, ანაკლიისა და ხობისა. აგრეთვე მაზრის რუკაც. დგება აღმწერელების კადრი. სტატ. ბიურომ ქალაქებსა და სოფლებში გამოუშვა მიმართვები, რომელიც აღწერის მნიშვნელობის და ხასიათის ახსნა-განმარტებას შეიცავს.

## წერილები

### 30 წელი მშრომელთა სამსახურში



სანდრო ჩხეტია

კვირას, 24 ოქტომბერს, ქ. ზუგდიდის მუშათა კლუბში გაიმართება იუბილე სანდრო ჩხეტიას 30 წლის მოღვაწეობის. აღსანიშნავადვინ იყო და არის სანდრო ჩხეტია; რით დაიმსახურა სოფლის მასწავლებელმა ის იშვიათი პატივისცემა, რომლითაც მას ეკიდება დღეს ზუგდიდის მაზრის მშრომელი გლეხკაცობა?

ძველი სახალხო მასწავლებელი კულტურისა და განათლების ჩირაღდანი იყო სოფლად, ის ამავე დროს ხშირად მშრომელთა განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინამძღოლიც იყო თავის კუთხეში. ამიტომ სდევნიდა მას ძველი რეჟიმი, ამიტომ ჰყავდა სახალხო მასწავლებელი ათვალისწინებული ნიკოლოზის მთავრობას.

ერთ ასეთი თავგამოდებული მასწავლებელი იყო სანდრო ჩხეტია. ის გმირი იყო არა მარტო კულტურულ, არამედ პოლიტიკურ ფრონტისაც. მისი საზოგადოებრივ-პოლიტ. მოღვაწეობა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან იღებს სათავეს.

1895 წელს სანდრო ჩხეტია ახალგაზრდა, ჭაბუკური ენერგიით და აღმაფრენით გარიცხული სახალხო მასწავლებელია. ის წინ უძღვის თავის სოფელს ჭირში და ლხინში. მეგრელ გლეხკაცობაში ახალგაზრდა მასწავლებელი საერთო სიყვარულს იმსახურებს.

1905 წლის რევოლუციამ სანდრო ჩხეტიას ის დროს მოუსწრო, როცა ის უკვე საკმაო გამოცდილების მქონე და საზოგადოებრივ მუშაობაში გამოჩარხული იყო. ის მაშინვე ექცევა რევოლუციის წინა რიგებში და რევოლუციურ მოძრაობის ერთ-ერთ მეთაურთაგანი ხდება ზუგდიდის მაზრაში.

სანდრო ჩხეტიას მეთაურობით განიარაღებული იქნა ჩაფართა რაზმი. ის ხელმძღვანელობს დ. ანაკლიის მახლობლად საზღვარგარეთიდან ზღვით იარაღის შემოტანას, რომ შეაიარაღოს ზუგდიდის რევოლუციონური გლეხკაცობა...

რევოლუცია დამარცხდა. მეფის ჯალათების ხელს არ გადარჩენიათ ყველა რამდენადმე მაინც თვალსაჩინო მოღვაწე რევოლუციონერები. მათ რიცხვში მოჰყვა სანდრო ჩხეტიაც, რომელსაც 4 წლის კატორღა მიუსაჯეს და შემდეგ სამუდამოდ გადაასახლეს ციმბირში.

რომ მეორე ძლევამოსილ რევოლუციის გამარჯვება არა, სანდრო ჩხეტია ვერ ნახავდა სამშობლო კუთხეს, სადაც მან პირველადააფრიალა წითელი დროშა. ამრიგად 1917 წელს პოლიტკატორღელი მასწავლებელი ბრუნდება ქალ. ბოდაიბოდან (აღმოსავლეთ ციმბირი, ლენის მხარე) ზუგდიდის მაზრაში და ძველ ენერგიით განაგრძობს საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მუშაობას ზუგდიდის მაზრაში.

დღეს სანდრო ჩხეტია 7-წლიან შრომის სკოლის გამგეა სოფ. კორცხელში. საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა საზოგადოებრიობა ყოველთვის აფასებს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანწირულ მუშაკებს. ამ დაფასების და პატივისცემის ნიშნად სანდრო ჩხეტიას უმართავენ ოცდაათი წლის იუბილეს ქ. ზუგდიდში.

გ. პ—ია.

### მაცადინეობა შეუძლებელია
(ნაკურალეშის თ., ლეჩხუმი)

ნაკურალეშის თემში არსებობს შვიდწლედი, რომლის შენობა უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება.

ეს სახლი აშენებულია ძველი რეჟიმის დროს. როდესაც შვიდწლედი დაარსდა, უბრალოდ ფიცრებით გადაღობეს სამეცადინო დარბაზები. ამის გამოისობით გაკვეთილების დროს მასწავლებლების ხმა ისე ირევა ერთი მეორეში, რომ ლაპარაკის გარკვევა შეუძლებელია.

ნაწილი სამეცადინო ოთახებისა მოთავსებულია იქვე თემის კანცელარიაში, სადაც მასწავლებლების ხმას ბანს აძლევს თემაღმასკომი და საბჭოს წევრები. თვით შენობაში ყოფნაც სახიფათოა, ვინაიდან ის სრულიად დამპალია.

სკოლის ადგილმდებარეობა ისეთია. რომ ზამთრის თვეებში, ქარბუქის დროს, რომელიც ამ კუთხეს სჩვევია, მოსწავლეები ძალიან ხშირად სასწავლებელში ვერ მიდიან. პედაგოგიურმა საბჭომ დასვა საკითხი, რომ ზამთრობით მეცადინეობა შეწყვეტილიყო და ზაფხულობით წარმოებულიყო. ზაფხულში არც ერთი გლეხი თავის შვილს სასწავლებელში არ გაუშვებს, ვინაიდან ბავშვი ამ დროს დიდ დახმარებას უწევს მშობლებს. ამის გამო პედაგოგიურმა საბჭომ ეს საკითხი ვერ გადაჭრა.

გარდა ამისა ეს სასწავლებელი იმყოფება განაპირა უბანში და თემის გლეხობის უმრავლესობისათვის სრულიად გამოუსადეგარია.

გ. ხ.

### რას ვამზადებთ ოქტომბრის დღესასწაულისათვის
(ზუგდიდი)

გლეხკომის საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებულია არჩევნები მთელ მაზრაში, გარდა 3 თემისა. არჩევნების დამთავრებას ხელი შეუშალა მინდვრის მუშაობამ და განსაკუთრებით კი ავდარმა. არჩევნები დამთავრდება სრულიად ამ მოკლე დროში. სამაზრო კონფერენცია მოწვეულ იქნება 7 ნოემბრისათვის „ოქტომბრის რევოლუციის დღე".

სამგლეხკომის ინიციატივით არჩეულ კომისიის მიერ ამ დღის გაიხსნება „ამხ. კ. ჩომერიკის სახელობის" ზუგდიდის მაზრის გლეხთა სახლი. საამისოთ სწარმოებს წინასწარი მუშაობა. სახლი ორსართულიანია და შეკეთებულია შესაფერისად, ზედა სართულის 4 ოთახი მიჩნეულია სტუმრების მოსასვენებლად და მე-5 ოთახის კი საბარგოდ, ხოლო ქვედა სართულის 4 ოთახში მოთავსდება გლეხკომის კანცელარია, იურიდიული ბიურო, სასადილო დარბაზი და სამზარეულო. ოთახები და სამზარეულო მოწყობილია ინვენტარით. მოწყობილია აგრეთვე 20 საწოლი, 4-4 ხელი საგებ-სახურავი. დანარჩენ 16-ს შეკერვა დამთავრდება ოქტომბრის შუა რიცხვებში. სახლის ეზოში გაშენებულია ურემებისა და ცხენების სადგომი საბანავი.

ყოველივე ეს გაკეთებულია სამაზრო გლეხკომების მცირე საშუალებით და პირადი მეთაურობით. სახლის გამხსნელ კომისიამ თუმცა მიმართა შუამდგომლობითა და მოწოდებებითაც სხვადასხვა დაწესებულებებს დახმარების გაწევის შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არსაიდან არაფერი სჩანს. ხოლო სამგლეხკომის მიმართვის გამო, სამაზრო აღმასკომის სავაჭრო სექციის გამგემ შენგელაიამ, გლეხთა სახლის საჭიროებისათვის, დაუთმო გლეხკომს ნისიად 22 მ. 94 კ. ფართლეული. სამწუხაროა ასეთ პირობებში სამგლეხკომის დავალიანებულთა სიჩუმე. რომელთა უმრავლესობა მოსამსახურეები დაეძლევათ ჯამაგირი.

ხუტუ ლეჩხუმელი

### ზემო-ქედის კომუნა
(სიღნაღის მაზრა)

ზემო-ქედში არსებობს ახლად დაარსებული ოცი კომლისაგან შემდგარი კომუნა. ჰყავთ 85 წევრი ქალი და ვაჟი. კომუნას ხელმძღვანელობს იაკობ ჩოხელი. კომუნის ქონება შესდგება შემდეგი ნივთებისაგან: სამკალი მანქანები 4 ცალი, სეპარატორი რძის საკეთებელი 1 ცალი და ერთიც სახნავი მანქანა „ხოლტის" სისტემისა.

შინაური ცხოველებიდან კომუნას ჰყავს: 140 ძროხა, 13 ცხენი, 160 თვალი ფუტკარი. გარდა ამისა ხე-ტყე მზადა აქვთ და იწყებენ 40 ოთახიან სახლის აგებას. პურის ხორბალი აქვეა 100.000 ფუთი. ქალის და ვაჟის მუშაობას დღითი-დღე ემჩნევა წინსვლელობა.

ახლო მომავალში კომუნა მეტად გაძლიერდება და ყველასათვის მისაბაძი შეიქნება. ამისათვის კომუნის წევრთა შორის არ უნდა იყოს მტრობა და შური. როგორც დღეს აქვთ ძმური კავშირი და ერთობა, მომავალშიც კიდევ მეტი უნდა ექნეთ.

გარე-კანანელი.

### მუშაობა მოისუსტებს
(ქვიანი, გურია)

ამ სოფელში არსებობს 4 წლედი სკოლა, კოოპერატივი, სამკითხველო და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სახალხო სახლი. სამკითხველო წინათ უფრო მდიდარი იყო, როგორც წიგნებით, ისე ჟურნალ-გაზეთებით. დღეს ცარიელ შენობაში თაგვები დანავარდობენ. ოდესღაც ინვენტარითა და მგოსნების სურათებით სავსე სამკითხველოს დღეს უბრალო შპალიერიც არ შერჩენია. რას ფიქრობს ამაზე ინტელიგენცია, განსაკუთრებით მასწავლებლობა?

სკოლის საქმეც ვერ არის მოწესრიგებული. შენობის მინები ჩამტვრეული აქვს და ღამით პირუტყვები ბუდობენ.

არის აქ კოოპერატივი,—ნიგოითის კავშირის განყოფილება. მაგრამ ამ კოოპერატივში არ არის პირველმოთხოვნილების საქონელი. კარგა ხანია დაწყებულია სახალხო სახლი, მაგრამ დამთავრებას ვერ ვეღირსეთ. გამგეობამ შემოსული ფული გააბნია. არ არსებობს სცენის მოყვარეთა წრე. შარა გზებიც შეუკეთებელია. მუშაობა ერთობ მოისუსტებს. რას ფიქრობს ადგილობრივი საბჭო და კულტსექცია?

გ. წულაძე.

## სამრეწველო საქონელი ა.-კავკასიისათვის

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამუშავა გეგმა სამრეწველო საქონლის შემოზიდვისა ამიერ-კავკასიაში მიმდინარე 1926—27 წლისათვის.

აღნიშნული გეგმით, მიმდინარე წელში გადაწყვეტილია შემოტანილ იქნეს უმთავრესად მანუფაქტურა, შაქარი, ასანთი, მარილი, სილიკატები, ლითონის ნაწარმოები, კალოშები და ქაღალდი. მანუფაქტურა განაწილებული იქნება ისე, რომ სოფლის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გადაიდება შემოზიდულ მანუფაქტურის 60 პროცენტი, ქალაქის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად კი 40 პროცენტი.

წარსული წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მიმდინარე წელში გადიდდა მოთხოვნილება მანუფაქტურაზე. ამის გამო, შინა-ვაჭრობის კომისარიატის გეგმით წელს შემოზიდული უნდა იქნეს 102 მილიონი მეტრი მანუფაქტურა ე. ი. 1457 ვაგონი.

რესპუბლიკების მიხედვით—საქართველოში უნდა შემოიზიდოს სოფლის მოსახლეობისათვის 32,1 მილ. მეტრი მანუფაქტურა, ქალაქის მოსახლეობისათვის—14.6 მილ. მეტრი მანუფაქტურა, ე. ი. სულ 46,7 მილ. მეტრი მანუფაქტურა.

აზერბეიჯანში შეიზიდება 38,7 მილ. მეტრი, ხოლო სომხეთში 16,6 მილ. მეტრი მანუფაქტურა.

ამას გარდა უნდა შემოიზიდოს კიდევ დამატებით 2.865.000 მეტრი შალეულობა.

### შაქარი

მიმდინარე საოპერაციო წელში შემოიზიდება 2 მილიონი ფუთი შაქარი. აქედან 40 პროცენტი ფხვნილი, ხოლო 60 პროც. ნატეხი შაქარი. შაქარი რესპუბლიკებს შორის ასე განაწილდება: საქართველოს—800 ათასი ფუთი, სომხეთს—300 ათასი ფუთი და აზერბეიჯანს — 900 ათასი ფუთი.

შაქრის განაწილება უმთავრესად იწარმოებს კოოპერატიულ და ადგილ. სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით. სოფელსა და ქალაქს შორის შაქრის პროპორციონალურ განაწილების მიზნით, გეგმაში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ შაქრის ტრესტთან, დადებული გენერალური ხელშეკრულებები უნდა იქნეს წინასწარ შეთანხმებული ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატთან.

### მარილი

მარილის მოთხოვნილება წელს ამიერ-კავკასიაში გაიზარდა. ეს გამოწვეულია აზერბეიჯანის თევზის მრეწველობის გადიდებით. ამის გამო წელს შემოზიდული იქნება 4.800.000 ფუთი მარილი, აქედან საქართველოში შემოზიდება—1.600.000 ფუთი მარილი, სომხეთში—700.000 ფუთი, ხოლო აზერბეიჯანში—2.500.000 ფ. მარილი.

შემოზიდული იქნება უმთავრესად ყირიმის, ბახმუტის, სლავიანის და კუბლინის მარილი, ადგილობრივ დამზადდება საჭირო მარილის 50 პროცენტი.

### კალოშები

გასულ წელში შემჩნეული იყო კალოშების თავის დროზე მიუწოდებლობა ადგილობრივ ბაზრისათვის. წელს ამიერ-კავკასიაში შემოიზიდება არა უგვიანეს ნოემბრისა 750.000 წყვილი კალოში. იგი განაწილდება რესპუბლიკებს შორის შემდეგ ნაირად: საქართველოს—350.000 წყვილი, სომხეთს—50.000, ხოლო აზერბეიჯანს—350.000 წყვილი კალოში.

## როგორ მიმდინარეობს პურის დამზადების კამპანია

(საუბარი „ხლებოპროდუქტ"-ის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლობაჩოვთან)

გუშინ საქართველოს სამხედრო გზით კავკასიიდან თბილისში ჩამოვიდა „ხლებოპროდუქტ"-ის გამგეობის თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის ცაკის წევრი—ამხ. ლობაჩოვი.

პურის დამზადების კამპანიის მიმდინარეობისა და თბილისში ჩამოსვლის მიზნის შესახებ ამხ. ლობაჩოვმა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა შემდეგი:

— პურის დამზადება წელს ყველგან ნორმალურად მიმდინარეობს. მე გავეცანი პურის დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობას ჩრდილოეთ კავკასიაში და უნდა აღვნიშნო, რომ დამზადების საქმეში არავითარ შეფერხებას არ აქვს ადგილი და წინასწარ გამომუშავებული გეგმა შესრულებული იქნება მთლიანად.

მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში მთელ საბჭოთა კავშირში დამზადებული იქნება 270 მილიონი ფუთი პური, შარშან კი დამზადებული იყო 240 მილიონი ფუთი.

წელს მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული შინაური ბაზრის მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილებას. რაც დარჩება ჩვენი ბაზრის საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ, გატანილი იქნება საზღვარ-გარეთ.

თბილისში მე ჩამოვედი იმ მიზნით, რომ გავეცნო „ხლებოპროდუქტ"-ის ადგილობრივი კანტორის მუშაობას; ამასთანავე მე შევისწავლი იმასაც, თუ როგორ მიმდინარეობს პურის მიწოდება ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო ბაზრისათვის.

გარდა ამისა, გამოსარკვევია საკითხი, თუ რა და რა ხარისხის პური საჭიროა ამიერ-კავკასიისათვის და მოსაგვარებელია კოოპერატიულ ცენტრებთან ურთიერთობის საკითხი.

წელს ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება პურის გაცილებით მეტი რაოდენობა, ვიდრე შარშან იყო. ამასთანავე ფასები იგივე დარჩება.

ჩემი ჩამოსვლის მთავარი მიზანია თბილისის პურის საწყობის აღმშენებლობის გაცნობა. მე ზაფხულზე ვიყავი ამერიკაში, სადაც გავეცანი იქაური საწყობების აგების წესებს.

განზრახვა მაქვს გავეცნო თბილისის საწყობის პროექტს და დაწყებულ მუშაობას. ეს საწყობი აგებული იქნება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. თავისი ტიპიურობით საწყობი ისეთივე იქნება, როგორც მოსკოვის პურის საწყობი.

ხვალ ამხ. ლობაჩოვი მიემგზავრება მოსკოვში.

## სოციალური უზრ. საქმე აჭარისტანში

**აჭარისტანის** სოციალურ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს გასულ საანგარიშო წელში დაურიგებია ინვალიდებისათვის და უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილ პირებისათვის. (პენსიების და დახმარებების სახით) და დაუხარჯავს მათზე საერთოდ 13.739 მანეთი და 1½ კაპეიკი.

**ინვალიდების არტელების რაოდენობა.** აჭარისტანში ამჟამად მოწყობილია ინვალიდების ექვსი არტელი: 1) პაპიროსის ქაღალდის დასამზადებელი, 2) პურის მცხობელთა, 3) სამკერვალო, 4) ფეხსაცმელების, 5) ლითონის დამამზადებელი და 6) თამბაქოს ნაწარმოების გამყიდავი არტელები.

**აგურის და მარსელის კრამიტის დასამზადებელი ქარხანა.** აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა გლეხკომმა—საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით—ქობულეთში მოაწყო კრამიტის და აგურის დასამზადებელი ქარხანა. მუშაობა ამ ქარხანამ აქ დაიწყო ამა წლის პირველ ივლისიდან და ჯერ-ჯერობით დაამზადა კარგი ხარისხის 20.000 ცალი მარსელის კრამიტი და 30.000 ცალი აგური. ცენტრალურ გლეხკომს განზრახული აქვს ახლო მომავალში ასეთივე ქარხანა კიდევ აჭარის წყლის მაზრაშიაც მოაწყოს.

## საგეგმო კომისიაში

### საქონლის სავალდებულო დაზღვევა

საქართველოს საგეგმო კომისიამ მოიწონა სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი აღმოსავლეთ საქართველოში და სამხრეთ-ოსეთში 1926-27 წელში მსხვილფეხა საქონლისა და მცენარეთა კულტურების სავალდებულო საგანკვეთო დაზღვევის შემოღების შესახებ.

ამასთანავე საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის დამზღვევ საზოგადოების საქართველოს კანტორას დაუყოვნებლივ აღძრას შუამდგომლობა დამზღვევ საზოგადოების მთავარ სამმართველოს საშუალებით შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე, რომ საბჭოს მიერ აღმოსავლეთ საქართველოსათვის გამოცხადებულ დასაზღვევ ტარიფებში შეტანილი იქნეს შესწორებები, თანახმად საქართველოს სახკომსაბჭოსა და ცაკის დადგენილებისა ა.-წ. 13 ივლისის თარიღით.

### მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებები

საქართველოს საგეგმო კომისიამ მოიწონა ზოგიერთი შესწორებებით და დამატებებით საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პროექტი მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების შესახებ საგადასახადო კანონმდებლობის სფეროში.

### ბინის ქირის შესახებ

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საგეგმო კომისიაში განსახილველად წარადგინა საბინაო ტარიფის პროექტი პროვინციის ქალაქებისათვის.

ვინაიდან საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებით საბინაო ტარიფს რესპუბლიკის ქალაქებისათვის ადგენენ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები და ამ ტარიფს (გარდა თბილისის ტარიფისა) უშუალოდ ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ამიტომ საგეგმო კომისიამ ზედმეტად მიიჩნია აღნიშნული კომისარიატის მიერ წარმოდგენილ ბინის ქირის ტარიფების განხილვა.

## მოსავლის კვირეული

მიწათმოქმედების კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს ინიციატივით, 24 ოქტომბრიდან რესპუბლიკაში დაიწყება მოსავლის კვირეულის ჩატარება.

კვირეული დამთავრებული იქნება ყველგან მოსავლის დღესასწაულით, რომელზედაც მოხდება სანიმუშო მეურნეობებისათვის ჯილდოების დარიგება. დღესასწაულის დღეს გაიმართება აგრეთვე აგრონომიული გასამართლებანი, ლექციები საუბრები და სასოფლო - სამეურნეო გამოფენები.

ჯილდოების დასარიგებლათ შემოღებულია შემდეგი წესი: მაზრის აგრონომის მეთაურობით ადგენენ დაწინაურებულ მეურნეობათა სიებს: შემდეგ კომისიები ჩამოივლიან ყველა თემებს და ადგილობრივ შეამოწმებენ ამა თუ იმ მეურნეობას. მოწონებულ მეურნეობის პატრონს ეძლევა განსაკუთრებული მოწმობა პრემიის მისაღების შესახებ, რითაც მოწმობის მიმღები ღებულობს პრემიას მახლობელ აგროპუნქტიდან.

აღნიშნული წესით ჯილდოების დარიგება უკვე მოხდა ზუგდიდის მაზრაში, სადაც 11 მეურნეობას მიეცა — გუთნები, კულტივატორები, [illegible] აპარატები და სხვ. ჯილდოები გაიცა: განსხვავებულ რაციონალურ მეურნეობის წარმოებისათვის, სამაგალითო ვენახისა და კარგი ნამყენისათვის, ხილის და ნერგის გავრცელებისათვის, პურის თესვის ახალი წესისათვის, სუბტროპიკულ მცენარეთა მოშენებისათვის და სხვ.

## სათესლე ფონდი

სახკომსაბჭოს ამა წლის მაისის 5-ს დადგენილებით სათესლე ფონდი გადატანილ იქნა ფულის ნიშნებზე. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ხსენებული საკითხის შესახებ წარმოადგინა მოხსენება და ითხოვდა, რომ სათესლე ფონდის ფულის ნიშნებზე გადატანის დროს საჭიროა ადგილობრივი არსებული ფასებით ხელმძღვანელობა და ამ ფასების 25 პროცენტით შემცირება. სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა მიწსახკომის განცხადება.

მიწსახკომს, ამ.-კავკ. შინავაჭრობის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს და სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს დაევალა, დააწესონ 1926 წლის მოსავლის ფასები, რომელიც ზემოხსენებულ დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული.

## „ძველი თბილისი"

თბილისის კომუნალური მუზეუმი შეუდგა საშემოდგომო გამოფენის მოწყობის სამზადისს. გამოფენა გაიხსნება ერთ თვეში და წარმოდგენილი იქნება ძველი თბილისის დამახასიათებელი ყოველგვარი მასალები.

გამოფენაზე უმთავრესი ყურადღება მიექცევა თბილისის ძველ მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრებას, ქალაქის ძველ სახეობის დამახასიათებელ ნიმუშებს და სხვა.

წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ქალაქის ძველი ფოტოგრაფიული სურათები, ზოგიერთი ქუჩების მოდელები და ძველ მხატვართა სურათები, სადაც დახასიათებული იქნება ქართული ქიდაობა, საყდლიერო კრივი, ფარიკაობა და სხვა.

გამოფენის გასახსნელი ადგილი ჯერ-ჯერობით არაა გამორკვეული, მაგრამ შესაძლებელია ის გაიხსნას კომუნალური მუზეუმის დარბაზშივე.

## რკინისგზელთა ხელფასი

გუშინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო რკინისგზელთა ახალი სატარიფო ქსელი, რომელიც ამჟამად შემოღებულია ა.-კ. რკინის გზაზე.

ამის შესახებ გუშინ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ამიერ-კავ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. პარმენ ხაბაშვილს, რომელმაც აცნობა მას შემდეგი:

„უკანასკნელ რამოდენიმე წლის განმავლობაში ა.-კ. რკ. გზაზე არსებობდა 7 სხვადასხვაგვარი სატარიფო ზოლი. ეს გარემოება ანსხვავებდა ხელფასს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთ შორის. ერთ და იმავე კვალიფიკაციის და თანრიგის მუშას ეძლეოდა სხვადასხვა ხელფასი სხვადასხვა ზოლში. ეს გარემოება ხშირად იწვევდა უკმაყოფილებას. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა იმ თავითვე დაისახა მიზნათ დაეწესებია რკ. გზაზე ერთი მთლიანი სატარიფო ზოლი. საგზაო კომიტეტის უკანასკნელმა მე-2 პლენუმმა გამოიტანა ამის შესახებ სათანადო დადგენილება.

უკანასკნელ ხანებში ამ.-კავ. რკ. გზაზე დაწესებული იყო ორი სატარიფო ზოლი—სამალარიო და არა სამალარიო. განსხვავება ამ ორი ზოლს შორის ის იყო, რომ სამალ. ზოლით რ.-კ. მუშა-მოსამსახურე ღებულობდა ხელფასს 10 პროცენტით მეტს არა სამალარიო ზოლში მყოფ მუშა-მოსამსახურეებთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ 80 პროცენტი რკინისგზელებისა ხელფასს იღებდა არა სამალარიო ზოლის ტარიფით, და ამრიგათ ღებულობენ შედარებით მცირე ხელფასს.

ახალი სატარიფო ხელშეკრულებით ჩვენ შევსძელით აღნიშნულ ზოლების გაერთიანება და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადიდება.

ხელფასის გადიდება გავრცელდა უმთავრესად დაბალი კვალიფ-ციის მუშ.-მოსამ-რეებზე. ზოგიერთ დაბალ კვალიფიკაციის მუშებს მოემატათ სატარიფო განაკვეთი, რაც აუცილებლად დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამას გარდა საგზაო კომიტეტი შეუთანხმდა სამმართველოს, რათა სამმართველოს დაბალ მოსამსახურეებზეც გავრცელდეს ახალი სატარიფო ქსელი.

სამალარიო უბნის რკინისგზელებს ახალი სატარიფო ქსელით ენახებათ დამატებითი ორკვირეული შვებულებები.

## ბრძოლა საქონლის ჭირთან

28 ოქტომბერს ა.-კ. სახ. საგეგმო კომისიაში შესდგება თათბირი საქონლის ჭირთან ბრძოლის საკითხზე. თათბირს დაესწრებიან ა.-კ. სახ. საგეგმო კომისიის, ა.-კ. ფინსახკომის და ა.-კ. მ/გ. ინსპექციის, [illegible] სამმართველოების, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები და, აგრეთვე, ტაბახმელის და ზურნაბადის საშრატე სადგურის გამგეები. თათბირის მიზანია კონკრეტიულ ღონისძიებათა გამომუშავება საქონლის ჭირთან საბრძოლველად და ამ ღონისძიებათა შეთანხმება ა.-კ. ცალკე რესპუბლიკებს შორის. ამ თათბირზე შემუშავებული იქნება აგრეთვე დებულება შავ ჭირთან მე-

## სანიტარული მდგომარეობა
### ებრაელთა უბანში

ვინაიდან ებრაელთა უბანში ადგილი აქვს ანტისანიტარულ მდგომარეობას და მცხოვრები ებრაელთა უმრავლესობა სიღარიბეში ჩავარდნილი არა-ჰიგიენურ პირობებში, ცხოვრობს, თბილისის აღმასკომმა ჯანმრთელობის სექციას და სანიტსექციას დაავალა გააძლიეროს ებრაელთა უბანში სანიტ-განმანათლებელი მუშაობა.

პირველ ყოვლისა გაფართოებულ იქნება ამ უბანში არსებული ამბულატორია, სადაც ღარიბებს მცხოვრებლებს უფასოდ მიეცემა საექიმო დახმარება და უსასყიდლოდვე მიეცემა წამლეულობა.

განზრახულია აგრეთვე ებრაელთა უბანში სისტემატიურად მოეწყოს ლექციები სანიტ-განათლების საკითხებზე.

პოლიტგანს დაევალა ამავე უბანში მოაწყოს წიგნთსაცავი სამკითხველო.

## რკინის გზებზე

### მატარებლის მარცხი

19 ოქტომბერს 17 საათ. 55 წ., სად. ფოილოში მატარებელმა № 330 გაიარა საკონტროლო სვეტი და გაჩერდა. 10 წუთის შემდეგ იმავე ლიანდაგით შემოვიდა მატ. № 321, რომელიც დაეჯახა მატარებელს № 330. მეორე და მესამე ლიანდაგი დაკეტილი აღმოჩნდა. პირველი ლიანდაგი თავისუფალი იყო. მატ. № 321 მეორე ვაგონზე იმყოფებოდა მთავარი კონდუქტორი გოგია, რომელიც სასიკვდილოთ დაშავდა. კონდუქტორის ხელის ფარნის დამტვრევის გამო, ცეცხლი გაუჩნდა ერთ დატვირთულ ვაგონს, ერთ ცარიელ დახურულ ვაგონს და ერთ ღია ვაგონს. ხანძარი ჩააქრო მომწოლმა ორთქლმავალმა. დაიწვა ერთი ცარიელი და ერთიც დატვირთული ვაგონი. დაზიანებულია ორივე ორთქლმავალი. მატ. № 330 შემადგენლობიდან ლიანდაგიდან გადავარდა სამი ვაგონი, ხოლო მატ. № 321 შემადგენლობიდან ერთი ორთქლმავალი და 4 ვაგონი. ისრები № 3 და 4 დაზიანებულია. დამხმარე მატარებელი გაიგზავნა აქსტაფიდან მეხანძრეთა გუნდით. თბილისიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი. უკანასკნელი ცნობით ამოყვანილია ორთქლმავალი და ჩავარდნილი ვაგონები.

### ყინულის დამამზადებელი ქარხანა

ა.-კ. რკინის გზის სამმართველო შეუდგა წინასწარ მუშაობას ყინულის დამამზადებელ ქარხნის ასაგებათ სამტრედიაში ქარხნის პროექტი დამტკიცებულია გზათა სახალხო კომისარიატის მიერ. ასეთივე ქარხნები აიგება ერევანში, ბალაჯარში და განჯაში.

## მატარებლის გაძარცვა

19 ოქტომბერს, ღამის 11 საათზე, ნატანებ-ქობულეთს შორის გაძარცვეს ბათომში მიმავალი ნახევრად ჩქარი მატარებელი № 6.

ბოროტ-განმზრახველებმა დააზიანეს ლიანდაგი, დაალაგეს მასზე შპალები, რელსები და სხვა საგნები მატარებლის მოძრაობის შესაფერხებლად.

მთვარიან ღამეში მემანქანემ კარგათ შეამჩნია საშიშროება და ამის გამო შეანელა მატარებლის სვლა. მატარებლის სრული შეჩერება მან ვერ შესძლო, რასაც შედეგათ მოჰყვა მარცხი. ორთქლმავალი, საბარგო და სამი საკლასო ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან და დაზიანდა. უკანასკნელი სამი ვაგონი შედარებით არ დაზიანებულა.

მატარებლის გადავარდნის შემდეგ მძარცველებმა, რომელთა რიცხვი დაახლოვებით 15 აღწევდა, ასტეხეს სროლა და შეუდგნენ მგზავრების ძარცვას. დამსწრეთა სიტყვით, მძარცველების ერთი ნაწილი შეიარაღებული არ ყოფილა.

ბოროტ-განმზრახველებმა წაართვეს მგზავრებს ფული 1.500 მანეთამდე, ბუხრის ქუდი, 3 ოქროს ბეჭედი და წამოსასხამი, რის შემდეგ მიიმალნენ.

ზოგიერთი მგზავრი მსუბუქად დაშავდა. ბათომიდან და სამტრედიიდან გაიგზავნენ დამხმარე მატარებლები.

მარცხის ადგილი დაკავებულია დაზიანებულ მატარებლის შემადგენლობით; ამის გამო მოეწყო მეორე ლიანდაგი. მეორე ლიანდაგის მოწყობა დასრულდა 20 ოქტომბერს, დღის 12 საათზე და 30 წუთზე.

შემთხვევის ადგილას გაემგზავრა რკ. გზ. საგანგებო კომისიის სამტრედიის განყოფილების უფროსი, ქობულეთისა და ოზურგეთის ცხენოსანი მილიცია და აჭარისტანის ხელისუფლების წარმომადგენლები.

მძარცველების შესაპყრობათ მიღებულია სასწრაფო ზომები. როგორც სჩანს, ძარცვაში მონაწილეობა მიუღიათ ისეთ პირებს, რომლებიც კარგათ იცნობენ რკინისგზის წესებს. დამატებითი ცნობებით ორთქლმავალი და ორი ვაგონი უკვე ამოღებულია. ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა დანარჩენი შემადგენლობის ამოსაღებათ.

## ქრონიკა

### სამეცნიერო საბჭოში

კოლეგიამ საქართველოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია გან. სახ. კომისარი დ. ვ. კანდელაკი.

### სწავლის ფული

განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიამ ცალკე კომისიას მარიამ ორახელაშვილის თავმჯდომარეობით დაავალა გამოიმუშაოს ყველა სკოლებში სწავლის ფულის გადახდევინების პროექტი.

### სესხი საბჭოთა მეურნეობებს

ცენტრის მიერ ა.-კ. საბჭოთა მეურნეობებისათვის სესხად გადაცემული 100.000 მან. განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს—50.000 მან., აზერბეიჯანს—40.000 მან. და სომხეთს—10.000 მან.

### საერთაშორისო სპარტაკიადა

წითელი სპორტინტერნი 1928 წელს მოსკოვში, აწყობს საერთაშორისო სპარტაკიადას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ქვეყნების მუშათა სასპორტო ორგანიზაციები.

ამ.-კავკ. ფიზკულტურის საბჭომ მიიღო ზომები, რათა ამ სპარტაკიადაში ფართე მონაწილეობა მიიღონ ა.-კავკასიის სასპორტო ორგანიზაციებმა.

### სპარსელი სტუდენტების ჩამოსვლა

გუშინ პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა სპარსელ სტუდენტთა ჯგუფი. სტუდენტები დღეს მიემგზავრებიან სპარსეთში.

### გერმანელი ინჟინრები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ გერმანელი ინჟინრები გეორგ ზეილ და ფრიდრიხ დეკკერ.

### ქ. ზუგდიდის სადგურის გადატანა

საქართველოს უმაღლესმა მთავრობამ დააკმაყოფილა ზუგდიდის ქალაქის აღმასკომის თხოვნა შავი ზღვის რკ. გზ. ახალი სადგურის ქალაქის შუაგულში გადატანის შესახებ. წინეთ ეს სადგური ქალაქს მოცილებული იყო 4 ვერსით.

### ტრაქტორისტების კურსები

მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს მიერ მოწყობილი ტრაქტორისტ. კურ-ზე მიღებულია 114 მსმენელი (ჩარიცხვის მსურველი 1000-ზე მეტი აღმოჩნდა). კურსებზე მეცადინეობა ორწყებად სწარმოებს—დილით და საღამოთი.

### ტაბახმელის სადგური

მიწსახკომის განკარგულებით სწრაფად იწარმოებს მუშაობა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელ ტაბახმელის სადგურის გასაფართოვებლად. გაძლიერებულია სპეციალური პერსონალი. შეძენილია რამოდენიმე ასი სული საქონელი და სხვ.

### თბილისის აღმასკომში

◆ ქიქოძის სახელობის ქალთა საქარხნო-საფაბრიკო სკოლის შესაკეთებლად გადაიდო 1485 მან.

◆ ხიდების შესაკეთებლად წინასწარი მუშაობისათვის აღმასკომმა გადასდო 3,500 მანეთი.

◆ საფუთო გადასახადისაგან აღმასკომმა განთავისუფლა რკინისგზელთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლის გამო გადასაზიდი ტვირთები და სურსათ—სანოვაგე.

◆ რუკა. თბილისისა და მისი მაზრის მთლიან რუკის გამოცემისათვის წინასწარი მუშაობის წარმოება დაევალა საგეგმო კომისიას.

◆ თბილის-თიანეთის გზატკეცილის გასაყვანად გადაიდო 6571 მან.

◆ სახელმწიფო კინომრეწველობას გადაეცა პლეხ. გამზირზე № 164 მდებარე ბაღი.

◆ ჯანმრთელობის დაწესებულებათა ბინებზე რენტგენის კაბინეტებისათვის ელენერგიის გასაყვანად გადაიდო 1148 მ.

◆ ტყეების მოშენება. სატყეო სექცია შეუდგა გარე უბნებში იმ ადგილების შემოღობვას, სადაც გაშენებული იქნება ტყეები.

◆ საცხოვრებელი ბინის სივრცე ამჟამად თბილისში თითო სულზე მოდის 11,13 არშინი.

### სხვადასხვა

◆ ფქვილი. ა.-კ. კოოპერატივთა კავშირი აფხაზეთის კოოპერაციას ყოველ თვიურად მიაწვდის ათი-ათას ფ. ფქვილს.

◆ ხილი. სააქციო საზ-ბა „ტრანსპორტმა" დასავლეთ საქართველოში შეიძინა დიდძალი ხილი.

◆ თხილი. სას.-სამ. ბანკის ცნობით, წელს დასავლეთ საქართველოში თხილის მოსავალი მეტად მცირეა.

◆ რეზინოტრესტი 1 იანვრამდე თბილისის სავაჭრო დაწესებულებებს მიაწვდის 50 ათას წყვილ კალოშს.

◆ ვაშლი. ზაგ-ზოსტან კავშირი გორის მაზრაში ამზადებს ნახევარ მილიონ ფუთ ვაშლს.

### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 20 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულ ახალ საბინაო ტარიფის მე-8 მუხლში, სადაც განსაზღვრულია იმ პირთა საბინაო ქირა, რომელნიც ღებულობენ სპეციალურ განაკვეთებს, მუშაობენ შეთავსებით, ღებულობენ განსაზღვრულ მუდმივ დატვირთვას, ტანტიემას, საკომისიო და საპროცენტო ანარიცხს და სხ., გაპარულია შემდეგი კორექტურული შეცდომა: სწერია: „...რომლებიც ღებულობენ 150 მანეთზე ზევით, სარგებლობენ ჩამოკლებით 50%-ის რაოდენობით".

უნდა იყოს—„...სარგებლობენ ჩამოკლებით 30%-ის რაოდენობით".

## ხელოვნება

### ხელოვნების მთავარ საბჭოში
#### მომავალ მუშაობის პერსპექტივები

გუშინ საღამოს ხელოვნების სასახლეში გაიმართა მთავარ სახელოვნო საბჭოს პირველი სხდომა, რომელზედაც ამხ. დუდუჩავამ გააკეთა მოხსენება თბილისის თეატრების მომავალი სამხატვრო მუშაობის შესახებ.

ამხ. დუდუჩავა თავის მოხსენებაში შეეხო ხელოვნების საბჭოს მიერ დასახულ პერსპექტივებს და შეჩერდა უმთავრესად სახელმწიფო კონსერვატორიაზე.

— დღემდე—ამბობს ამხ. მომხსენებელი—კონსერვატორია იყო საშუალო მუსიკალური სკოლა, რომელიც ჩვენ გვიმზადებდა სამუსიკო დარგში საჭირო მუშაკებს, მაგრამ ფაქტიურათ კონსერვატორია გვიმზადებდა კვალიფიციურ ორკესტრანტებს.

კონსერვატორიამ თავის პირველ მიზნად დაისახა ოპერისათვის საჭირო ორკესტრანტების მომზადება. ამ მიზნით გაიხსნა საორკესტრო და პედაგოგიური კლასები. ამ კლასებში კურსდამთავრებულებს ჩვენ ვაძლევთ საშუალებას იმუშაონ ოპერის საორკესტრო დარგში, თუ წელს არა, მომავალ სეზონში მაინც. პირველ ხანებში ისინი ჩარიცხულ იქნებიან, როგორც პრაქტიკანტები და შემდეგ შევიყვანთ მათ, როგორც ორკესტრის კადრის მუშაკებს ცალკე შტატში.

სათეატრო პოლიტიკაში მთავარ სახელოვნო საბჭოს უმთავრეს ამოცანას შეადგენს საუკეთესო მუშათა თეატრის შექმნა.

გასულ წელს არსებულმა წითელმა თეატრმა დიდი სარგებლობა ვერ მოუტანა მუშურ აუდიტორიას და ამიტომ წელს ამაზე უარი ვსთქვით.

მისაღები შინაარსი და შესაფერი-გარეგნული ფორმა, აი, რა უნდა იყოს მუშათა თეატრის ლოზუნგი.

შემდეგ ამხ. მომხსენებელი ჩერდება ჩვენი დრამატურგიის კრიზისზე და აღნიშნავს, რომ არც წარსულში და არც დღეს ჩვენ არ გვყავდა ორიგინალი დრამატურგები და ამიტომ მაშინაც კოჭლობდა საქმე და დღესაც კოჭლობს.

დღემდე ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი საბჭოთა სატირა და კომედია, რაც უნდა ჩაითვალოს ჩვენი საბჭოთა შემოქმედების მინუსად.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ოპერისა და დრამის სუბსიდიას და აღნიშნა მთელი რიგი დაბრკოლებებისა, რომლის გამო ჩვენ ვერ შევიძლებთ მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

ამხ. დუდუჩავას შემდეგ მოსმენილი იქნა შ. დადიანის მოხსენება. პროვინციის სათეატრო პოლიტიკის შესახებ.

### სახელმწიფო ოპერა
#### „ფაუსტი"

მთავარ ინტერესს საანგარიშო წარმოდგენაში იპყრობდა მეფისტოფელის პარტია, რომელსაც თბილისის საოპერო სცენაზე პირველად ასრულებდა მეხნიაევი. მომღერალს მდიდარი ხმა აქვს. ხმა ფართო ტალღებად გადმოდის აუდიტორიაში, ის ლითონის ტემბრისაა, რაც მეხნიაევის ნიჭის ერთ-ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. ლამაზი ფრაზიროვკა, მუსიკალობა და მკაფიო დიქცია—აი დანარჩენი დადებითი მხარეები. სცენიურ შესრულებაში ბევრია ახალი, ორიგინალური. მაგალითად, მთელი სცენა ტაძრის წინ, სადაც არტისტი ალეგორიულად გამოხატავს მარგარიტას სინდისის ქენჯნას, აქ კარგად არის მოფიქრებული ფინალური მომენტი—ზეიმი სატანის, რომელიც იპყრობს ცოდვილი ქალის სულს. მაგრამ ამ მომენტს აფუჭებს ყოვლად უადგილო დემონიური ხარხარი და იაფფასიანი ხითხითი, რაც არ შეეფერება მეფისტოფელს, როგორც ბოროტი სულის განსახიერებას. სერიოზულ თეატრისათვის მიუღებლად უნდა ჩაითვალოს მეორე აქტის ფინალური სცენა, სადაც არტისტი სახიფათო რეალურ წვრილმანებს მისდევს. ძალიან კარგად იყო შესრულებული სერენადა.

სპრიშევსკაიამ (მარგარიტა) გამოიჩინა მშვენიერი ხმა (ლირიული სოპრანო) და მუსიკალობა, მაგრამ სცენიური მხრით მან ვერ მოგვცა მარგარიტას სახე, როგორც გიოტეს ნაწარმოების, ისე საოპერო შინაარსის მიხედვით.

ფაუსტის პარტიას ასრულებდა ვიტინგი. რასაკვირველია, ამ ნიჭიერ მსახიობს არ შეეძლო უფერულად ჩაეტარებია პარტია, მაგრამ ცხადი, რომ მისი ნიჭის სრულ ცხადყოფას იძლევა ლირიულ-დრამატიული და არა ლირიული პარტია. არტისტი სიმღერის დროს ზედმეტად ხაზს უსვამს ფრაზიროვკას, რაც სრულიადაც არ შეესაბამება ფაუსტის ლირიულ პარტიას. საერთო შესრულებაში ვერ იყო საკმაო ლირიზმი. გარეგნულად ვიტინგი ძალიან დიდი არის ფაუსტის პარტიისათვის.

ვენაძემ (ვალენტინი) მუსიკალურად შეასრულა ლოცვა და სიკვდილის სცენა.

„ვალპურგიის ღამე" (საბალეტო ვაკხანალია) დადგმულია ლამაზად და ეფექტიურად. ძალიან კარგია ნეიმანი მარტას როლში. კარგია ორკესტრი მელიქ-ფაშაევის ხელმძღვანელობით.

პ. ზ.

◆ „დაისი". ხვალ ოპერის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება „დაისი".

◆ საბალეტო სტუდიაში მეცადინეობა დაიწყება 2 ნოემბრიდან. მოწაფეთა ჩაწერა გრძელდება.

◆ კინო „ოაზისი" (მუშათა ახალ კლუბში) საზაფხულო ბინიდან გადატანილი იქნა საზამთრო შენობაში, რომელშიაც სურათების ჩვენება უკვე დაიწყო.

◆ პლეხანოვის სახელობის კლუბში ადგილობრივი დრამწრე წარმოდგენების გამართვას დაიწყებს ნოემბრის პირველ რიცხვებიდან.

◆ „აიდა". დღეს მეორედ ამ სეზონში წარმოდგენილი იქნა ოპერა „აიდა".

◆ „ქართული მწერლობის" მორიგი ნომერი გამოვა ამ თვის დამლევს.

## სასამართლო

### აპარინის საქმე

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით აპარინის მიერ გაფლანგულია 4.920 მანეთი.

ექსპერტებს აპარინის და ქაჯაიას მიერ შეთანხმებით 2.000 მანეთის მითვისება საეჭვოთ მიაჩნიათ.

შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალმდებელი გრიგოლია აღნიშნავს, რომ აპარინი განსაკუთრებული უფლებით სარგებლობდა. მან ბოროტათ გამოიყენა ეს უფლება და ხელი მიჰყო სახელმწიფო ქონების გაფლანგვას. პროკურორი ეყრდნობა ექსპერტების დასკვნას და მოწმეთა ჩვენებებს და ამბობს, რომ ბოროტმოქმედება აპარინის მიერ ჩადენილია განსაკუთრებულ მძიმე პირობებში. პროკურორს დამტკიცებულათ მიაჩნია, რომ აპარინის მიერ ნამდვილათ გაფლანგულია 4.920 მანეთი. გარდა ამისა, აპარინის და ქაჯაიას მიერ 2.000 მანეთი კუთვნილებისამებრ შეტანილი არ არის.

პროკურორი მოითხოვს აპარინის და ქაჯაიას პასუხისგებაში მიცემას სისხლის სამართლის კოდექსის 116 მუხ. II ნაწ. და 119 მუხ. ძალით.

აპარინის დამცველი ლამბაროვი აღნიშნავს, რომ აპარინის მიერ სახაზინო ფულების გაფლანგვის ფაქტი დამტკიცებული არ არის და შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ბრალდებულ აპარინის სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ.

ქაჯაიას დამცველი ი. ბარათაშვილი სთხოვს სასამართლოს ბრალდებულის განთავისუფლებას.

დღეს უკანასკნელი სიტყვა მიეცემა ბრალდებულებს და გამოტანილი იქნება განაჩენი.

# მუშათა ცხოვრება

**შაბათს, 23 ოქტომბერს ნაშუადღევის სრულ 3 საათზე ეწყობა გაზეთ „კომუნისტი"-ს მუშკორთა მასიური ექსკურსია ორთაჭალის რაიონის დასათვალიერებლად.**

**ყველა მუშკორებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ ექსკურსიაში.**

**მუშკორები თავს იყრიან დღის ორი საათიდან ყოფ. პუშკინის ბაღში. (თავისუფლების) მოედანზე).**

**შეუძლიან მონაწილეობა მიიღონ სხვა მუშებმაც.**

**მუშკორთა ბიურო.**

### აქაც დაწესდეს რვა საათის სამუშაო დღე

ა.-კ. რკინისგზებზე რვა საათის სამუშაო დღე შესაძლებელია გატარდეს კანტორაში, რკინის გზის სამმართველოში, მთავარ სახელოსნოში და სხვ. მაგრამ, რაც შეეხება მოძრაობის დარგს, წევის დარგს და საყუდს, აქ შეუძლებელია, რომ სრულად რვა საათი ამუშაო მუშა. ამიტომ ასეთ დარგებში შემოღებულია წყებიანი მორიგეობა. წყებიან მორიგეობის დროს ადმინისტრაციას არა აქვს უფლება მუშა - მოსამსახურე 12 საათზე მეტი ამუშაოს, ჩვენი ადმინისტრატორები კი ხშირად ამ დებულებას უხვევენ და 12 საათის მაგიერ მუშას ამუშავებენ 24 საათს განუწყვეტლივ. მუშა რომ გამოვა დილის რვა საათზე, ის მეორე დღის დილის რვა საათამდე მუშაობს, რაც ფიზიკურად აუტანელია და ამავე დროს იგი ტრანსპორტსაც უქადის საფრთხეს, ვინაიდან დაღლილ ადამიანს არ შეუძლია ნორმალურად იმუშაოს და ადვილად შესაძლებელია შეცდომაში შევიდეს. ასეთი მუშაობა ყოველ მხრივ საშიშია. რომ მკითხველს ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა ასეთ შემთხვევებზე, მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს:

სადგ. თბილისში მუშაობს რამოდენიმე სამანევრო ორთქლმავლები, რომლებსაც უნდებათ მუშაობა დღის და ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ. ამ ორთქლმავლებზე მუშაობენ მემანქანეები წყებიან მორიგეობის სახით. მათ, რომლებმაც უნდა იმუშაონ 12 საათი, უნდა დაისვენონ 24 საათი. მაგრამ ეს ასე არ ხდება სინამდვილეში. აი მაგალითიც:

10 ენკენისთვეს ორთქლ. № 9789 მემანქანე მელქაძემ იმუშავა 24 საათი (დილის რვა საათიდან მეორე დილის რვა საათამდე) ამავე დღეს ორთქლმავალზე № 9783 მემანქანემ ავალიანმა იმუშავა 24 საათი; 2 ენკენისთვეს ორთქლმავალზე № 9655 მემანქანემ ვოლჟინმა იმუშავა 24 საათი; 11 ენკენისთვეს ორთქლმავალზე № 9655 მემანქანემ აბესაძემ იმუშავა 24 საათი.

ეს კი იმიტომ ხდება, რომ საერთოდ საყუდის მემანქანეები სადგურში სამანევრო ორთქლმავალზე მუშაობას გაურბიან, ვინაიდან ისინი გზაში უფრო მეტ ხელფასს აკეთებენ, ვიდრე აქ. ამის გამო საყუდის მორიგეს ყოველთვის არ ჰყავს შემცვლელი მემანქანეები სამანევრო ორთქლმავალზე. ძველ წესებს კი არა აქვს უფლება ორთქლმავალი მიატოვოს. ამის გამო იგი იძულებული ხდება დილამდის განაგრძოს მუშაობა. ეს ხშირ მოვლენად გადაიქცა ჩვენ სადგურებზე.

ჩვენ წინაშე ისმება საკითხი, შეუძლია თუ არა მემანქანეს იმუშაოს 24 საათი დაუსვენებლად. ჩვენ გადაჭრით უპასუხებთ, რომ ასეთი მუშაობა შეუძლებელია და დაუშვებელიც. ასეთი მუშაობა არ არის ნაყოფიერი.

საჭიროა ნორმალური სამუშაო დღე აქაც განვამტკიცოთ.

მუშკორი ა. პრუესპირელი.

### ძმური დახმარება ინგლისის მუშებს

13 ოქტომბერს შესდგა სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომის პლენუმი. დღის წესრიგში სხვათა შორის იდგა, ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა მუშებისთვის დახმარების საკითხი. ამ საკითხის ირგვლივ ილაპარაკა სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. ნიკო ვაჭარაძემ.

მომხსენებელმა დაახასიათა ინგლისის გაფიცულ მუშათა მდგომარეობა, მათთვის დახმარების აუცილებლობა. დასასრულ მან მოუწოდა პლენუმს, რათა ყოველმა შეგნებულმა მუშამ გამოიღოს თავისი წვლილი ინგლისელ გაფიცულ მუშათა დასახმარებლად.

პლენუმმა დაადგინა გადადებულ იქნას თითოეულ თანამშრომელთა მიერ ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ თვიურ ჯამაგირიდან ერთი პროცენტი გაფიცვის დამთავრებამდე. პლენუმმა დაადგინა აღნიშნული საკითხი გადატანილ იქნას მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

პლენუმმა დაამტკიცა აგრეთვე საწევრო ბიუროს ოქმი № 6. და ცნობათ მიიღო უბნის პროფკავშირის მიმართვა № 23.

მუშკორი რადიუმი.

### ერთი საღამო პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში
(შთაბეჭდილებანი)

პლეხანოვის კლუბში ჩვეულებრივი საღამოა. ხალხი ბუზებივით ირევა. ყველა მუშებია. ყველას დასვენება სურს ბაღში.

ან და რატომ არ დაისვენებს, როდესაც ბაღში მოწყობილია აღმზრდელობითი და გონიერი მრავალნაირი გასართობები.

— ძალიან გამოკეთდა ეს ბაღი არა? ეკითხება ერთი მუშა მეორეს

— როგორ არა! გამოკეთდა და საგრძნობლად!

— უყურე რა ლამაზი ყვავილნარია?! მოფენილია დატკეპნილი აგურით გზები, შადრევნები, საგრილებლები და სხვა — კიდევ. ვინ იცის, რა გვქვს აქა.

ქართული დრამწრის მუშაობამაც მიიღო თავისი სახე!

— დღეს „ხანუმა" უნდა დაიდგას. ვნახოთ, როგორ ჩატარდება.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისს მოეფინა შავი ღრუბლები, და ამინდი შეუფერებელი იყო ხალხი მაინც მოიჩქაროდა აქეთკენ სულიერი საზრდოს მისაღებად.

ყოველ მუშაში სიხარულია.

სალაროსთან დიდი რიგია გაჩერებული და ხალხიც თანდათან ემატება.

— შევიდა ხალხი დარბაზში. დაჰკრა საათმა ცხრაჯერ. აიხადა ფარდა.—მხატვრული დადგმა. მსახიობთა მოხდენილი თამაში გიტაცებს მაყურებელს.

აგერ გამოდის სცენაზე დამსახურებული მუშა — მსახიობი ქალი **ხონა გოგაშვილი** „ხანუმა"-ს როლში.

მოხდენილია მისი თამაში, იცნობს მას ლენინის უბნის მუშათა მასა.

იცნობენ აგრეთვე რეჟისორს **ხოსო მებურიშვილს**, რომელმაც გამოზარდა მუშა სცენის მოყვარულნი.

უმართავენ ოვაციებს **ამხ. გოგაშვილს.**

წარმტაცია ის სურათი, როდესაც იხდება ხელმეორედ ფარდა და ხალხს ვადაეშლება ლამაზად მორთული ოთახი.

შეფარდებული პიესის შინაარსთან მიზანსცენა, მიხვრა - მოხვრა და ეგრედ წოდებული მიმიკა.

ხალხში ისმის საღი და მძლავრი სიცილი ან და რატომ არ უნდა იყოს ასე, როდესაც ა. ცაგარელის პიესების კარგად დადგმა არა ნაკლებ სიცილ -ხარხარს იწვევს და იპყრობს საზოგადოების ყურადღებას.

რას ვხედავთ შემდეგში?

ზურნა, მეზურნეები გრიმებში და ტანისამოსში — ხალხში მხიარულება ერთობ გაიზარდა.

სცენაზე ცეკვაა.

— აგერ ცეკვავენ ძველი ტიპები ქართულ-სომხური, ჩინოვნიკები, „ხანუმა".

**ამხ. პავლიაშვილი, ნათაძე** დასხვ. ასულდგმულებენ პიესის ტიპებს.

უკვე ჩამოეშვა ფარდა.

ხალხი ძალზე კმაყოფილია **ამხ. ს. მებურიშვილის** მუშაობით მეტადრე ამ უკანასკნელ ზაფხულის პერიოდში და იმედს გამოსთქვამს, რომ ივი უფრო გააცხოველებს კლუბში მუშაობას. მიაწვდის მუშებს სულიერ საზრდოს და ამით შექმნის როგორც კლუბის, ისე დასის პრესტიჟის აწევას.

დაუვიწყარია ის შთაბეჭდილება, რომელიც მივიღე პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში რეჟისორ ს. მებურიშვილის დადგმულ პიესის „ხანუმა"-ს გამო.

მუშური მადლობა აგრეთვე მსახიობ **ხონა გოგოშვილს**, რომელმაც საინტერესოდ დაახასიათა „ხანუმა"-ს ტიპი.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი

### მუშათა ქრონიკა

— **სუსტად მუშაობს.** ხაშურის კულტკომისიის თათბირზე გამოირკვა, რომ უბანში შემფასებელი - საკონფლიქტო კომისიები სუსტად მუშაობენ. ამის გამო დაევალათ მათ მომავალში უფრო გაცხოველებულად აწარმოონ მუშაობა.

— **„შ. ხ. კ"-ას მუშაობა.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიას 8 თვის გზმავლობაში ჰქონდა 26 სხდომა, რომელზედაც გაირჩა 274 საკითხი. აქედან მუშების სასარგებლოთ 143 საკითხი, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 91 საკითხი.

შემფასკომის მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

— **მემაღაროეთა სასარგებლოდ.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის პლენუმმა დაადგინა, რათა გადაიდოს თანამშრომელთა ჯამაგირიდან ინგლისის მემაღაროეთა სასარგებლოდ 1 პროც. გაფიცვის დამთავრებამდე.

— **ადგილკომი გაირჩა. ქუთაისში არჩეულია ახალი ადგილკომი და სარევიზიო კომისია.**

## პროფკავშირებში

### საქართველოს სამთამადნო მუშათა ყრილობა

20 ოქტომბერს ქალაქ ჭიათურაში გაიხსნა საქართველოს სამთა-მადნო მუშაკთა წლიური ყრილობა.

ყრილობაზე დასასწრებლად თბილისიდან გაემგზავრა სამთო სამმართველოს ინჟენერი წულუკიძე, რომელსაც დავალებული აქვს გააკეთოს მოხსენება საქართველოს სამთამადნო მრეწველობისა და მისი მომავალი პერსპექტივების შესახებ.

ყრილობის მუშაობა გასტანს დაახლოებით ერთი კვირა. ყრილობაზე წარმოდგენილი არიან შემდეგი დარგები: შავი ქვის მრეწველობა, ნახშირის მრეწველობა, ბარიტის მრეწველობა, სპილენძის მადნების მუშაკთა წარმომადგენელი და სხ.

### პროფმუშაობის ქრონიკა

#### მელითონეთა კავშირში

— **საკავშირო მეშვიდე ყრილობის დელეგატი.** საკავშირო მეშვიდე ყრილობის დელეგატათ საქართველოს მელითონეებისაგან არჩეულია საქართველოს მელითონეთა კავშირის ცენტრ. გამ. თავმჯდომარე — ამხ. ზ. კ. მაჩაიძე.

### რკ. გზის პროფბიუროებში

— **დამზადება.** ა.-კ. საგზაო კომიტეტმა მიმართა რკ. გზ. სამმართველოს ეხლავე შეუდგეს მუშებისათვის 1926—27 საოპერაციო წელში საჭირო სპეცტანთსაცმლების დამზადებას.

— **კომპენსაცია.** ა.-კ. საგზაო კომიტეტმა მიმართა ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს ეხლავე დაურიგოს მუშებს 1924—25 წელში მიუღებელ სპეცტანთსაცმლების ნაცვლად ფულადი კომპენსაცია.

— **პედაგოგიურ ინსტიტუტში.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მოსკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში მიავლინა ორი მსმენელი — ერთი სამტრედიიდან და ერთიც ლენინაკანიდან.

—**2008 კაცი.** ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის ცნობით ამჟამად რკინისგზაზე 2008 უმუშევარი კავშირის წევრია. პროფკავშირს განზრახვა აქვს გაუწიოს უმუშევრებს ფულადი დახმარება.

—**სახელმწ. სესხი.** ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირმა მიმართა საუბნო კომიტეტებს ჩაატარონ ფართო კამპანია სახელმწიფო მომგებიან სესხის ობლიგაციების შესაძენათ მუშებს შორის.

## წითელ ჯარში

### უვადო შვებულებაში დათხოვნილ წითელ არმიის უფ. შემადგენლობის მოსაწყობად

უვადო შვებულებაში დათხოვნილ უფროს შემადგენლობის მოსაწყობად არჩეულ კომისიამ განიხილა ქვე-კომისიის მოხსენება. ქვე-კომისიას წინადადება მიეცა დაამთავროს 25 ოქტომბრისათვის თავისი მუშაობა. გარდა ამისა უნდა იქნეს შედგენილი გარკვეული სია დათხოვნილებისა, მათი კვალიფიკაციის აღნიშვნით. ქვე-კომისიას დაევალა გამოარკვიოს აგრეთვე საკითხი, თუ რამდენ კაცის მოწყობაა შესაძლებელი სახელმწიფო დაწესებულებებში.

დაწესებულებათა უფროსებს უფლება მიეცათ, ამოარჩიონ სათანადო თანამდებობანი დათხოვნილების მოსაწყობად.

ამხ. ს. ჯუღელს დაევალა გამოარკვიოს საკითხი უფროს შემადგენლობის მოწყობის შესახებ ავტონომიურ რესპუბლიკებში.

დათხოვნილების მოწყობის საკითხი რკინისგზაზე დავალებული აქვს ამხ. მაშკევიჩს.

### წერა - კითხვის უცოდინართა აღრიცხვა

საერთო ტერიტორიალურ შეკრების დროს ლეგიონებში წარმოებულ იქნა წერა-კითხვის უცოდინარ ცვალებად წითელარმიელთა აღრიცხვა.

უცოდინარათა სიები გადაეგზავნა სათანადო მაზრების პოლიტგანათლების განყოფილებებს. უცოდინარი ცვალებადნი პირველ რიგში მოთავსებულ იქნებიან სალიკვიდაციო სკოლებში.

### სახელმძღვანელო სამხედრო კუთხეების გამგეებისათვის

ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილება შეუდგა სამხედრო კუთხეების გამგეებისათვის სახელმძღვანელოს გამოცემას. უნდა ითქვას, რომ დღევანდლამდის ასეთი სახელმძღვანელო არ იყო ქართულ ენაზე. ეს გარემოება უშლიდა ხელს სამხედრო კუთხეების მუშაობას. სახელმძღვანელოს გამოცემით ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება.

## ლითონები

ლითონის საქონლის ბაზარზე საამშენებლო სეზონის დამთავრების გამო შემჩნეულია სამომხმარებლო და ნაწილობრივ სავაჭრო მოთხოვნილების მცირედი შემცირება.

ზოგიერთი საქონლის მიწოდება აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ზოგი კი ისევ ცოტა იშოვება ბაზარზე.

სახურავის და დახარისხებულ რკინეულობის ბაზრის მდგომარეობა მტკიცეა. მიწოდება სუსტია და ვერ ფარავს მოთხოვნილებას.

დიდი მოთხოვნილებაა ყოველგვარ მავთულებზე, რომელიც ცოტა იშოვება ბაზარზე; ფასები მტკიცეა. მოთხოვნილება საამშენებლო ლურსმნებზე რამოდენიმეთ შესუსტდა, მიწოდება ფარავს მოთხოვნილებას.

გაცხოველებული მოთხოვნილებაა ელექტრო-ტეხნიკურ მოწყობილობაზე, დაზგებზე, მეტრიულ საწონებზე, საქანავებზე, მუდმივი ნაკადის ელექტრო-მოტორებზე და ლითონის სხვა ნაწარმოებზე; საქონელი იყიდება სახელმწიფო ტრესტების ფასებში.

გაძლიერებული მოთხოვნილებაა ფერად ლითონებზე; ბაზარზე საქონელი ცოტაა, მიწოდება სუსტია.

## სას.-სამ. გამოფენა ახალქალაქში

24 ოქტომბერს ახალქალაქში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც წარმოდგენილ იქნება მაზრის მეურნეობის ყოველი სახე. გამოფენაზე ცალკე ადგილი დაეთმობა მესაქონლეობას და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს.

საქონლის საუკეთესო ჯიშების ასარჩევად და ცალკე მეცხენეობის ინსტიტუტის დასაარსებლად თბილისიდან გაემგზავრენ საქართველოს ცხენთსაშენის წარმომადგენლები— გ. შამათავა და ვაჩნაძე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე მეურნე გლეხების მიერ მოყვანილი სხვადასხვა ჭირნახული, რომლებზედაც წარსული წლის განმავლობაში სწარმოებდა საცდელი მუშაობა. შედარებული იქნება ძველის წესით მოყვანილი ჭირნახულის ხარისხი ახალი წესით მოყვანილ ჭირნახულთან. იმ მეურნეებს, რომელთაც უკეთესი შედეგები მიიღეს მეურნეობაში — დაურიგდებათ ჯილდოები.

ჯილდოების დასარიგებლად და წარმოდგენილ ექსპონატების შესაფასებლად სამაზრო აღმასკომის მიერ გამოყოფილია ცალკე კომისია სამაზრო აგრონომის ხელმძღვანელობით.

გამოფენა გასტანს ერთი კვირა.

## დეკრეტი ღვინის შესახებ

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველომ შეიმუშავა პროექტი დეკრეტისა ღვინის დამზადების, შენახვის და გაყიდვის წესის შესახებ.

დეკრეტით დაწვრილებით განსაზღვრულია წესი ღვინის დაყენებისა, აღნუსხულია საამისო [illegible] ტეხნიკური ღონისძიებანი, აგრეთვე განსაზღვრულია წესი ღვინის ვაჭრობისა და სხვ.

დეკრეტით გათვალისწინებულ წესის დარღვევისათვის დადგენილია სასჯელი, გათვალისწინებული საქართველოს სისხლ. სამ. კოდექსის 196 და 197 მუხლებით, აგრეთვე, ადმინისტრატიული წესით, ჯარიმა 100-500 მანეთამდე. ამასთან დეკრეტით გათვალისწინებულ წესის გარეშე დამზადებული ან გასაყიდად გაშვებული ღვინო პატრონს ჩამოერთმევა კონფისკაციის წესით. პროექტით. მიწსახკომს უფლება ეძლევა გამოსცეს, დეკრეტის განსავითარებლად, სავალდებულო დადგენილებანი და დააწესოს თითოეული დარღვევისათვის სასჯელი, სავალდებულო დადგენილებათა შესახებ მოქმედ კანონების ფარგლებში.

პროექტი წარედგინა დასამტკიცებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიას.

## სიმინდი

ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი შეუდგა სიმინდის მარაგის გამოკვლევას საქართველოში. გამოკვლევის მიზანია გამოარკვიოს ჩვენში სიმინდის საერთო მარაგი. ამ მიზნით გამოკვლეული იქნება როგორც ძველი, ისე ახალი სიმინდის რაოდენობა ჩვენს სოფლებში. საერთო მარაგის გამოკვლევით შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატი გამოარკვევს საქართველოსათვის საჭირო შემოსაზიდ სიმინდის რაოდენობას.

ამ მიზნით ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატმა უკვე დაუგზავნა სათანადო მიმართვები საქართველოს ყველა სამაზრო აღმასკომებს.

## ქარხნების გახსნა

### მაუდის ქარხანა

ხვალ მოხდება დიღმის მაუდის ქარხნის საფუძველების საზეიმო ჩაყრა. ზეიმს დაესწრებიან სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

### ახალი ქარხანა

ს. მ. უ. ს. ტეხნიკურმა განყოფილ. გაგზავნა შორაპნის მაზრაში სპეციალისტების კომისია საკერამიკო თიხის შესამოწმებლად.

კომისიას დავალებული აქვს გამოარკვიოს, თუ ადგილობრივ გარდა აგურის ქარხნისა შეიძლება თუ არა საკერამიკო წარმოების დაწყება.

## ქაღალდის ქარხნის აგების გარშემო

მდინარე ენგურთან ქაღალდის ქარხნის აშენების საკითხი უკვე უახლოვდება დამუშავების საბოლოო სტადიას. ქაღალდის წარმოების დასაწყებად უმთავრეს ამოცანას შეადგენს მისი ნედლი მასალით უზრუნველყოფა. ზოგი სპეციალისტის აზრით ჩვენში არ მოიპოვება იმდენი სატყეო მასალა, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ენგურზე ქაღალდის ქარხნის სრული დატვირთვა.

აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად და შესასწავლად ამ რამოდენიმე თვის წინად მიწადმოქმედების კომისარიატის ინიციატივით სვანეთში დაიგზავნა სატაქსაციო ჯგუფი, რომელსაც უნდა შეესწავლა სვანეთის ტყეების ექსპორტის შესაძლებლობა და ის. თუ რამდენად გამოსადეგი იქნება სვანეთიდან გამოტანილი სატყეო მასალა ქაღალდის წარმოებისათვის.

ჯგუფმა უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა სვანეთში.

ჯგუფის ხელმძღვანელის წინასწარი მოხსენებიდან ირკვევა, რომ სვანეთის ტყეები სავსებით უზრუნველყოფენ საქართველოში ასაშენებლად განზრახულ ქაღალდის ქარხანას და კიდევ დარჩება იმდენი მასალა, რომ ამით დაიფარება საამშენებლო მასალათა მოთხოვნილებაც. საამშენებლო მასალების გამოზიდვას სვანეთის ტყეებიდან უხელმძღვანელებს სატყეო ტრესტი.

## ტყის გაშენება

უკვე ორი-სამი წელია, რაც თბილისის აღმასკომი აწარმოებს მუშაობას თბილისის მიდამოებში ტყის გასაშენებლად. თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მთაწმინდაზე ტყის გაშენებას. ტყის გაშენებას ორი მიზანი ჰქონდა: ერთი ქალაქის ჰაერის გაჯანსაღება და მეორე ქალაქის ნიაღვრებიდან დაცვა.

მთაწმინდაზე ტყის გაშენების საქმე სანახევროდ დამთავრებულია: გაყვანილია კვალები და თითქმის მთელ მთაზე ჩაყრილია ნერგები.

მთაწმინდის გარდა ტყის გაშენება განზრახულია ქალაქის სხვა მიდამოებშიც. ზოგან მუშაობა უკვე დაწყებულია, მაგრამ საქმეს ართულებს შესაფერი ჯიშის ხის ნერგების უქონლობა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მიდამოებში განსაკუთრებით ხარობს ელდარის ფიჭვი, რომლის გაშენება ყოველ მხრივ მიზანშეწონილია. სამწუხაროდ ელდარის ფიჭვის თესლი თითქმის აღარ იშოვება.

გაითვალისწინა რა ეს გარემოება, აღმასკომის სატყეო სექცია შეუდგა სხვა ჯიშის ფიჭვის თესლის ძებნას.

ასეთი აღმოჩნდა ყირიმის შავი ფიჭვი, რომელიც საუცხოვო თვისებისაა და ამავე დროს კარგად იხარებს აქაურ ნიადაგზე. ყირიმის შავ ფიჭვის თესლი საკმაოდ იშოვება.

სატყეო სექცია უკვე შეუდგა ამ ფიჭვის თესლის შეძენას. მომავალი წლისათვის სექცია მიიღებს რამოდენიმე ათი ათას ნერგს, რომლებიც გაშენებული იქნებიან თითქმის მთელი თბილისის ირგვლივ.

# შემთხვევები

## ბოროტმოქმედება საკომისიო მაღაზიებში

თბილისის ლომბარდის ორი საკომისიო მაღაზია გადაეცა კერძო პირებს; ხელშეკრულების ძალით უზრუნველყოფილია ამ მაღაზიების კლიენტების და საერთოთ იმათი ინტერესები, ვისაც ამ მაღაზიებთან რაიმე კავშირი აქვს.

მაღაზიების კერძო პირებზე გადაცემას წინ უძღოდა მათი რევიზია, რომელიც ალმასკომის საუწყებო საკონტროლო კომისიამ მოახდინა. რევიზიამ აღმოაჩინა მთელი რიგი ბოროტმოქმედებებისა ჩადენილი მაღაზიების ხელმძღვანელთა მიერ, მაგალითად, პირველ მაღაზიაში საანგარიშო ნაწილის არევ-დარევის გამო შეუძლებელი გახდა ოპერაციების სრული სურათის შექმნა. ნივთების ნაწილი დაუნომრავი აღმოჩნდა. ამას გარდა მაღაზიას დააკლდა 3.000 მან. პირველ მაღაზიას განაგებდა ალშვანგი.

კიდევ უფრო ცუდი სურათი გადაიშალა მეორე მაღაზიის რევიზიის დროს. ამ მაღაზიას განაგებდა ღლონტი. ამ მაღაზიაში ნივთებს ჰაცილებით უფრო ძვირად აფასებდენ, ვიდრე ნამდვილად ღირდა. მაგალითად 20 მანეთად ღირებულ ნივთს 100 მან. აფასებდენ და 60 მან. აძლევდენ. იყო შემთხვევა აგრეთვე, როდესაც 240 მანეთად ღირებული ნივთი შეაფასეს 1.000 მან. და მასში მისცეს 600 მან. შემდეგ ნივთის პატრონისაგან მაღაზიის ხელმძღვანელი იღებს „გასამრჯელოს“. ამ „მუშაობას“ შეხმატკბილებულად აწარმოებდენ გამგე, მოლარე და გამყიდველები. მაღაზიას გარეშე კაცებიც ჰყავდა. მათ მოჰქონდათ ნივთები, ძვირად აფასებდენ. „მოგებას“ კი ძმურად იყოფდენ. ხოლო მოგების მცირე ნაწილს უნაწილებდენ პატრონს, ხშირად კი ნაღდი ფულის მაგიერ თამასუქს აძლევდენ. მაღაზიის გარედან „ხელის შემწყობთა“ შორის დიდი „მუშაობა“ მიუძღვით მირველოვს, კაწახიას და ჩოპინოვს.

ამ ბოროტმოქმედებათა გარდა რევიზიამ აღმოაჩინა მრავალი ნაკლულევანებანი მაღაზიის საქმის წარმოებაში. საანგარიშო ნაწილში და სხვ.

ალმასკომმა რევიზიის დასკვნების მიხედვით პასუხისგებაში მისცა მეორე მაღაზიის თანამშრომელნი და სამი გარეშე პირი. პასუხისგებაშია მიცემული: ღლონტი, ბილანაშვილი, ნადირაძე, ანდღულაძე (თანამშრომელი), მერკვილაძე, კაწახია და ჩოპინოვი (კერძო ვაჭრები).

## აფერისტების დაპატიმრება

მოქ. გრიგოლ შალიბაშვილს თავის სიცოცხლეში არავითარი განსაზღვრული ხელობა არ ჰქონია, მაგრამ ის მეგობრებში თავს ხან „ბუხჰალტერად“ და ხან კიდევ „სტუდენტად“ ასაღებდა.

უკანასკნელ ხანებში შალიბაშვილმა „მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“ ხელი მიყო აფერისტობას.

შალიბაშვილი შეეჩვია სინდიკატის მაღაზიას № 2. შევიდოდა მაღაზიაში, იყიდდა 25 კაპ. საქონელს და გამოჰქონდა ხშირად 70 მანეთის სადირალი. შალიბაშვილს ქვითარზე აღნიშნული სიტყვა: „გადახდილია“ გადაჰქონდა მეორე ქაღალდზე და 25 კაპიკის მაგიერ ჩასწერდა 70 მანეთს.

ასეთ ბოროტმოქმედებას შალიბაშვილი სისტემატიურად აწარმოებდა. ერთი ასეთი ბოროტმოქმედების ჩადენის დროს ის შემჩნეულ იქნა, მაგრამ შესძლო გაქცევა.

გუშინ, საღამოს, სისხლის სამართლის მილიციის მიერ აფერისტი შალიბაშვილი დაპატიმრებულ იქნა.

— 1-ლ საავადმყოფოში სულით ავადმყოფმა რაფაელ ოღლიმ დანით დაიჭრა თავი.

— ჯიბგირობა. მარტის მოედანზე, 20 ოქტ. შეიპყრეს ჯიბგირი თეთრაძე.

— ცენტრალურ ბაზარში შეიპყრეს ქურდი ქ-ლი ევგენია ტენტეკნიკავი.

— ამავე დღეს მესამე უბანში გაქურდეს არტემ კაზარიანცის ბინა. წაიღეს 60 მანეთის ნივთები.

— ქურდობა. 20 ოქტ. ბაქოს ქ. № 4, გაქურდეს იულია რუხაძის ბინა. წაღებულია 80 მანეთის ნივთები.

— ამავე დღეს ელისაბედის ქ. № 49 ივანე აბაზაძის ბინიდან მოიპარეს 50 მანეთის ნივთები.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ოკეანოპლანი

ამჟამად ადამიანს აქვს ზღვებზე და ოკეანეებზე მოგზაურობის ორი საშუალება,—ეს არის გემები და ჰიდროპლანები. უკრაინელმა ინჟ. გასენკომ ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოიგონა განსაკუთრებული აპარატი, რომელიც წარმოადგენს რაღაც საშუალოს გიდროპლანსა და გემს შორის, ვინაიდან ფრენს ჰაერში, როგორც ჰაეროპლანი და ამავე დროს, ეხება რა ფრენის დროს წყლის ზედაპირს, მოძრაობს მასზე, როგორც გემი. თავის აპარატს ინჟ. გასენკომ უწოდა ოკეანოპლანი ანუ „ზღვის რწყილი“, რადგან თავისი გარეგნული სახით და მოძრაობის წესით ძლიერ წააგავს ამ წყალის მწერს.

აპარატის წინასწარმა გასინჯვამ მდ. რიონზე (საფრანგეთში) და ხმელთაშუა ზღვაზე ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. მიუხედავათ მცირე სიმძიმისა (აპარატი 60 ფუთზე მეტს არ იწონს), ოკეანოპლანისათვის საშიში არ არის არც ქარიშხალი და არც ღელვა. საათში მას შეუძლია 120—200 ვერსის გავლა.

აპარატის ხის კორპუსი 13 მეტრის სიგრძისაა, განი კი—ორ მეტრს უდრის.

ოკეანოპლანზე მოწყობილია ოთახი მფრინავებისათვის, საპირფარეშო, ოთახები მგზავრებისათვის, სამზარეულო. ორიგინალური აპარატზე არის მოწყობილობა წყალში წონასწორობის დასაცავად, ამ მოწყობილობებს მწერის თათების ფორმა აქვთ, ისინი შეიძლება მოიკეცოს და ისე არიან მოთავსებული, რომ ჰქმნიან სამკუთხედს.

იმ დროს, როცა ოკეანოპლანის სისწრაფე მაქსიმუმს უახლოვდება, მფრინავს მოძრაობაში მოჰყავს აპარატის ფრთები და შესაფერ დახრილობას აძლევს მათ.

ამის გამო აპარატი რამდენიმედ შორდება წყლის ზედაპირს. ცოტა ხნის შემდეგ აპარატი სწორდება და 80 სანტიმეტრის სიმაღლეზე მისრიალებს წყალზე 140 კილომეტრის სისწრაფით საათში. როცა მფრინავი აჩერებს მოტორის მუშაობას, აპარატი ანელებს სვლას, ჰაერის მიწოლა მის ფსკერზე სუსტდება. ამის გამო აპარატი ეშვება დაბლა და მისი ფსკერი ეხება წყალს, მფრინავს მოძრაობაში მოჰყავს საჰაერო და წყლის ხრახნილები და ოკეანოპლანი ჯდება წყალში. ამჟამად ინჟ. გასენკოს განზრახვა აქვს თავისი აპარატით გამგზავროს ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეში (ქ. ბუენოს აირესში, სამხრეთ ამერიკა). მას გასავლელი აქვს 10.000 კილომეტრი. ეს იქნება პირველი უდიდესი მოგზაურობა ოკეანეს ზვირთებში ასეთ პატარა უცნაურ ხომალდზე.

# პარტიული კალენდარი

შაბათს, 23 ოქტომბერს, დილის 10 საათზე **შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

**თბილისის კომიტ. სამდივნო.**

---

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს დღეს, 22 ოქტომბერს, დილის 10 საათზე გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან. 1) პიბი ფრანცი, 2) ხამიცევი ალექსი გაბრ., 3) ტალგაუპიანი კოპლო გრიგორისძე, 4) მურადოვი სურენ ა., 5) მაცაბერიძე აპოლონ დ., 6) სუტაძე შიო ივანესძე, 7) გალუსტიანი მარტიროს კ., 8) ბეგაძე კონსტანტინე ბ., 9) მაღრაძე შალვა ს., 10) გუგუნიშვილი გრიგოლ.

---

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქალაქის რაიონის ყველა უჯრედებს, რომ პარასკევს, 22 ოქტომბერს, მორიგ პარტდღის, უჯრედების კრებების დღის წესრიგში დასვან ადგილობრივი საკითხები.

---

საქართველოს კომპარტიის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს პარასკევს, 22 ოქტომბერს გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. ლობჟანიძესთან. 1) სნეგირევი (ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტი), 2) მაისურაძე (ამ.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი), 3) კაჭარავა (ამ.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი), 4) კალინინსკი (ამ.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატი), 5) ლერმონტოვი (ამ.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი), 6) მეფოდიევი (სახელმწ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი), 7) პიტერსკი („რაბოჩაია პრავდა“-ს რედაქცია).

**ქალაქის რაიკომი.**

---

მარიამ გიორგის ასული ჯაფარიძე, დავით გიორგის-ძე, ელენე იასონის ასული, ლევან გიორგის-ძე და პელაგეა ერმოლოზის ასული იოსელიანები ბავშვებით აუწყებენ საყვარელ ბიძა

**ეგნატეს**

გარდაცვალებას. 278

---

ანნა, ეკატერინე გიორგის ასულნი და ნიკოლოზ გიორგის-ძე ჯაფარიძე ოჯახით აუწყებენ საყვარელ ძმის

**ეგნატე ონისიმეს-ძე იოსელიანის**

გარდაცვალებას 21 ოქტომბერს. 278

---

გაუბედურებულნი მშობლები ნოე და მარიამ კვირკველიძეები, დები—მარგალიტა და ვალიდა, ბებიები ივლიტა და ფიდოსი, ბიცოლა კესარია, ბიძაშვილები გიორგი, ფატია და ელიჩკა აუწყებენ ნათესავთ—ნაცნობთ და მეგობრებს

**თეიმურაზ კვირკველიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია 23 ოქტომბერს, შაბათს, სამ საათზე, სოფელ უჩხობში.

---

ოლღა გიორგის ასული შვილით ელენე და სიძე შალიკო გატაშვილი მწუხარებით აუწყებენ მეგობართ, ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი მეუღლის და მეორე მამის

**იოსებ ზაქარიას-ძე კანდელაკის**

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება შაბათს, 23 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, ყოფილ მიხეილის საავადმყოფოდან.

---

კვირას, 24 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ქალ. ქუთაისში, ... მონასტერში ძვირფასი და დაუვიწყარი

**გოგონა წერეთელი-გამრეკელის**

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი, რასაც ვაუწყებთ გულდაწყვეტილი მშობლები—ონეპოდისტე (ნაპა) სოლომონის-ძე წერეთელი, ნინო დავითის ასული წერეთლისა, ქმარი სიმონ (ბუტია) ალექსანდრეს-ძე გამრეკელი, დები: ქეთინა და ფაჩუ, ძმები—კუკური და სოსიკო, ბიძები და ბიცოლა. 258

---

ღრმად დამწუხრებული ქმარი ანტონ, შვილები მარუსა და ვახტანგი, მამა ალექსი, ძმები ილო და შაქრო დოკაძეები, მამა გრიგოლი, ძმები—სოსიკო, შაქრო, და ოლღა, რძლები სონა და ტასიკო მაისურაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარ

**ალექსანდრა (საშა) დოკაძის**

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან იურევის ქ. № 34 შაბათს, 23 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

---

გულდათუთქული მეუღლე მარგალიტა პავლეს ასული და შვილები გიორგი ლაქტიონ (ბუხუ), ივლიანე (ბახუ, რძალი—ანა ნიკიტას ასული, გიორგი (ჟორჟიკ), ქალიშვილები:—პელაგია და ნადეჟდა გაწერელიები, ქსენია სანადირაძისა, და—ოლღა გაბრიელის ასული. სიძეები—ალექსანდრე სიმონისძე შავდია შვილებით და ევგენი მოსესძე სანადირაძე შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**გრიგოლ (ქვაჩა) გაბრიელისძე გაწერელია**

რომლის დასაფლავება დანიშნულია სოფ. მარტვილში 23 ამა ოქტომბერს დილით შაბათს სამ საათზე. ქგ. 281

---

**სააქციო საზოგადოების „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ ამავე საზოგადოების წესდების § 28 თანახმად, 1926 წლის 24 ოქტომბერს, კვირას შუადღის 10 საათზე ქალაქ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე № 23 მესამე სართულში

მოწვეულია საზოგადოების

**აქციონერთა მორიგი ჩვეულებრივი**

**საერთო კრება**

**განხილული იქნება შემდეგი საკითხები:**

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მუშაობის შესახებ 1926 წლ. 1 იანვრიდან ვიდრე ა. წ. 1 ოქტომბრამდე.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. სააქციო საზოგადოების მომავალი ხუთწლიანი სამოქმედო პერსპექტიული გეგმა.
4. სააქციო საზოგადოების ძირითადი თანხის შევსება.
5. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის დამტკიცება.
6. გამგეობის შემადგენლობის დამტკიცება.
7. მიმდინარე საკითხები.

საზოგადოების აქციონერთა წარმომადგენლები უნდა გამოცხადდენ სათანადო რწმუნებით აღჭურვილნი.

ნ. 108 **გამგეობა**

---

**სახელმწიფო ოპერა**

მეორე აბონემენტის პირველი წარმოდგენა

**დღეს, 22 ოქტომბერს, აიდა**

ბოგოლეპოვას, დამსახურებულ მსახიობის სკიბიცკაიას, ვიტინგის, ქარცივაძის და შარაშიძის მონაწილეობით.

დარჩენილი ბილეთები იყიდება

**შაბათს, 23 ოქტომბერს, დაისი** ნ. 105

---

**სახკინმრეწვის საუკეთესო სურათი**

**აბრეკ-ზაურ**

**კინო მოთხრობა 10 ნ. (კავკასიის ახლო წარსულიდან)**

უმთ. როლებში ვ. გუნია, ნ. შენგალაია, ნ. ხაპოვი, გ. ჩხეიძე (ჩელაშვილი), ა. თაყაიშვილი, განტარინისა, აგანბეკოვისა

**„მეჟრაბპომ რუსის“ საუკეთესო სურათი**

**„პროცესი სამი მილიონის შესახებ“**

უმთ. როლებში—იგორ ილინსკი, ჟიზნევისა, კტოროვი, კლიმოვი

სიმებიანი ორკესტრი

**ანონსი:** მალე სახკინმრეწვის ახალი სურათი **„გაფლანგვა“**

**აპოლო**

**კრუასტე**

**სოლეი**

ნ. 1833 0—18

---

**თბილისის ალმასკომი**

ამით აცხადებს, რომ კვირიდან 24 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე ზაჰესის სათავე ნაგებობის გამოცდის გამო ფარების აწევის და ძათი საშუალებით წამში 500 კუბ. მეტრ. წყლის გაშვებით, რაც საშუალო წყალდიდობას უდრის, შესაძლებელია მდ. მტკვრის დონეს მოულოდნელი რყევა.

ყველა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები უბედურ შემთხვევათა და მატერიალურ ზარალის თავიდან ასაცილებლად.

თბილისის ალმასკომის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

3—1 ნ. 110 კომუნალური მეურნეობის გამგე—ახრიევი.

---

**ზაჰესის სამუშაოთა სამმართველო**

ამით აცხადებს, რომ 25 ოქტომბრიდან მაღალ ძაბვის ქვეშ იქნება დაყენებული ელექტრონის გადამცემის ხაზი

1. **დიდუბიდან—მთავარ ქვესადგურამდე,** რომელიც გაივლის დიდუბის ბაღ ზე, საბურთალოზე, ძღინარე ვერაზე ვერის გზატკეცილის გასწვრივ და გადასჭრის ელბაქიძის დაღმართს და მდ. მტკვარს.
2. **დიდუბიდან ნაძალადევამდე,** რომელიც გადასჭრის ა | კ. რკინის გზების ხაზს და ადის მახათის მთაზე ზაჰესის ქვესადგურებზე.

ყოველგვარი შეხება სადენებისა და ამ ხაზის მავთულების **სასიკვდილოა,** რის შესახებაც ყველა საყრდნობზე გაკრულია სათანადო განცხადება.

3—1 ნ. 109 ზაჰესის სამუშაოთა უფროსი ინჟინერი ჭიჭინაძე

---

**ა.-კავკასიის რკინის გზათ:**

**სამმართველო**

აცხადებს, რომ 1926 წ. 5 ნოემბერს, დღის 12 საათზე ქ. თბილისში გზის განყოფილების სამოქალაქო ნაგებობათა ნაწილის შენობაში (კლარა ცეტკინის ქუჩა № 73)

**შესდგება**

**საჯარო ვაჭრობა**

რომლითაც გაიცემა სამუშაოები შემდეგ შენობათა ასაგებად: ყინულის ქარხანა და საცავებელნი ა | კ. რკინის გზ. სადგურ სამტრედიაში, შენობათა საერთო სივრცე უნდა უდრიდეს 46×19=(დაახლოვებით) 875 კვ. მეტრს; შენობის კუბატურა დაახლოვებით 6560 კუბ. მეტრი. შენობების აგება ხდება რკინა-ბეტონით და შეიცავს შემდეგ სამუშაოებს.—

1. რკინა-ბეტონის ტიხრები, ბოძები და სახურავები—460 კუბ. მეტრი.
2. ბეტონის კედლები (ღრუა ქვებიდან 15 სან. × 10 სან. × 70 სან.) და იატაკები—320 კუბ. მეტრი.
3. კორპის იზოლაცია—1900 კვ. მეტრი.
4. ხიმინჯების ჩასობა—360 ცალის.
5. მიწის სამუშაო—270 კუბ. მეტრი.

განცხადებები დახურულ კონვერტებში ვაჭრობაზე მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა ჩააგდონ განსაკუთრებულ ყუთში, რომელიც მოთავსებულია მეორე სართულზე გზის განყოფილებაში. განცხადებების მიღების ვადაა ა. წ. 5 ნოემბრის დღის 5 საათამდე.

განცხადებაზე დართული უნდა იყოს ქვითარი იმის შესახებ, რომ ა. კ. რკინის გზათა სამმართველოს ცენტრალურ სალაროში (სადგ. ქუჩა № 1) შეტანილია გირაოს სახით წარმოდგენილი ფასის 10 პროცენტის რაოდენობით ან მოწმობა საბჭოთა კავშირის კანონების მიხედვით გირაოს შეტანიდან განთავისუფლების შესახებ.

ფასები ნაჩვენები უნდა იქნეს ორი ვარიანტით:

ა) გზის ყველა მასალებით, გარდა კორპის იზოლაციისა და

ბ) კონტრაგენტის ყველა მასალებით.

ორივე შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს კარიერები ხრეშისა და სილისათვის, ასეთების გადაზიდვით გზის სამსახურების ცხრილის მიხედვით.

დაწვრილებითი ნახაზების მიღება და ტეხნიკურ პირობების გაგება შეიძლება გზის განყოფილების სამოქალაქო ნაგებობათა ნაწილში სამუშაო საათებში დილის 9-დან 3 სან. საათამდე კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 73, სხვა ქალაქებში მცხოვრებთ საჭირო მასალები ფოსტით გადაეგზავნებათ.

გამგეობის წევრი ტეხნიკური ნაწილისთან,

ინჟინერი: გვერდწითელი

3—1 ნ. 97

---

**ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი**

აცხადებს, რომ 28 ოქტომბერს 1926 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია ქ. ქუთაისში ა. წერეთელის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობა** კონსტანტინე შერგელაშვილის სამი საცხოვრებელი ოთახიანი—ქვეშ ორი თვალი სარდაფით, კრამიტის შენობის და მაზე მიშენებული კრამიტის მოუთავებელი კედლების აგებული მიწაზე ზომით 100 ოთხკუთხი საჟენი შეფასებული 1000 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან დომენტი მაღლაფერიძის და სხვების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად იმ პირმა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს 10 პროც. შეფასებული თანხის საწინდარი და ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. ნ. 106

---

## ბალანსი

## საქართველოს სახელმწ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა „გრუზგოსტორგი“-სა

### 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის

### აქტივი

| №№ | ანგარიშების დასახელება | კერძო | საერთო |
|---|---|---|---|
| 1. | ნაღდი საშუალებანი | | |
| | ა) სალარო | 7.540—40 | |
| | ბ) სახელდახელო ანგარიშები | 9.655 66 | 17.196—06 |
| 2. | ფასიანი ქაღალდები | | |
| | ა) %-იანი ქაღალდები | 3.936—30 | |
| | ბ) პაიები და აქციები | 28.000— | |
| | გ) ფასდადებითი მომწმ. | 916 02 | 32.852—32 |
| 3. | საქონელი და ფაბრიკატები | | |
| | ა) საწყობებში | 381.488—54 | |
| | ბ) მაღაზ. და პუნქტებში | 565.210—28 | |
| | გ) გადამუშავებაში | 65.092—77 | |
| | დ) საკომისიოთ გაცემული | 57.265—17 | |
| | ე) გირაოს ქვეშ | 271.784—43 | |
| | ვ) გზაში | 14.223—35 | 1.355.064—54 |
| 4. | მასალა და ნედლეულობა | | |
| | ა) საწყობები და მაღაზ. | 198.301—38 | |
| | ბ) გზაში | 2.260—36 | 200.561—74 |
| 5. | ქონება | | |
| | ა) მოძრავი | 96.431—55 | |
| | ბ) ტარა საწყობში | 66.184—52 | |
| | გ) ტარა გზაში | 8.160— | 170.776—07 |
| 6. | თანხები ანგარიშ-ქვეშ | | |
| | ა) სამწ. სააღრ. ხარჯები | 6 543—12 | |
| | ბ) საოპერაციო ხარჯები | 11,379—03 | 17.922—15 |
| 7. | თამასუქები | | |
| | ა) მიღებული პორთფელში | 24.233—85 | |
| | ბ) პროტესტქმნილი | 18.351—85 | |
| | გ) დახურდავებული | 64.017—30 | 106.603—06 |
| 8. | დებიტორები | | |
| | ა) სხვადასხვა პირნი და დაწ. | 255.374—33 | |
| | ბ) მუშა-მოსამსახურენი | 15.626 12 | |
| | გ) საეჭვო დებიტორები | 13.164—31 | |
| | დ) დანარჩენი დებიტორები | 50.623—57 | 334.788—33 |
| 9. | გადასახად. და ანაკრ. მარაგი 1924 წ. მოგ. | | 10.822—75 |
| 10. | მომავალი წლის ხარჯები | | |
| | ა) საორგანიზაციო | 34.122—57 | |
| | ბ) სხვადასხვა | 2.550—80 | 36.673—37 |
| 11. | ზარალი | | |
| | ა) საანგ. წლის წაგება | | 167.692—65 |
| | ბალანსი | | 2.450.953—04 |
| | ბალანსს გარე ანგარიშები | | |
| | ა) განყოფილებანი | | 480.258—41 |
| | ბ) საკომისიოთ მიღ. საქონელი | | 154.134—63 |
| | გ) დეპონენტები | | 431—98 |
| | დ) საგარანტ. მიღ. თამას. და საბუთები | | 7.000— |

გამგეობის თავმჯდომარე **ნ. მ. ამირალოვი**

### პასივი

| №№ | ანგარიშების დასახელება | კერძო | საერთო |
|---|---|---|---|
| 1. | თანხები | | |
| | ა) საპაიო | | 539.839 33 |
| | ბ) საამორტიზაციო | | 30.993—57 |
| 2. | სესხები | | |
| | ა) საქონლის გირაოს ქვეშ | 155.963—16 | |
| | ბ) დახურდ. თამასუქ. | 64.017—36 | 219.980—52 |
| 3. | თამასუქები | | |
| | ა) გაცემული | | 1.192.203—62 |
| 4. | კრედიტორები | | |
| | ა) სხვადასხვა პირ. და დაწ. | 349.491—01 | |
| | ბ) მუშა-მოსამსახურენი | 630—68 | |
| | გ) აქციები | 4.230 49 | |
| | დ) სათანაბრო გადასახ. | 1.163 42 | |
| | ე) დანარჩენი კრედიტ. | 15.885—10 | 371.400—70 |
| 5. | სარგებლი | | |
| | გაუნაწილებელი მოგება წ. წ. | | 96.535—30 |
| | ბალანსი | | 2.450.953—04 |
| | ბალანსს გარე ანგარიშები | | |
| | ა) გამგეობა | | 480.258—41 |
| | ბ) კომიტენტები | | 154.134—63 |
| | გ) თამასუქ. და საბუთები | | 431—98 |
| | დ) დეპონენტები | | 7.000— |

საფინანსო-საანგარიშო განყოფილ. გამგე **კ. ი. ცისკარიძე.**

## ანგარიში ზარალ და მოგებისა

### ზარალი

| №№ | მუხლების დასახელება | საერთო |
|---|---|---|
| 1. | საერთო სავაჭრო სარჯებ. | 499.730—86 |
| 2. | სახ. გადასახ. და ადგილ. ანაკრეფი | 53.944—77 |
| 3. | ხარჯი საკრ. ოპერაც. | 140,600—95 |
| 4. | ქონების ამორტიზაცია | 15.275—10 |
| 5. | საქონლის დანაკლისები | 3.538—30 |
| 6. | გადაფასების შედეგები | 41.926—63 |
| 7. | სხვადასხვა ზარალი | 1.253—48 |
| | | 756.270—09 |

გამგეობის თავმჯდომარე **ნ. მ. ამირალოვი.**

### მოგება

| №№ | მუხლების დასახელება | საერთო |
|---|---|---|
| 1. | საქონლის ოპერაციები | 477.624—31 |
| 2. | მიღებული კომისია | 68.755—95 |
| 3. | მიღებული % | 11.219—56 |
| 4. | ზედმეტათ აღმოჩენილი საქონელი | 11.554—41 |
| 5. | შემთხვევითი შემოსავალი | 19.423—21 |
| 6. | ზარალი | 167.692—65 |
| | | 756.270—09 |

საფინ.-საანგარ. განყოფილების გამგე **კ. ი. ცისკარიძე.**

ეს ბალანსი განხილულია და დამტკიცებულია.

1. სახელმწიფო სავაჭრო სამრეწველო საწარმოთა ბალანსების გამხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ ოქმი № 2. 2 | 7-26 წ.
2. საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ ოქმი № 20, 28 | 8-26 წ.

ნ. 104

---

**ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი**

ამით აცხადებს, რომ ის 25 ოქტომბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 41 ლაზარის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტამა და სხვა მურადოვების მოძრავ ქონებას: სახლს შეფასებულს 6.000 მანეთად, ტაბტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის ოლქის სახალხო სასამართლოსაგან 2 ოქტომბერს 1926 წ. თარიღით №2877 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. რადგან ამ სახლზე საჯარო ვაჭრობა მეორეთ ინიშნება, სახლები გაიყიდება თავისუფალი ფასით.

თანახმათ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მეთვრამეტე მუხლისა, მყიდველებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო მოწმობები. ქგ. 274

---

**ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი**

ამით აცხადებს, რომ ის 25 ოქტომბერს 1926 წ. დღის 10 საათზე სახლში № 9 კომუნალნის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ამხ. „ელდამლიკ“-ის მოძრავ ქონებას მაგიდებს და სხვა შეფასებულს 121 მანეთად, აშოტ ისავერდოვას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 სექტემბერს 1926 წ. თარიღით, № 3523 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ქგ. 275

---

**ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი**

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ადერბეიჯანის ქუჩაზე სახლი № 31 დანიშნულია 26 ოქტომბერს 1926 წ. დილის 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** შაფათა ჩიკვაშვილის ქონებას: ბუფეტის შკაფს, სატანისამოსო შკაფს, სარკეს, დივანს და სხვა ოჯახის მოწყობილობას, შეფასებულს 225 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალცალკე სახელმწიფო ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ნ. 106

---

**ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ჩ. ს. ლაბაძე**

ამით აცხადებს, რომ 25 ოქტომბერს 1926 წ. დღის 10 საათზე წირქვილის თემში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა კუთვნილი დიმიტრი და მარიამ მასხარაშვილების ერთი ხის სახლი, დახურული კრამიტით 3 | 8 მონაწილეობა, აწერილი გადასატანათ 375 მან. დასაკმაყოფილებლად ჯიშო აბაშიძის ვალის თანახმად აღმასრულებელ ფურცლისა ჭიათურის სახ. სასამართლოს 16 დეკემბრის 1925 წ. თარიღით № 704, ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნ. 107

---

**ექიმი მეგრაბიანცი**

**ფილტვების, ძლეძის და გულის სნეულებანი**

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

---

**ექიმი ჯალალოვი**

**სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.**

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 6—9 საათამდე. ქალების მიღება 1—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—1

---

**ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი**

**სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.**

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

**ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა**

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

---

**ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

**გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.** ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—2

---

**დავკარგე** საბინაო წიგნაკი სახლი არტემა დავითის-ძე არაქელოვისა—სალოცავის ქუჩაზე, ჩ. გ. 279

**დავკარგე** ა.ლ.კ.კ. მანდატი № 4819 და უვადო შვებულების მოწმობა მიღებული 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონიდან ვასილ რაჟდენის-ძე ჩხაიძეს სახელზე, ჩ. გ. 282

**დავკარგე** პარტიული ბილეთი № 488,654, აკაკი ქადარიას სახელზე ჩ. გ. 270

**დავკარგე** სასურსათო ბილეთი № 361,471 და პირადობის მოწმობა № 817, სპირიდონ კუტალაძეს სახელზე, ჩ. გ. 272

**დავკარგე** მეტრიკული ამონაწერი № 3747, სარდიონ ვლადიმერის-ძე გუგუტიშვილის სახელზე, ჩ. გ. 273

**დავკარგე** სახელ. უნ. სამკურნალო ფაკულტეტის მიერ გაცემული სალექციო წიგნაკი № 2727 და პირადობის მოწმობა—არსენ ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 280

**დავკარგე** ღვინის გადასატანი მოწმობა № 12134, მოცემული 14 დეკემბერს 1925 წ. 200 ვედრა ღვინისა გიორგი ნარიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 271

**დავკარგე** სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა, აღრიცხვიდან მოხსნით, გაცემული თბილისის სამხედრო კომისარიატის მიერ, მიხეილ მიხეილის-ძე გრიშაშვილის სახელზე, ჩ. გ. 277

**დავკარგე** პირადი საქმე და საწევრო ბარათი №№ 35, 67 თბილისის მე-2 რაიკომისაგან მოცემული ნ. ჭავჭავაძის სახელზე, ჩ. გ. 276

**დავკარგე** სამხ. აღრიცხვის ბარათი № 154 | 150, პირადობის მოწმობა № 20927, კავშირის წიგნაკი № 2922 სიმონ ამაშუყელის სახელზე, ჩ. გ. 610 ნ.

**დავკარგე** სამხედრო აღრიცხვის ბარათი და პროფკავშირის წიგნაკი № 11325, მიხეილ გურეშიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 106

**დავკარგე** ნაჯახოვის შეიდწლედის დამთავრების მოწმობა, ვარვარა კოწიას ასული დანელიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 106

**დავკარგე** დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 589, მიხეილ ზვიადაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 105

**დავკარგე** სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 1805—დავით ამბროლაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 107

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 63